ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№159 (218) 28 თებერვალი - 6 მარტი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

დავით რობაქიძე: თუ სამამულო ომში დაღუპულთა «დიდების მემორიალს» ვანგრევთ, ოსმალეთის იმპერიის დიდების ძეგლს რატომ ვაშენებთ?

ლეიბორისტული პარტია ქალაქ ბათუმში «დიდების მემორიალის» დანგრევის გადაწყვეტილებას აპროტესტებს. პარტიის აჭარის ორგანიზაციის წევრები, რამდენიმე დღეა, ცდილობენ, ობელისკის დემონტაჟს ხელი შეუშალონ და მემორიალის ირგვლივ შემოვლებული ღობეც არაერთხელ დაანგრიეს. რატომ აპროტესტებენ «დიდების მემორიალის» დანგრევას და რა ხდება ფერიის მთაზე, ასევე აჭარის რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე ლეიბორისტული პარტიის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი დავით რობაქიძე გვესაუბრება:

— ბატონო დავით, ლეიბორისტული პარტიის აჭარის ორგანიზაციის წევრებმა ბათუმში «დიდების მემორიალის» ირგვლივ შემოვლებული ღობე დაანგრიეს. რა მიზანს ისახავდა თქვენი ქმედება?

— რამდენიმე დღის წინ, ბათუმის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დიდების მემორიალის შემოღობვა დაიწყეს, ვინაიდან მემორიალის დანგრევა და მის ადგილას საბაგირო გზის გაყვანა სურთ, რომელიც ფერიის მთაზე მშენებარე სასტუმრო და ე. წ. გასართობი ტიპის ობიექტებს დაუკავშირდება. სხვათა შორის, ეს ის ფერიის მთაა, რომელზეც თავის დროზე ეკლესია დაანგრიეს, მაგრამ მისი ბედი დღესაც გაურკვეველია და არც არავის აინტერესებს, ვინაიდან აჭარაში მხოლოდ და მხოლოდ სასტუმროებსა და გასართობ კომპლექსებს აშენებენ.

აღსანიშნავია, რომ ფერიის მთაზე გასართობ კომპლექსს ერთ-ერთი თურქული კომპანია აშენებს, რომელსაც მიწის ნაკვეთი ლევან ვარშალომიძემ, პირდაპირი მიყიდვის წესით — 1 ლარად მიჰყიდა.

ჩვენ რამდენიმეჯერ მივმართეთ ბათუმის მერიას, შეეცვალათ გადაწყვეტილება და აღნიშნული საბაგირო გზა სხვაგან გაეყვანათ, «დიდების მემორიალისთვის» კი თავი დაენებებინათ, მაგრამ მათგან პასუხი არ მიგვიღია. ხელისუფლებას, როგორც ყოველთვის, პასუხი ამჯერადაც არ აქვს. ამიტომ იძულებულები გავხდით, მემორიალისთვის შემოვლებული ღობე დაგვენგრია. თავიდან ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ობელისკის სხვა ადგილას გადატანა სურდათ, მაგრამ ახლა ცნობილი გახდა, რომ მის დანგრევას აპირებენ, ვინაიდან ობელისკის სხვაგან გადატანა შეუძლებელია. ფაქტობრივად, ობელისკის კარკასის დანგრევა უკვე დაწყებულია.

მემორიალის დემონტაჟს სამშენებლო კომპანია «გზები» აწარმოებს. აღნიშნული კომპანია ბათუმში თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამუშაოს ახორციელებს, იქნება ეს ქანდაკების დემონტაჟი თუ რაიმე ობიექტის მშენებლობა. სწორედ ეს კომპანიაა «ნაციონალების» მთავარი დამფინანსებელი. 2010 წლის არჩევნებზე კომპანიამ «ნაციონალებს» 250 000 ლარი გადაურიცხა. «გზები» ლევან ვარშალომიძის ძმის — ირაკლი ვარშალომიძისაა. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, თუ რატომ იგებს ყოველთვის ეს კომპანია ქალაქ ბათუმის მერიაში ტენდერებს.

— თქვენ განაცხადეთ, რომ ხელს შეუშლით მემორიალის დანგრევას. თუ ხელისუფლებამ მართლაც გადაწყვიტა მისი დემონტაჟი, როგორ მოახერხებთ ხელის შეშლას, რას აპირებთ?

— უკვე მესამეჯერ დავანგრიეთ მემორიალისთვის შემოვლებული ღობე. ვცდილობთ, ხელი შევუშალოთ ხელისუფლებას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოქალაქეების პოზიცია ობელისკის დემონტაჟისადმი ცალსახად უარყოფითია და ყველა ამბობს, რომ «დიდების მემორიალი» ხელისუფლებამ არ უნდა დაანგრიოსო, თავს არავინ იწუხებს და პროტესტის ნიშნად ქუჩაში არავინ გამოდის. ჩვენ, რაც შეგვეძლება, მაქსიმუმს გავაკეთებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობა პასიურია.

— საზოგადოების ნაწილი, საპატრიარქო აღშფოთებულია ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობით, რასაც თქვენც აპროტესტებდით. რატომ ეწინააღმდეგებით მეჩეთის მშენებლობას?

— საინტერესოა, რომ ჩვენთვის ცნობილი ხელშეკრულების ერთ-ერთ ნაწილში წერია, რომ აზიზიეს მეჩეთი იქნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელსაც მუზეუმის სახე ექნება და არანაირ რელიგიურ სალოცავზე არაა საუბარიო. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია, თუ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა დიდების მემორიალს ვანგრევთ, ოსმალეთის იმპერიის დიდების ძეგლს რატომ ვაშენებთ? ხელისუფლების მხრიდან ეს არის სირცხვილი და ვანდალიზმი და, თუ მაინცდამაინც გვინდა, ვიღაცას ძეგლი ავუშენოთ, ბათუმელებმა კარგად იციან, რომ დღევანდელი სასტუმრო «ინტურისტი» დანგრეული ტაძრის ქვებითაა აშენებული და მაშინ ეს ტაძარი აღადგინონ.

— საზოგადოების ნაწილი, მათ შორის თქვენც, ხელისუფლებას აჭარის გათურქებაში ადანაშაულებთ. თუმცა ხელისუფლება განხორციელებული ქმედებების მიზეზად აჭარის თანამედროვე ტურისტულ ცენტრად გადაქცევას ასახელებს.

— ახლა 21-ე საუკუნეა და თურქები იარაღით ვერ დაგვიპყრობენ, ამიტომ თურქების მიერ მთელ აჭარაში რელიგიური და ფინანსური ექსპანსია მიმდინარეობს. საქართველოს მოქალაქეს ლარად ტერიტორიას არავინ მისცემს, მაგრამ, როგორც კი თურქი მოვა, ნებისმიერ ტერიტორიას 1 ლარადაც სიხარულით აძლევენ.

— თქვენ ცოტა ხნის წინ აცხადებდით, რომ ხელისუფლება ბათუმში ეროტიკული სცენების ამსახველი ქანდაკების დადგმას აპირებდა, რასაც ბათუმის მერია ატეგორიულად უარყოფს...

— დამერწმუნეთ, იმდენად «დარეხვილი» ხელისუფლება გვყავს, რომ გამორიცხული არაფერია. მაშინ, როდესაც ხელისუფლებამ დავით აღმაშენებლის ძეგლი გადაიტანა დიღომში, ქუთაისში დიდების მემორიალი დაანგრია და ახლა ბათუმშიც ანგრევს, ბათუმშივე დადგა სამარცხვინო ქანდაკებები — კვერცხებზე ფლოსტები შემოდო, ილია ჭავჭავაძის ძეგლი ბოთლის ქანდაკებით შეცვალა, ამ ქმედებების მერე ამ ხელისუფლებისგან მე ნამდვილად არაფერი გამიკვირდება!

ესაუბრა
შორენა ციცქარაშვილი

რედაქციის კომენტარი: საგულისხმოა, რომ არც სააკაშვილს და არც მის კუდს შლეიფად დამობმულ ნაციონალებს არასოდეს მოუხსენებიათ გულისტკივილით დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპული ახლო თუ შორეული ნათესავი. როგორ დავიჯერო, ყველანი იმ დეზერტირების შთამომავლები არიან, რომლებიც საპონს ჭამდნენ, რათა დიზენტერია დამართოდათ, ან ტახტების ქვეშ იმალებოდნენ, რომ სამშობლოს გმირ დამცველთა რიგებში არ ჩამდგარიყვნენ. სხვას ვერაფერს მივაწერ ამ უჯიშოთა დაუოკებელ ზიზღს იმ ადამიანების ხსოვნისადმი, ვინც კელაპტრად მიიტანა საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე!

რატომ შეცვალა ობამამ ჯონ ბასი

საქართველოში ძალიან საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ვითარება კიდევ უფრო საინტერესო გახდება. ამას მოწმობს ის ინტერესი, რომელსაც ამერიკა საქართველოს მიმართ ამჟღავნებს.

საქართველოსა და აშშ-ს პრეზიდენტების ბოლო შეხვედრა და იქ გაკეთებული განცხადებები დღემდე დიდ აჟიოტაჟს იწვევს. ობამას მიერ გაკეთებულ განცხადებებს ნაციონალები და ოპოზიცია სხვადასხვანაირად ხსნიან.

ახლა მათ იმის გარკვევა მოუწევთ, თუ რატომ შეცვალა ბარაკ ობამამ ჯონ ბასი. 6 დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა საქართველოში ახალი ელჩის კანდიდატურა დაასახელა.

თეთრი სახლის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ჯონ ბასს საქართველოში რიჩარდ ნორლანდი შეცვლის.

57 წლის რიჩარდ ნორლანდი ამჟამად აშშ-ს ეროვნული სამხედრო კოლეჯის მრჩეველია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

2007-2010 წლებში ნორლანდი იყო აშშ-ს ელჩი უზბეკეთში, იქამდე კი ქაბულში ამერიკული მისიის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. მას ჰქონდა დიპლომატიური კარიერა ქალაქ მოსკოვში და ჩრდილოეთ ირლანდიაშიც. ბილ კლინტონისა და ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს, 2 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა უშიშროების საბჭოს ევროპულ დეპარტამენტს.

რიჩარდ ნორლანდი საქართველოში ადრეც მოღვაწეობდა. გაეროს მისიის ფარგლებში ის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების საკითხებზე მუშაობდა.

რიჩარდ ნორლანდი 1955 წელს დაიბადა. იგი ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის საგარეო საქმეთა სკოლის ბაკალავრის ხარისხის მფლობელი და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მაგისტრია.

ალბათ ყველა ხვდება, რომ ეს ცვლილება შემთხვევით არ განხორციელებულა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ობამამ ჯონ ბასი საქართველოში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ შეცვალა.

ამ არჩევნებს კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მას ამერიკაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამაზე ობამას გაკეთებული განცხადებებიც ნათლად მეტყველებს. ძალიან მნიშვნელოვან განცხადებებს აკეთებდა ჯონ ბასიც.

მან ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამერიკა საშემოდგომოდ დანიშნულ არჩევნებს ყურადღებით დააკვირდება, გაყალბების შემთხვევაში კი ძალიან მკვეთრი რეაქცია ექნება.

ჯონ ბასის განცხადებები ჩვენი მმართველი გუნდის გაღიზიანებას ხშირად იწვევდა. ის თავისი წინამორბედის, ჯონ ტეფტისაგან აშკარად განსხვავდებოდა და თუ ტეფტი სააკაშვილს ყველაფერში მხარს უჭერდა, ბასი ხელისუფლების გაკრიტიკებას არ ერიდებოდა.

პირველად, ჩვენი ხელისუფლება საჯაროდ მან 2011 წლის 3 იანვრის დარბევის გამო გააკრიტიკა. ალბათ გახსოვთ, 3 იანვარს ხელისუფლებამ მოშიმშილე ვეტერანები დაარბია.

კრიტიკა ელჩს სხვა დროსაც არ დანანებია მმართველი გუნდის მიმართ. ოპოზიცია მისი ბოლომდე მადლიერი იქნებოდა, ელჩს ერთი დიდი შეცდომა რომ არ მოსვლოდა.

26 მაისის დარბევა ალბათ ყველას ახსოვს. ამ დარბევის წინ ელჩმა საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. რითაც, ფაქტიურად, მწვანე შუქი აუნთო დამრბევებს.

როგორ განვითარდა მისი განცხადების შემდეგ მოვლენები, ეს ყველამ იცის. ძალის გადამეტებაზე განცხადება მერე ელჩმა გააკეთა, თუმცა ამ განცხადებამ დარბევის შედეგად დაღუპულებს და დაშავებულებს ვეღარ უშველა.

ამ დარბევის შესახებ შეშფოთება ცოტა ხნის წინ გაერომაც გამოხატა. ის დარბევის გამოძიებას ითხოვს.

ხელისუფლებას ამ დასკვნაზე განცხადება არ გაუკეთებია. უფრო ადრე მათ უარი განაცხადეს საპარლამენტო კომისიის შექმნაზე, რომელსაც ეს დარბევა უნდა შეესწავლა. საეჭვოა, რომ ობამას ბასი 25 მაისის გვიან საღამოს გაკეთებული განცხადების გამო გაეწვია. თუმცა აშკარაა, რომ რაღაცაშია საქმე და ამერიკა საქართველოში მიმდინარე პროცესებს იმაზე სერიოზულად ადევნებს თვალს, ვიდრე ეს ჩვენ გვგონია.

ამასთან, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჯონ ბასი ამ ხელისუფლების მიმართ აშკარად კრიტიკულად იყო განწყობილი, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მის სეხნია და წინამორბედ ტეფტზე.

როგორც ოპოზიცია ამტკიცებს, ის თეთრ სახლში არასწორ და სააკაშვილისთვის სასარგებლო ინფორმაციებს აგზავნიდა. მან დიდი როლი შეასრულა იმაშიც, რომ 2008 წლის იანვარში საქართველოში, საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური არ ჩატარდა.

ასეა თუ ისეა, ბასი იცვლება და ამას მარტო მოახლოებულ არჩევნებთან არ უნდა ჰქონდეს კავშირი. ირანის გარშემო ვითარება სერიოზულად არის დაძაბული და არც რუსეთი უნდა დაგვავიწყდეს.

თ. მარხვაიძე

მუჯანჯები

“შავი ჯოჯოხეთის კუპრი ხართ ნახადი,
თხემიდან ტერფამდე ხართ სინდის ახდილი,
გინდათ, რომ სიწმინდეს ნამუსი ახადოთ,
მაგრამ შურისგების გაგტეხავთ მახვილი.
მოდგმას ადამიტურს ჩაზრდიხართ მარწუხად,
გინდათ რომ უკუსვლით ვიდოდეს სამყარო,
გსურთ, რომ დედამიწა, როგორც ღორმა მუხა,
დედაბუდიანად გეზიდან ათხაროთ.
ეს რა ხვაშიადი ჩაითქვეს ერებმა,
უსისხლოდ გამართეს კაცთა სასაკლაო,
ბოროტს მიეყიდნენ და მეცნიერება
თავად დედამიწის ხდება მესაფლავე.
გონება იფლობა სიბილწის სკორეში,
ირყვნება ბალღი ჯერაც უმწიფარი,
ისე გადაეშვნენ სოდომის მორევში,
ურცხვი ეროსიც კი თვალზე ხელს იფარებს.
ოდესღაც ჰყვაოდა რწმენის მისტერია,
ჰყვაოდა ბუნებაც, ციერთა ნასახი.
რომ თავად ქრისტე არის ვენახი.
დღეს მოწამლულია თაფლი და ღვინო,
ვერ ნახავ ორაგულს არაგვის ტალღებში,
გვენის ქეიფმა როდემდე იდინოს,
როდემდე გასტანს გრძნობათ სიუხეშე,
და ამგვარ ყოფას ვინაც იგუებს
და არ აღაშფოთებს სასტიკი ერესი”.
მერაბ კოსტავა

ეროვნული ხელისუფლების დამხობას და **“დიდი”** პოლიტიკოსის შევარდნაძის გაპრეზიდენტებას მოჰყვა **“დიდი”** ფილოსოფოს-სოციოლოგების, ფსიქოლოგების, მწერალთა და პოეტთა თბილი წვიმების შემდეგ სოკოებივით მიწიდან ამოძრომა და ყელყელაობა.

ათასწლოვანი ფილოსოფიური აზროვნება და ლიტერატურა, ქართული ცნობიერება და ცხოვრების წესი მათთვის **მიუღებელია**, უფრო მეტიც, მას **ებრძვიან**!

ამ ბრძოლის მთავარი და არსებითი იარაღი, როგორც ბატონი ელიზბარ ჯაველიძე აღნიშნავს, **“ფროიდშეჩენილობაა”**, ანუ დასავლეთში უკვე საკმაოდ მოძველებული და კრიტიკის საგნად ქცეული ფსიქიატრ ზიგმუნდ ფროიდის პანსექსუალიზმის, სექსუალური ლტოლვებით ნორმალური ფსიქიკის ადამიანის ქცევების ახსნაა.

გაუკუღმართებული სექსი, პორნოგრაფია, ბილწსიტყვაობა, უხამსობა, უკონტროლო ქვეცნობიერიდან ამოტივტივებული სექსთან დაკავშირებული ავადმყოფური ასოციაციები... ყოველივე ეს ფროიდშეჩენილთა აზროვნების, მათი შემოქმედების და თვით ყოველდღიური ცხოვრების განმსაზღვრელი და სტიმულის მიმცემია.

პუტჩისტების იდეოლოგს, მათ მიერვე მეოცე საუკუნის უდიდეს ფილოსოფოსად აღიარებულ მ. მამარდაშვილს, როგორც დიდ მოაზროვნეებს ახასიათებთ, სურს გაარკვიოს საკუთარი **“მე”**-ს ადგილი სამყაროში: **“ვინ ვარ? სამყაროში რა ადგილი მიკავია? როგორ ვარ მასში განლაგებული? მაგალითად, ეს ქალი დედაჩემია, მაგრამ ცოლი მგონია და ისე ვექცევი, როგორც ცოლს, მე რაღაც მემართება, იმიტომ, რომ მისი შვილი ვარ”.**

სოკრატედან და პლატონიდან მოყოლებული, არც ქართველ ნეოპლატონიკოსებს, არც ჰეგელს, არც კანტს, ჰაიდეგერს თუ სარტრს მსგავსი რამ არც დასიზმრებიათ.

იქნება უდიდესი ფილოსოფოსი მამარდაშვილი, აბა არ იქნება?

აი, ეს დიდი ფილოსოფოსი უკმაყოფილოა ქართველი ერის ბრძოლით დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის და აცხადებს, რომ ქართველი ერის ხასიათი ეფუძნება **“კერპთაყვანისცემის მოთხოვნილებას, ყალბად გაგებულ პარტიოტიზმს, ჩამორჩენილობას, საკუთარ თავში შეყვარებას, ამპარტავნობას...”**

როცა ეროვნულმა ძალებმა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, თავზარდაცემულმა შესძახა: **“საქართველოში ბოლშევიზმმა გაიმარჯვა, სუფთა სახით!”**

როცა ერის მოღალატეებმა ეროვნული ხელისუფლება დაამხეს და ბოლშევიზმის **“დაუძინებელი მტერი”** შევარდნაძე მოიყვანეს, **“დიდი”** ფილოსოფოსი დამშვიდდა: **“ბოლშევიზმი საქართველოში დამარცხდა.”**

ჩემი პირადი პატივისცემის გამო არ დავასახელებ ცნობილი ფილოსოფოსის გვარს, რომელიც თავის დროზე ეროვნულ მოძრაობას მხარს უჭერდა, მაგრამ ზვიად გამსახურდიას სიძულვილმა გარდასახა და ამიტომ ეროვნული მოძრაობა მისთვის უკვე **“მასობრივ ფსიქოზად”** იქცა! თურმე ქართველებს ბელადები გვიყვარს და ბელადებს ბრმად ვემორჩილებით!

საინტერესოა, ბატონი **ნ.** დღეს რას უწოდებდა ქართველი ხალხის ბრძოლას უკვე არა დამოუკიდებლობისათვის, არამედ ბრძოლას ერის ფიზიკური გადარჩენისათვის, თვითმყოფადობის გადარჩენისთვის, რასაც არსებული რეჟიმი სისხლში ახშობს.

ცხადია, ბელადის სიყვარულს, ბელადისადმი ბრმა მორჩილებას ვერ დაარქმევდა. ალბათ, დაარქმევდა **ქართველი ერის კანონმორჩილების დეფიციტს!**

შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ თავისი ჰაბიტუსით და ქართველი ერის სიძულვილით სახელგანთქმული ფილოსოფოსი გია ნოდია, ნაშრომში **“ერი, საზოგადოება, მრავალი ეთნოსი”**, ქართველ ერს **დაუნდობლობითა და სისასტიკით წარმოაჩენს, აყალბებს ისტორიას და ვითარებას ისე ხატავს, თითქოს ზვიად გამსახურდიამ ისარგებლა რა ქართველი ერის სისასტიკით, მოახდინა ეთნიკური უმცირესობების გენოციდი. თითქოს, აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვები საკონცენტრაციო ბანაკებში შეგვერეკოს.**

დედით ებრაელმა გია ნოდიამ კარგად უნდა იცოდეს ის, რომ მსოფლიოში საქართველოა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ეროვნული ნიშნით არც ებრაელის და არც სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანი არ დაჩაგრულა.

გია ნოდიამ კარგად უნდა იცოდეს, რომ მსოფლიოში საქართველოა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ეთნიკურმა უმცირესობებმა საკუთარი მიწა-წყლიდან ქართველები გარეკა და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად აქცია!

დიდი ილია წერდა: **“უბედურება რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის, ისიც არის, როცა ერთგვარ ბეზღობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზღობას ეძახიან, დიდი ავლა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება და აღებ-მიცემობის საგნად გახდება”.**

ამგვარი ბეზღობის კლასიკური მაგალითია ე.წ. პრაღის 234-ე რეზოლუცია, რომელსაც ხელს აწერენ ძმები გუდავები, ჭანტურია და სარიშვილი. ეს დოკუმენტი ცილისწამებითა და ბეზღობით სახელს უტეხდა ეროვნულ მოძრაობას, მსოფლიოს ამცნობდა თუ როგორ **“არაცივილიზებულად”** ვექცეოდით საწყა; ოსებს, აფხაზებს, სომხებს...მაგონდება დიდი ქართველის ნათქვამი: **“როცა ქვეყანას ამდენი მოღალატე ჰყავს, მას ალექსანდრე მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს!”**

ფსიქოლოგი ნ. სარჯველაძე აცხადებს, რომ **ქართული ეროვნული მოძრაობა ნეკროფილური ხასიათისაა!**

რატომ?

იმიტომ, რომ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ეფუძნება **“ნეგატიური თავისუფლების პრინციპს”!**

იქნებ ვინმემ გამაგებინო თუ როგორ შეიძლება ერის (ნებისმიერი ერის) ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის აიხსნას **“ნეგატიური თავისუფლების პრინციპით”?** გამოდის, რომ პოზიტიური ასპექტი მონობა ყოფილა!

ფსიქოლოგ სარჯველაძეს არც ფსიქოლოგი ნიჟარაძე ჩამორჩება. მისი აზრით ქართველი ქალი ტრაგიკულია. მისი ტრაგიზმის მიზეზი სექსუალური თავდაჭერილობა და წესიერება ყოფილა! დაუკმაყოფილებელმა სექსუალურმა ლტოლვამ, ლიბიდოს ძალამ აიძულა ქართველი ქალი ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩართულიყო და თავგანწირვით ებრძოლა!

ფსიქოლოგებს არც სოციოლოგები ჩეკურაშვილი და შარვაშიძე ჩამორჩებიან. მათი აზრით ევროპაში ქართველი ქალი ყველაზე **უმწეო, ჩამორჩენილი, კარჩაკეტილი და შეზღუდული გონების არსებაა,** რასაც განაპირობებს ქართული საზოგადოების **განუვითარებლობა**.

მათი აზრით, ქართველი ქალის გადარჩენის პანაცეა ქალწულობის ინსტიტუტის გაუქმება, ანუ ქორწინება ჯვრისწერამდე, თავაშვებული სექსუალური ცხოვრება, ანუ სიძვის დიაცობა ყოფილა. გარდა ამისა, ქალწულობის ინსტიტუტის გაუქმებას ერთი დიდი სიკეთეც მოაქვს: ერი გამრავლდება (ნაბიჭვრებით – თ.კ.)!

გაზეთ **“ილორის”** მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ზემოთნახსენებ **“დიდი”** ფილოსოფოს-სოციოლოგ-ფსიქოლოგები კონკრეტული პიროვნების უარყოფით თვისებებზე კი არ მსჯელობენ, არამედ განაჩენი მთელი ერისათვის, საზოგადოებისათვის გამოაქვთ.

ერთ-ერთი მათგანია ვინმე გ. მარგველაშვილი, რომლის განაჩენი ასეთია: **ქართველ ერს ახასიათებს გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმა, მოკლებულია სოციალურ აზროვნებას და პასუხისმგებლობის გრძნობას.**

ამ **“ფროიდშეჩენილებისაგან”** თავისი აქტიურობით გამოირჩევა ე. ჯგერენაია. იგი იმთავითვე მტრულად იყო განწყობილი ეროვნული მოძრაობისადმი. მისი იდეალი ჯაბა იოსელიანია. ჯგერენაია მას გვიხატავს როგორც ქურდისა და მწერლის თავისებურ სიმბიოზს, როგორც **“ინტელიგენტის კლასიკური გაგების ბოლომდე მიმყვანს, რომელმაც სიტყვიერი ტერორი იარაღის ტერორით შეცვალა და ამ აზრით ქართველი ინტელიგენტის უკანასკნელ მოჰიკანს წარმოადგენს”.**

მართალია ჯგერენაიას ჯაბა იოსელიანის კაცობაში ეჭვი არ ეპარება, მაგრამ მაინც ამტკიცებს იმას, რომ **ყველა** ქართველი მამაკაცი **“არშემდგარი ქალია”.**

მოვიშველიოთ ლოგიკის სახელმძღვანელოდან კატეგორიული სილოგიზმის პირველი ფიგურა.

ყველა ქართველი მამაკაცი არშემდგარი ქალია.

ჯაბა იოსელიანი ქართველი მამაკაცია.

დასკვნა: ჯაბა იოსელიანი არშემდგარი ქალია.

მაგრამ, რადგან ჯგერენაია ჯაბას არშემდგარ ქალად არ თვლის, მაშინ არისტოტელეს ფიგურიდან ლოგიკური დასკვნა ასეთი იქნება: ჯაბა იოსელიანი ქართველი კაცი არ არის!

თავი დავანებოთ სილოგიზმის ფიგურებს და მივსდიოთ ჯგერენაიას აზრთა დინებას. მან შეისწავლა ქართული სუფრა და ლხინი, მოახდინა მისი ანალიზი (ფსიქოანალიზი) და აკეთებს შემდეგ დასკვნას: **“...შეიძლება ითქვას, რომ ქართული სუფრა ფორმით ჰომოსექსუალისტური და შინაარსით ტრაგი-ჰეტეროსექსუალისტურია, ხოლო ქართველი მამაკაცი – არშემდგარი ქალი ანუ ქალის ცუდი შემთხვევაა”.**

სუფრაზე, ლხინის დროს, კეთილშობილური სასმელით, ქართული ღვინით შემთვრალი კაცი მეგობარს რომ აკოცებს, რომ ეტყვის **“მომენატრე”, “მიყვარხარ, ძმაო!”...** ეს თურმე ურთიერთსექსუალური ლტოლვა ყოფილა!

ერთმანეთისადმი გაუკუღმართებული სექსუალური ლტოლვა კი იმან განაპირობა, რომ თურმე ქართველ მამაკაცებს ქალისადმი პანიკური შიში აქვთ!

საქართველოს მძვინვარე და პირსისხლიან მტრებს რა გამოულევს, მაგრამ არა მგონია რომელიმე მათგანს ქართველი მამაკაცი ასე დაემცირებინოს, ასე გაელანძღოს! პირიქით კი იყო. ყველა დამპყრობელი აღიარებდა ქართველი კაცის ვაჟკაცობას, სიმამაცეს, მხედრულ შემართებას...

სადღაც წავიკითხე, რომ ეს **“ფროიდშეჩენილი”** ჰოლანდიაში გათხოვილი ყოფილა... ჰოდა, ამის შემდეგ მისგან ამგვარი ავადმყოფური ბოდვები და ლტოლვები არც უნდა გაგვიკვირდეს.

“დიდი” ქართველი ფილოსოფოს-სოციოლოგ-ფსიქოლოგებისგან ამგვარ ბინძურ ცილისწამებას, ამგვარ შეურაცხყოფას თვით მათი კუმირი ფროიდი ამგვარად ხსნიდა: **“რადგანაც ასეთები არიან, ამიტომ ქვეცნობიერად სურთ ყველა ასეთები იყვნენ”!**

ამ **“მეცნიერებს”** თავიანთი ჭირით, მაგრამ რა ღმერთი გაუწყრათ პოლიტიკოსებს, რომლებსაც ქართველი ერის ლიდერობის პრეტენზიები აქვთ?

“თავისუფლების ინსტიტუტიდან” აფრენილი, დღეს გაოპოზიციონერებული რესპუბლიკელი დ. ზურაბიშვილი ამგვარად ახასიათებს იმ ერს, რომლის კეთილდღეობისათვის ვითომ იბრძვის: **თანამედროვე ქართველი კვლავ ფეოდალისტური ფსიქიკის ტყვეობაში რჩება. ფეოდალისტური ფსიქიკა, ანუ ფუნდამენტალისტური ცნობიერება ის ნოყიერი ნიადაგია, სადაც გაღვივდა და აღმოცენდა ისეთი “უბედურება”, როგორიცაა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა!**

ეს ჭკუისკოლოფა ზურაბიშვილი ამ სისულელეს წერს გაზეთ **“ქართულ ფილმში”,** ეროვნული მოძრაობის აღმავლობის წლებში.

რესპუბლიკელი **“დიდი”** ლევან ბერძენიშვილი ძმასთან ერთად ებრძოდა ზვიად გამსახურდიას, ანუ ეროვნულ ხელისუფლებას. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ წლების მანძილზე ტელეეკრანებიდან მჯერა-მჯერას ძახილით შევარდნაძეს აქებდა. საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორობა უბოძეს თუ არა, დაიწყო ილია ჭავჭავაძის განქიქება. ერთხელ ესეც განაცხადა: **“მე აკაკი წერეთელიც არ მომწონსო”!**

მაშ რაღა მოსწონს?

მოსწონს ჯგერენაიას ნაშრომი ქართული სუფრისა და ნადიმის შესახებ. ჯგერენაიას ეს სიბინძურე აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშად მიაჩნია და პლატონის **“ნადიმს”** ადარებს!

კ. გაბაშვილი კი მის ამ სიბინძურეს ფსიქო-ანალიტიკური აზროვნების შედეგად მიიჩნევს!

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ამ ვაუბატონთა დამოკიდებულება მართლმადიდებლობისადმი. მათი აზრით, მართლმადიდებლობამ, ქართულმა ეკლესიამ ჩამოაყალიბა ყველა ის უარყოფითი თვისება, რაც ქართულ ცნობიერებასა და ხასიათისა აქვს. ა. ჯოხაძე ფიქრობს, რომ **ღმერთზე მინდობამ წარმოშვა ქართველების ანტიკულტუროსნობა, პასიურობა, ანტიაღმშენებლური განწყობა.** ეკლესია არის პროგრესის მოწინააღმდეგე ძალა, იგი ლიბერალურ-დემოკრატიულ ცივილიზაციას ეწინააღმდეგება და ამიტომ ქართული სახელმწიფოს აშენებას ხელს უშლის, სულაც სათუოდ ხდის!

ჩვენი ქვეყნის სიღარიბეს, ეკონომიკურ უძლურებას და განუვითარებლობას რ. გაჩეჩილაძე მართლმადიდებლობას აბრალებს. დაახლოებით იგივეს ამბობს ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ნიჟარაძე. მისი აზრით, მართლმადიდებლობა ფულს, საერთოდ კომერციას უარყოფითად უყურებს და ეს სახელმწიფოსთვის დამღუპველია. გარდა ამისა, ნიჟარაძე ქართულ ეკლესიას კონსერვატიზმში ადანაშაულებს, რაც დროის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

დროის მოთხოვნები კი დასავლურია: გარყვნილება, მრუშობა, პედერასტობა, ლესბოსელობა, პედოფილობა... ყოველივე ამას დასავლური ეკლესია არ კრძალავს... უკვე ჯვარსაც წერს მამაკაცებს ცოლ-ქმრული ცხოვრებისათვის... ამ ლამაზ სანახაობას და ქორწილს კი თვით ინგლისის დედოფალიც ესწრება და შეყვარებულებს ბედნიერებას ულოცავს.

ქართველებს ეს არ მოგვწონს, ე.ი. გოები, უიმედოდ ჩამორჩენილები ვართ, რაზეც ყურადღებას ჯგერენაიაც ამახვილებს: **ქართული კულტურა იმიტომ არის ასეთი ჩამორჩენილი, რომ ქართულ ეკლესიას რეფორმაცია არ განუცდია...**

აი, ჩვენ პროტესტანტები ან ანგლიკანები რომ ვიყოთ, ეს უკვე დიდი მიღწევა იქნებოდა... მაშინ სუფრაზე კი არ დავიკმაყოფილებდით ერთმანეთისადმი სექსუალურ ლტოლვას **“მიყვარხარ, ძმაოს”** ძახილით, არამედ ეკლესიაში გავიქცეოდით და ჯვარს დავიწერდით!

თენგიზ კუბლაშვილი

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)

ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158)

(ანოტაცია)

ზემოაღნიშნული ხერხით შედგენილი მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის თუ სალექსიკონო მასალის ანალიზი, ამ ენის მთელი ლექსიკის ანალიზთან ერთად, ცხადყოფს შემდეგს:

თანამედროვე მეგრულის ლექსიკა, პარალელურ, იშვიათად ხმარებად და პოტენციურად შესაძლებელ ფორმებთან ერთად (ეს ასე იგულისხმება ქვემოთაც და ამ სიტყვებს ყველგან არ გავიმეორებთ) ითვლის **102 773 879** სიტყვას. აქედან ზმნურ ფონდს განეკუთვნება **102 747 879** სიტყვა ანუ **99,9** პროცენტი, ხოლო სხვა მეტყველების ნაწილებს **26 000**-მდე სიტყვა, ანუ **0,1** პროცენტი (აქ მხედველობაშია მისაღები შედეგი გარემოება: ზმნურ ფონდში ითვლება ზმნები და სახელზმნები, კერძოდ, საწყისები ანუ მასდარები და მიმდეობები, თუმცა ეს უკანასკნელნი, წინადადებაში არსებით ან ზედსართავ სახელებად გვევლინებიან, რაც ასეთებად მათი აღრიცხვისას სათანადოდ შეცვლის მეტყველების ნაწილთა ზემოაღნიშნული შემადგენლობას).

მეგრულის ზმნური ფონდის აღნიშნული შემადგენლობა ემყარება სულ რაღაც **2202** ძირისეულ თანხმოვნურ ფორმას, ანუ მიღებულია ამათი აფიქსაციაგრამატიზებით.

მეგრულის ზმნური ფონდის წარმომდგენი **2202** ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან **1869** ფორმა ანუ **85** პროცენტი ხმაბაძვითია, მაგრამ იმის გამო, რომ ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმები ხასიათდებიან განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით, მათზე მოდის **101 964 447** სიტყვა ანუ მთელი ზმნური ფონდის **99,2** პროცენტი, რაც, პრაქტიკულად, მეგრულის მთელი ლექსიკის იგივე პროცენტული ნაწილია; დანარჩენია **333** ძირი ანუ **15,1** პროცენტი და მათზე მოდის **783 432** სიტყვა ანუ მთელი ფონდის **0,8** პროცენტი.

სხვა რომ არა იყოს რა, ეს ფაქტი სავსებით ცხადყოფს ხმაბაძვით საფუძველზე ენის წარმოშობის ჭეშმარიტებას.

მეგრულის ზმნური ფონდის წარმომდგენი ზემოაღნიშნული **2202** ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან: 1) საკუთრივ ზმნური წარმომავლობისაა **614** ძირი, ანუ **27,9** პროცენტი და მათზე მოდის **6 630 372** სიტყვა ანუ **6,5** პროცენტი; 2) არსებითი სახელისეული წარმომავლობისაა **309** ძირი ანუ **1,4** პროცენტი და მათზე მოდის **1 933 659** სიტყვა ანუ **1,9** პროცენტი; 3) ზედსართავი სახელისეული წარმომავლობისაა **1 279** ძირი ანუ **58,1** პროცენტი და მათზე მოდის **94 483 843** სიტყვა ანუ **91,7** პროცენტი.

მეგრულის ზმნური ფონდის ზედსართავისახელისეული წარმომავლობის **1 279** ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან, საგნის (საგანთა) როგორადობის კონკრეტული ნიშანთვისების (მაგ., ბიზალი, ბითქალი...) გამომხატველია **1 169** ძირი ანუ **91,4** პროცენტი და მასზე მოდის **93 632 993** სიტყვა ანუ მთელი ზმნური ფონდის **91,1** პროცენტი და მთელი ლექსიკის **91,1** პროცენტი. დანარჩენი **110** ძირი ანუ **5,0** პროცენტი საგნის როგორადობის ზოგადი ნიშანთვისებების (მაგ., დიდი, მაღალი, პატარა, წითელი...) გამომხატველია და მასზე მოდის **773 838** სიტყვა ანუ მთელი ზმნური ფონდის **0,8** პროცენტი.

მაშასადამე, მარტო ის ფაქტი, რომ მეგრულის მთელი ლექსიკის და კერძოდ, ზმნური ფონდის დაახლოებით **91,1** პროცენტი დამყარებულია საგნის როგორადობის კონკრეტული ნიშანთვისების გამომხატველ – და, ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმამიბაძვის საფუძველზე მიღებულ – სულ რაღაც **1 169** ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე, ნათლად მეტყველებს ენის წარმოშობის ხმაბაძვითი თეორიის ჭეშმარიტებაზე.

მეგრულის ზმნური ფონდის ლექსიკა, რომელიც პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ **103** მილიონამდე სიტყვას ითვლის, მოცემული შვიდტომეულის დაახლოებით **4** ტომში, **2500**-მდე გვერდზეა განთავსებული, ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის სახით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ლექსიკა, მთლიანად მეგრულის ლექსიკა, პოტენციურად შესაძლებელ ფორმათა მაქსიმალურად გამორიცხვის პირობებშიაც, სულ მცირე, **20** მილიონამდე სიტყვას დაითვლის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის კიდევ უფრო დამაჯერებლად წარმოჩენის მიზნით, შვიდტომეულში წარმოდგენილ იქნა ტიპური მაგალითები. საამისოდ აღებულიქნა თორმეტი ძირისეული თანხმოვნური ფორმა (კგტგტგ, შქგდგ, სქგრგრგ(‖რგნგ), კგრკგ, ჯღერჯღგ, ხგრხგბ)წკ)). მოხმობილ იქნა პირველი ოთხი მათგანის ლექსიკა სრული შემადგენლობითა და დაწერილობით, მეხუთესი კი,– ნაწილობრივ. ამათ საფუძველზე ნაპოვნი იქნა ერთგვარი კოეფიციენტური მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ნებისმიერი ძირისეული თანხმოვნური ფორმის ლექსიკის წინასწარი მიახლოებითი გამოანგარიშება (ცხადია, პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ).

სანიმუშო მაგალითების ლექსიკის მოხმობამ დაგვანახა, რომ, მაგალითად, კ(ტ)ტ) ძირზე დამყარებით მეგრულში გვაქვს **113** სიტყვა, ქართულში კი, შესატყვის კრკ)ლ (‖ჩრჩ)ლ) ძირზე დამყარებით გვაქვს **5** სიტყვა. მსგავსადვე: სქგრგ (1. შრება; 2. მშრალი) ძირზე დამყარებით მეგრულში გვაქვს **5327** სიტყვა, ქართულის შესატყვის შრ‖შრ){ბ} (შრობა) ძირზე დამყარებით კი – **816** სიტყვა. მეგრულის რგ(‖რგნგგ („რინა“, ყოფნა, არსებობა) ძირზე დამყარებით გვაქვს **18 621** სიტყვა, ხოლო ქართულის შესატყვის რ)(‖§)ფნ)) (არის, ყოფნა) ძირზე დამყარებით კი – **128** სიტყვა, მეგრულის კ)რკ) (კარკალი...) ძირზე დამყარებით გვაქვს **336 609** სიტყვა, ქართულის შესატყვის კგკგ(‖კ)კ){ნ}...) (კაკანი) ძირზე დამყარებით კი – **32** სიტყვა, გგრგგ გურგინიგ ძირზე დამყარებით მეგრულში გვაქვს **262 625** სიტყვა, ქართულის შესატყვის (გრგვ) ძირზე დამყარებით კი – **4** სიტყვა და ა. შ. (ლექსიკები, მეგრულშიც და ქართულშიც, მოცემულია პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ).

ამრიგად, ჩვენი გამოკვლევის ობიექტი,– მეგრული ენა,– მრავალმხრივ საინტერესოა. იგი საინტერესოა ენის წარმოშობის საფუძვლების თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიხედვითაც და ლექსიკის კოლოსალური სიმდიდრის მიხედვითაც.

რაც ამჯერად ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მეგრული ენის მონაცემები, მისი ცოცხალი ენობრივი მასალები ცხადყოფენ, რომ ენის წარმოშობისა და საერთოდ ენის ფენომენის შესახებ ენათმეცნიერებაში გაბატონებული მოსაზრებები, რაც ზემოთ არის აღნიშნული, მცდარია, საფუძველს მოკლებულია. სინამდვილე კი მდგომარეობს შემდეგში:

თანამედროვე ენაში სახეზეა (შემონახულია) პირველყოფილი მეტყველებისა და ენის, ასე შეიძლება ითქვას, დიდმნიშვნელოვანი კვალიც, ხნულიც, ნათესიც, აღმონაცენიც და ნაყოფიც. საჭიროა მხოლოდ მათი დანახვა, აღქმა და წარმოჩენა.

ენის ლექსიკის ანუ სიტყვობრივი მარაგის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი ბუნებით, კერძოდ, ხმაბაძვით საფუძველზეა მიღებული, მოტივირებულია დასაბამიდანვე და ხასიათდება იკონურობით, გამომხატველობით. ამდენად, სამეტყველო ბგერების და სიტყვების (როგორც ენობრივი ნიშნების) წარმოშობის, საგანთა სხვა ობიექტურ მონაცემთა) სახელდების, მაშასადამე, ადამიანური მეტყველებისა და ენის წარმოშობის საფუძველს, – რამაც განსაზღვრა თვით ადამიანის, როგორც გონიერი არსების გაჩენა დედამიწაზე, – წარმოადგენს ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმის მიბაძვა.

ამრიგად, **ენის წარმოშობის შესახებ არსებულ თეორიებს შორის პრიორიტეტი ენიჭება ენის წარმოშობის ხმამიბაძვის თეორიას.**

მაგრამ ეს არ გამორიცხავს სხვა თეორიების მნიშვნელობას. ფაქტიურად, ენის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში არსებული ყველა თეორია მართებულია, ოღონდ გარკვეული (თავთავიანთი) კუთხით, და ხმაბაძვითობის თეორიის პრიორიტეტულობით.

ბედნიერმა გარემოებებმა შემოგვინახა ენა, – მეგრული ენის სახით, რომელშიც ყველაზე უკეთ არის ასახული არა მხოლოდ ამ ენისა და მონათესავე ქართველური ენების, არამედ საერთოდ (ზოგადად) ენის და სხვადასხვა ენების წარმოშობისა და განვითარების მთელი ისტორია, მთელი თავგადასავალი, დასაბამიდან დღემდე.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე მეგრული ენა მივიჩნიოთ პირველყოფილ ენად ან მის ერთადერთ ნიმუშად, ცხადია, თანამედროვე ვითარების პირობებში.

მართალია, ენის წარმოშობის საკითხებში ჩვენი გამოკვლევების ძირითადი ობიექტია მეგრული ენა, მაგრამ ასეთი გამოთქმაც არაა მთლად სწორი. უფრო სწორად, **ჩვენი გამოკვლევის ობიექტია სიტყვა, ენობრივი ნიშანი, სამეტყველო ბგერები და ენის ლექსიკა ანუ სიტყვობრივი მარაგი, მათი წარმომავლობა, – მეგრული ენის მაგალითზე,** – მისი ლექსიკის შესწავლის პირობებში, ცხადია, ამ ლექსიკის მონაცემების ჩვენთვის ცნობილი სხვა ენების ლექსიკათა მონაცემებთან შედარებით ანალიზის საფუძველზეც, რითაც, პრაქტიკულად, ვლინდება ერთი და იგივე მონაცემები, ოღონდ, მეტნაკლები სიაშკარავით, რაც სავსებით ბუნებრივია.

როგორც ცნობილია, დედამიწაზე არსებული ენები (3000-მდე ენა), მათი ტიპოლოგიური და კერძოდ მორფოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, განიყოფა 4 ჯგუფად. მათ განეკუთვნებიან:

1. ძირისეული ანუ იზოლაციური ენები. ამ ენებისათვის უცხოა აფიქსები, საგრამატიკო საშუალებები. მათ განეკუთვნება ჩინური და ვიეტნამური ენები.

2. ფლექსიური ენები. მათ გააჩნიათ როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ფლექსია. ასეთია არაბული ენები (მაგ., **კატალა** მოკლა, **კუტილა** მოკვდა, **დარაბა** დაკეტა, **დურიბა** დაიკეტა სხვადასხვა მნიშვნელობის ფორმებია).

3. აგლუტინაციური ანუ აფიქსებიანი ენები. მათ განეკუთვნება ქართული და ქართველური ენები.

4. პოლისინთეზური ანუ ინკორპორაციული ენები. მათ განეკუთვნება, მაგალითად, ჩინუკ ენა – ამერიკელ ინდიელთა ენა. ამ ენის ერთი სიტყვა მთელ წინადადებას ნიშნავს. მაგალითად, ფორმა **ი-ნ-ი-ა-ლ-უ-დ-ამ** აღნიშნავს: „მე მოვედი იმისათვის რომ ვნახო ეს“.

მართალია, მეგრული აგლუტინაციურ ენას განეკუთვნება, მაგრამ, ზემოთ წარმოდგენილი მონაცემებითაც (რომც არაფერი დავძინოთ) ნათელია, რომ ეს ენა ამავე დროს ძირისეული ენაც, ფლექსიური ენაც და პოლისინთეზური ენაცაა. ძირისეულია იმდენად, რამდენადაც აქ დღემდე შემონახულია უაფიქსო ფორმებიც (**ჯღერჯღგ სქგრგ ჭყგრტგ, დგ, ძ ჭგრკგ** და სხვ.); ფელქსიურია იმდენად, რამდენადაც ფორმების ხმოვანი ბგერებით შიგა და გარე გახმოვანება ჩვეულებრივი მოვლენაა (**კარკალი, კერკელი... კარკანტი, კერკენტი, კირკინტი, კორკონტი, კურკუნტი** და სხვ.). ინკორპორაციულია იმდენად, რამდენადაც ცალკეული სიტყვები, ზმნები, აქ, ჩვეულებრივ, მთელ წინადადებას აღნიშნავენ (**მითო-ხე** შიგ სიღრმივ, {ვთქვათ, გამოქვაბულში,} ქვე დაბლით ხის; **მითიგვინჯღინანც) „გვინჯღალი“** ანუ დაბალი და ჩაფსკვნილი შიგ სიღრმივ, {ვთქვათ, გამოქვაბულში,} ქვე დაბლით ხის საკუთარი იერსახის წარმოჩენით, და სხვა).

მაშასადამე, მეგრული ენა მატარებელია მსოფლიოს 5500-მდე ენისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშან-თვისებებისა, რაც, კონკრეტულად მათს ძირითად ტიპოლოგიურ, კერძოდ, მორფოლოგიურ ნიშანთვისებებშია გამოხატული (წარმოდგენილი).

ყოველივე ამის შემდეგ, გასაკვირი არ არის, რომ თანამედროვე მეგრულში განსაკუთრებით გამორჩეულად იყოს წარმოდგენილი ზოგადად ენისა და სხვადასხვა ენების წარმოშობა-განვითარების დიდმნიშვნელოვანი კვალიც და ისტორიაც, ანუ მთელი მათი თავგადასავალი.

საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის ბუნებითობის თეორიას, რაც ჯერ კიდევ ძვ. წ.-აღ.-ის VI საუკუნიდან მომდინარეობს, მრავლად ჰყავდა და ჰყავს მომხრეები ცნობილი მეცნიერების სახით. მრავალ მათგანს, მათ შორის, ენათმეცნიერების ჭეშმარიტ კორიფეებს, თავიანთ მხრივ, წამოყენებული აქვთ საკუთარი მოსაზრებები, დებულებები თუ თეორიები, რითაც აშკარად აღიარებენ აღნიშნულ თეორიას ან ხელს უწყობენ მის აღიარებას. მათი ამგვარი მოსაზრებები, დებულებები, თუ თეორიები გაბნეულია შესაბამის საენათმეცნიერო შრომებში, ზოგჯერ სხვა სახის შრომებშიც. მაგრამ იმის გამო, რომ ენის წარმოშობის ბუნებითობის, კერძოდ, ხმაბაძვითობის თეორია აქამდე უარყოფილი და ტაბუირებული, ან კიდევ, სულაც კანონგარეშე გამოცხადებულიც იყო (კერძოდ, საბჭოურ სივრცეში), შეიძლება ასე ითქვას, ოქროს ფასად ღირებული მოსაზრებები, თეორიები და დებულებები ჭეშმარიტი მეცნიერებისა, არც კი წარმოადგენდნენ შესწავლის საგანსა თუ საკითხს, თვით ფილოლოგიის დარგებშიც; მათს ცოდნას არავის თხოვდნენ. ეს ძვირფასი, დაუმტკიცებელი დებულებები, მოსაზრებები თუ თეორიები, თითქმის ყველასგან მივიწყებულნი, შეიძლება ითქვას, უბრალოდ თვლემდნენ სპეციალურ ლიტერატურაში. ესე იგი, ვერ იყო დანახული ან არც კი სურდათ დაენახათ მათი ჭეშმარიტება და მეცნიერულობა. ასეთ პირობებში, უთუოდ საჭირო იყო, გამოჩენილიყო ჯორდანო ბრუნოს მსგავსი უშიშარი და მედგარი პიროვნება ვინმე, ვინც გაჰფანტავდა ენის წარმოშობის საიდუმლოების ბნელეთით მოცულ წყვდიადს და ნათელს მოჰფენდა მას. დიახ თვლემდნენ წიგნებში, ვიდრე ჟამის მოსვლამდე, ჭეშმარიტი მოსაზრებები, დებულებები და თეორიები, როგორიცაა:

„სიტყვები ბუნების მიერ არის შექმნილი“ (ჰერაკლიტე დაბად. დაახლ. 544-540 ძვ. წ.).

„თითოეულ საგანს თავისი აღქმა აქვს განკუთვნილი“ (კრატილი, V-IV საუკ. ძვ. წ.).

„შეიძლება ითქვას, ადამიანური მეტყველება იწყება დიფერენცირებული არტიკულაციით, რაც მხოლოდ თანხმოვნებისთვისაა დამახასიათებელი; თანხმოვნებია ზღვარს რომ დებს, ამ მხრივ, ცხოველებსა და ადამიანებს შორის, რადგანაც არც ერთ ძუძუმწოვარს არა აქვს არტიკულირებული წარმოთქმა, არა აქვს თანხმოვანი“... (გ. ახვლედიანი).

„ადამიანური ბგერები თავისი გენეზისით ცხოველური ბგერებია, ხმოვნურია. უმთავრესად სწორედ ხმოვნურია ზმუილი, ბღავილი, ღმუილი და ა. შ.“ ბიოლოგიურად პირველადია ხმოვანი, ხოლო სოციალურად თანხმოვანი“. „ცვლილებები აქვთ განცდილი ხმოვნებსაც, თავისი ასე ვთქვათ, „ბასოციალურების“ გამო“. „თანხმოვანთა პირველადობის შესახებ სხვა კონტექსტში და სხვა საბუთიანობით დასვა საკითხი ვ. ა. დესნიცკაიამ (В. А. Десницкая, чередование гласных в германских языках, 1939)“ (გ. ახვლედიანი).

„ხმოვანი და თანხმოვანი განსხვავებული ბგერებია... განსხვავებულია მათი ისტორიული განვითარებაც და ჩვენი აზრით, მათ შორის ფიზიოლოგიური და სოციალური განსხვავების სათავე მათ გენეზისურ განსხვავებაშია“.

„ამ უკანასკნელი საკითხის დასმა და მით უმეტეს გადაჭრა ერთ-ერთი კარდინალური საკითხთაგანია, მეტყველების წარმოშობის საკითხთა რიგში. მეტიც შეიძლება ითქვას: სამეტყველო ბგერათა წარმოშობის საკითხის გადაჭრას შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხში, რადგანაც არაფერი ენობრივი არაა ისეთი საერთო რამ ყველა ენისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად“. „არათუ გრამატიკული ფორმა რომლითაც ენები ერთმანეთისაგან ძლიერაა განსხვავებული, არამედ თვით სიტყვის მნიშვნელობაც არ შეიძლება ჩაითვალოს იმდენად სპეციფიკურ მოვლენად ბგერითი მეტყველებისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად“ (გ. ახვლედიანი).

„...თანხმოვნები წარმოადგენენ სიტყვის ნივთიერი მნიშვნელობის მატარებელ ნაწილს, ხოლო ხმოვნები – გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელ ნაწილს“ (გ. ახვლედიანი).

„...თანხმოვნებს მინიჭებული აქვთ უნარი დროისა და ადგილის განუსაზღვრელად გამოხატონ იდეები და გაგებანი, ესენია ბგერები იდეამტარებლები, ხოლო ხმოვნები, პირიქით, ფლობენ უნარს შემოსაზღვრონ იდეის უსასრულობა დროისა და ადგილის მიხედვით. ესენია ბგერები საზღვარდამდებნი“ (ი. ყიფშიძე).

მამანტი ძაძამია – პროფესორი, აკადემიკოსი.
ცირა ძაძამია – პროფესორი აკადემიკოსი.



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

პირადად ნიკიტა ხრუშჩოვისათვის ეს გახლდათ მისი გაუმაძღრობისა და მძაფრი პოლიტიკური ამბიციის დაკმაყოფილება უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის დაკავებით. **"ოქროს დასავლეთისა"** და მისი გავლენის აგენტებისათვის ეს იყო სოციალისტური რუსეთის ეკონომიკური და იდეოლოგიური აღმასვლის გზის ჩაჭრა. სწორედ ამ მტრული ჩანაფიქრების ვუალირებისათვის ძლიერდებოდა ბინძური მითების, ჭორებისა და ფალსიფიცირებული ამბების გავრცელება ლავრენტი ბერიაზე, მისი ფიზიკური განადგურებიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგაც კი.

ამიტომ, ერთადერთ სარწმუნო თარიღად და ფაქტად შეიძლება ჩავთვალოთ ის ავადსახსენებელი დღე, როცა დააპატიმრეს ბერია. აი, თუ როდის და რა ვითარებაში დააპატიმრეს ბერიას თანამებრძოლები, ამაზე მე ვერ გავბედავ რაიმე კონკრეტულის თქმას. ვერ გავბედავ იმიტომ, რომ ვითომ ბერიასთან ერთად გასამართლებული ამ ადამიანების საქმეებში იმდენი უზუსტობებია დაშვებული, რომ მე ეს ყველაფერი მთლიანად ფალსიფიცირებულად მიმაჩნია.

დღემდე მიაჩნიათ, რომ ბერიას დაპატიმრების კვალდაკვალ დააპატიმრეს ბოგდან და ამაიაკ ქობულოვები – 27 ივნისს. უკრაინის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი მეშჩიკი კი თითქოს დაპატიმრეს 30 ივნისს. თანაც... კიევში.. მაგრამ, აი, მაგიდაზე მიდევს ანდრეი სუხომლინოვის წიგნი – ერთადერთი პიროვნებისა, ვინც სწერდა მაშინ ბერიაზე და დაშვებული იყო ბერიას საგამოძიებო საქმესთან. წიგნის სახელწოდებაა **"ვინ ხართ თქვენ, ლავრენტი ბერია?"**. ამ წიგნის ავტორი პროფესიონალი იურისტია და მე მის ნაწერს კიდევ რამდენიმეჯერ დავეყრდნობი. ასე, მაგალითად, სუხომლინოვი იმოწმებს 1953 წლის 30 ივნისით დათარიღებულ პავლე იაკობის ძე მეშჩიკის პირადი ჩხრეკის ოქმის ფაქსიმილეს, რომელიც ჩატარდა **"სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ციხის შენობაში"**, 23 საათსა და 50 წუთზე. ჩხრეკა ჩაატარა მაიორმა პ.მ. მოისეევმა, რასაც ესწრებოდა შიდა ციხის უფროსის მოადგილე დ.ა. ტალანოვი.

მაშ ასე, 1953 წლის 30 ივნისს მეშჩიკი უკვე მოსკოვში იმყოფებოდა. მაგრამ, იგი ხომ ჯერ კიევში უნდა დაეპატიმრებინათ და შემდეგ ეტაპით ჩაეყვანათ მოსკოვში! ესე იგი, მეშჩიკი დააპატიმრეს სადღაც 26 და 29 ივნისს შორის პერიოდში. მაგრამ ჩხრეკა ჩატარებული იქნა **"სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 30 ივნისს გაცემული №A-109 ორდერის საფუძველზე"**. სუხომლინოვს ილუსტრაციად აქვს ჩართული თვით ორდერის ფაქსიმილე, რომელსაც ხელს აწერს სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ივანე სეროვი. და მასზე არსებობს წარწერა: **"ორდერი მე წარმომიდგინეს 1953 წლის 1 ივლისის ღამის 2 საათსა და 45 წუთზე"**, რომელსაც აბოლოებს მეშჩიკის ხელმოწერა. გამოდის, რომ კიევში მეშჩიკი უკანონოდ დაუპატიმრებიათ! მოსკოვშიც კი, მეშჩიკი ჯერ საფუძვლიანად გაჩხრიკეს და მხოლოდ ამის შემდეგ წარუდგინეს ორდერი დაპატიმრებაზე.

მეშჩიკის დატუსაღების ორდერზე მინიშნებულია, რომ იგი გაიცა მაიორ კ.ნ. მედვედევზე, მაგრამ, 1953 წლის 27 ივნისს ბოგდან ქობულოვის დასაპატიმრებლად გამოწერილ ორდერზე არ არის მინიშნებული მისი აღმსრულებლის ვინაობა.

ვლადიმერ გიორგის ძე დეკანოზოვი, ბერიას თანამებრძოლი რიგორც ამიერკავკასიაში, ასევე სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროში, ბერიას დაპატიმრების მომენტში კი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, თუ დაპატიმრებულის ანკეტას ვენდობით, დააპატიმრეს 1953 წლის 30 ივნისს. მაგრამ მისი დაპატიმრების საფუძველი გახლავთ არა სათანადო ორდერი, არამედ სსრკ პროკურატურის მიერ 1953 წლის 3 ივლისს გამოცემული ბრძანება დეკანოზოვისათვის თავისუფლების აღკვეთის შესახებ.

ასევე ბნელით არის მოსილი სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მე-3 სამმართველოს (სამხედრო კონტრდაზვერვა) უფროსის სერგო გოგლიძის დაპატიმრების ამბავიც. დაპატიმრებულის ანკეტა სსრკ შსს ბუტირკის ციხეში დათარიღებულია 1953 წლის 27 ივნისით. ამასთან, ა. სუხომლინოვი გვაუწყებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ ჩანს, თუ როდის და როგორ ჩატარდა 1953 წლის 26 ივნისის შუადამეს სერგო გოგლიძის დაპატიმრება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე და როგორ ჩამოიყვანეს იგი მოსკოვში. თითქოს სერგო გოგლიძე დააპატიმრეს № A-98 ორდერის საფუძველზე, რომელიც ქრონოლოგიურად არ შეიძლებოდა გამოეწერათ № A-92 ორდერზე უფრო ადრე, რომლითაც დააპატიმრეს ბოგდან ქობულოვი, რომელიც 1953 წლის 27 ივნისს გასცა სსრკ შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა კრუგლოვმა. გამოდის, რომ კრუგლოვმა მხოლოდ 27 ივნისს გამოწერა მოსკოვში ორდერი, იმავე ღამეს კი გოგლიძე უკვე გერმანიაში დააპატიმრეს. შეიძლებოდა კი ასე მომხდარიყო?

გენერალ სუდოპლატოვის მოგონების თანახმად ბერიას, ბოგდან და ამაიაკ ქობულოვების, გოგლიძისა და მეშიკის დაპატიმრების თაობაზე მან შეიტყო ახალი სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის კრუგლოვისაგან, 1953 წლის 27 ივლისის შუადღეს.

საკმაოდ უცნაურია ყოველივე ეს...

სსრკ პროკურატურის დადგენილებაც, გენერალ სერგო გოგლიძისათვის თავისუფლების აღკვეთის შესახებ დათარიღებულია 1953 წლის 3 ივლისით (ისევე, როგორც დეკანოზოვის). სერგო გოგლიძის პირველი დაკითხვა კი სსრკ მთავარი პროკურატურის ტრანსპორტის პროკურორის მოადგილემ, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველმა გ. ტერეხოვმა ჩაატარა 1953 წლის 2 ივლისს (დაკითხვის ოქმზე არ არის მითითებული კონკრეტულად რომელ საათზე ჩატარდა დაკითხვა, რაც სსრკ-ში არსებული პროცესუალური ნორმის უხეში დარღვევაა).

ანდრეი სუხომლინოვმა, თავად გამოცდილმა პროკურორმა, რომელსაც, რამდენადაც ვიცი, 2007 წელს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა, ეს დარღვევები იურისტთა უგულისყურობას დააბრალა, მაგრამ ამგვარი გულგრილობის მიზეზი მაინც ვერ ახსნა.

ვფიქრობ, საქმე მხოლოდ უგულისყურობასა და გულგრილობაში კი არა, იმ უამრავ ფალსიფიკაციაშიც იმალება, რომლის გარეშე წარმოუდგენელი გახლდათ ბერიას **"საქმის"** წარმოება. ძალიან ბევრი რამ, უნდა შეეთხზათ, გაეფორმებინათ ძველი რიცხვით და ა.შ. აქ კი აუცილებლად დაიბნეოდნენ და დაუშვებდნენ შეცდომებს, რამდენადაც ზუსტები და სკურპულოზურები არ უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ მათ ეს სკურპულოზურობაც ვერ გამოავლინეს და ამაში უყოყმანოდ უნდა ვენდოთ იგივე სუხომლინოვის მიერ გადმოცემულ ამბებს.

ამასთან, ყველა დასაპატიმრებელ დოკუმენტს ხელს აწერდა სსრკ-ს ახალი გენერალური პროკურორი, ხრუშჩოვის კადრი რომან რუდენკო. მან სასწრაფო წესით შეცვალა ამ თანამდებობაზე გრიგოლ ნიკოლოზის ძე საფონოვი, რომელიც ბერიასთან კარგ ურთიერთობაში იმყოფებოდა და ამიტომ ითვლებოდა **"ბერიას კაცად"**. ყველაზე სარწმუნო ისაა, რომ იგი, უბრალოდ, წესიერი ადამიანი გახლდათ. სუხომლინოვი, ეფუძნება რა, ამავე დროს, სსრკ გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ნ.ა. ბაჟენოვის ცნობებს, წერს, რომ საფონოვი იყო რბილი, ხასიათისა და კეთილი სულის მქონე ადამიანი, რომელსაც არავითარი ამბიცია და ჩინოვნიკური პატივმოყვარეობის ნატამალიც კი არ გააჩნდა. ბაჟენოვი ამტკიცებს, რომ 60-იანი წლების დასაწყისში, სსრკ გენერალური პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილეობამდე დაქვეითებული საფონოვი გამოირჩეოდა საშემსრულებლო დისციპლინით და კეთილსინდისიერებით. ამ დროისათვის იგი მხოლოდ 60 წლის იყო.

და თუ ბერიაზე ვიმსჯელებთ **"მისი კაცის"** გრიგორი საფონოვის მიხედვით, და თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ანტიკურ შეგონებას **"მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენ"**, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რაოდენ საქმიანი, უპრეტენზიო და კეთილშობილი პიროვნება გახლდათ ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

სსრკ გენერალური პროკურორის დანიშვნა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეროგატივა გახლდათ, ამიტომ საფონოვი სრულიად უკანონოდ იქნა განთავისუფლებული თანამდებობიდან, სკკპ ცეკას პრეზიდიუმის მიერ, 1953 წლის 29 ივნისს. ამ თანამდებობაზე მაშინვე იქნა დანიშნული რომან რუდენკო. ასე ხდებოდა იმ სოციალისტური კანონიერების **"აღდგენა"**, რომელსაც თითქოს სისტემატურად არღვევდა ბერია.

სწორედ რუდენკომ გასცა ფორმალურად სანქცია ბერიას დაპატიმრებაზე. – ეს 8 ივლისს მოხდა, მისი ფაქტიური დაპატიმრებიდან კვირანახევრის შემდეგ. და ეს უხეში დარღვევა გამოწვეულია არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმების უგულვებელყოფით. როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავად რუდენკოსაც ჰქონდა იმის პანიკური შიში, რომ მოვლენები შეიძლებოდა მთლად ხრუშჩოველთა სასარგებლოდ არ განვითარებულიყვნენ. ხოლო პლენუმის წარმატებით დამთავრების შემდეგ, რომელიც 1953 წლის 2-დან 8 ივლისამდე გრძელდებოდა, ხრუშჩოველები უფრო გათამამდნენ.

ამასთან, ოფიციალური სანქციის ქაღალდზე გაფორმება რუდენკოსათვის აღარ იქნებოდა ძნელი საქმე, რადგან 1953 წლის 8 ივლისისათვის ბერია უკვე საერთოდ აღარ იყო ცოცხალი, ან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს მიითვლიდა. მაგრამ ეს უკვე სულ სხვა თემაა...

დააპატიმრეს ასევე ბერიას სამდივნოს უფროსი ლიუდვიგოვი (იგი **"დინამოს"** სტადიონზე აიყვანეს, საფეხბურთო მატჩის დროს) და ბერიას პირადი დაცვის ყოფილი უფროსი სარქისოვი. ეს უკანასკნელი ფიგურა საინტერესოა იმითაც, რომ ბერიამ თავის დაპატიმრებამდე სამი კვირით ადრე გაანთავისუფლა პირადი დაცვის უფროსის თანამდებობიდან და დანიშნა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველი მთავარი სამამართველოს უფროსის მოადგილედ. მაგრამ, როგორც ჩანს, სარქისოვი იმ სამუშაოსაც ვერ შერჩებოდა დიდ ხნის განმავლობაში.

ამის თაობაზე გენერალი სუდოპლატოვი წერს, რომ სარქისოვი ან იმ ხალხმა დაპატიმრა, რომელთაც არ იცოდნენ, რომ იგი უკვე ბერიასთან აღარ მუშაობდა, ან დააპატიმრეს იმიტომ, რომ მეგობრულ ურთიერთობაში რჩებოდა ბერიასთან.

გამორიცხული არ არის მეორე ვარიანტი, მაგრამ ამის ახსნა მაინც სხვაგვარად შეიძლება. ვინ არის სარქისოვი? შინაგან საქმეთა სამინისტროს **"ღლავებთან"** შედარებით იგი ჭიჭყინაც კი არ არის, სრულიად უბრალო ლიფსიტაა. მაგრამ, აი, მას აპატიმრებენ... იმიტომ ხომ არა, რომ იგი გამოდგებოდა ბერიასათვის **"ყოფაცხოვრებითი"** ბრალდებების წარსადგენად? იგი ხომ მოგვიანებით სწორედ საამისოდ იქნა გამოყენებული. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბერიაზე წინასწარ საგულდაგულოდ იგეგმებოდა თავდასხმა და მისი ყოველმხრივი **"გაშავება"**.

მაგრა, ვის უნა გაეკეთებინა ეს ყველაფერი?

"ტექნიკური" დეტალების მომზადება ნიკიტა ხრუშჩოვს ნამდვილად არ შეეძლო, უცოდინარობისა და არასაკმარისი გამჭრიახობის გამო. მაგრამ, გამოდის, რომ ამ საქმეს ვიღაცა წინასწარ ამზადებდა.

წინასწარ!

და ამ საქმეში აშკარად იკვეთება საბჭოთა კავშირში სხვადასხვა პერიოდში მომქმედი ბინძური **"რუხი კარდინალების"** როლი.

ლავრენტი ბერიას დაპატიმრების თაობაზე უამრავი რამ დაიწერა, მისი თანამოაზრეებისა და თანამებრძოლების დაპატიმრებათა შესახებ კი – თითქმის არაფერი. ბერიას დაპატიმრების ყველა ვერსიაში აღნიშნულია, რომ მას თავისუფლება აღუკვეთეს მადალჩინოსანმა ოფიცრებმა ნიკიტა ხრუშჩოვის, ან გიორგი მალენკოვის ბრძანებით.

მაგრამ, ვინ დააპატიმრა სარქისოვი?

საინტერესოა, ვინ დააპატიმრა ქობულოვი და გოგლიძე, ვინ დააპატიმრა მეშჩიკი და დეკანოზოვი, ვინ დააპატიმრა ვლოძიმირსკი? მარშალ ჟუკოვსა და გენერალ ბატიცკის ხომ არ დაუპატიმრებია ისინი?

მაგრამ ვისი ბრძანებით ტარდებოდა ეს დაპატიმრებები? ორდერებს, დავუშვათ, ხელს აწერდნენ რენეგატი კრუგლოვი და ხრუშჩოველი სეროვი. მაგრამ ვინ კარნახობდა მათ, რომ დაპატიმრებული უნდა იქნას სწორედ ეს **"ექვსეული"**?

თუ რატომ უნდა იქნენ დაპატიმრებული – სავსებით ნათელია. ექვსივე ეს ადამიანი ბერიასთან დაკავშირებული იყო ამიერკავკასიიდან და სწორედ მათი ჩვენებების საფუძველზე შეიძლებოდა ბერიასათვის ბრალდების წაყენება მისი შრომითი ბიოგრაფიის ყველა ეტაპზე. ეს კი კიდევ ერთხელ მეტყველებს ფართომასშტაბიან შეთქმულების არსებობაზე ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ, რომლის გაძღოლის თავი და უნარი აშკარად არ გააჩნდა გონებაშეზღუდულ ხრუშჩოვს!

მკითხველს უნდა ვაუწყო, რომ არ ვაპირებ დიდი დრო და ადგილი დავუთმო იმ საკითხს, თუ როგორ და ვინ დააპატიმრა ლავრენტი ბერია. ლიტერატურაში ამის თასობაზე ათზე მეტი ვერსიაა მოყვანილი – უეჭველიც, ფუძემდებლურიც, საეჭვოც და ავანტიურულიც კი, რომელსაც შეიძლება მივაკუთვნოთ სერგო ბერიას **"ექსტრემალური"** ვერსიაც, რომლის მიხედვით მამამისი თითქოს დაიღუპა იმ საცხოვრებელი სახლის შტურმის დროს, სადაც ცხოვრობდა ბერია.

სარწმუნო ამ ვერსიებში ერთადერთია – ბერია ნამდვილად იქნა დაპატიმრებული. და ისიც უეჭველია, რომ ეს დაპატიმრება მოხდა 1953 წლის 26 ივნისს.

სერგო ბერიას ექსტრემიზმით გამორჩეული ვერსიისაგან განსხვავებით არსებობს სხვა ვერსიაც – ბერია დაპატიმრებული იქნა კრემლში მაღალჩინოსანი სამხედრო ოფიცრების (მარშალ ჟუკოვის და გენერალ მოსკალენკოს) მიერ და იმავე დღეს დახვრიტეს მოსკოვის ჰაერსაწინააღმდეგო ჯარების შტაბის ბუნკერში. იგივე ადასტურებს თავის წიგნში იური მუხინიც, რომელიც ამტკიცებს რომ ბერიას მიერ ბუნკერიდან გამოგზავნილი წერილები ფალსიფიცირებულია.

რა შეიძლება აქ ითქვას... დაპატიმრების წინ ლავრენტი ბერიას კრემლში და არა საკუთარ სახლში ყოფნა დოკუმენტურებულია სსრკ მინისტრთა საბჭოს №8532-PC უკანასკნელი დადგენილებით №813 კომბინატში ახალი თერმობირთვული ობიექტის აშენების შესახებ, რომელსაც ლავრენტი ბერია ხელს აწერს როგორც ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ხელისუფალი. მას ამ საბუთზე ხელის მოწერა შეეძლო მხოლოდ კრემლში, საკუთარ კაბინეტში, მის დაპატიმრებამდე. და, როგორც ჩანს, ბერია მისთვის უკანასკნელ თათბირზე წავიდა სწორედ თავისი კრემლის კაბინეტიდან.

მაგრამ, სად წავიდა იგი?

იმის შესახებ, თუ სად დააპატიმრეს ბერია, მოგონებებსა და დოკუმენტებში ასევე არსებობს უამრავი ვერსია. მაგრამ დოკუმენტების ანალიზის შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დაპატიმრება მოხდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობისას.

მაშ ასე, ბერია არ დაღუპულა მისი საცხოვრებელი სახლის შტურმის დროს. მაგრამ როგორ ვითარდებოდნენ მოვლენები მანამდე და ამის შემდეგ?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მიშას ლეში, ანუ აჭამეთ ბავშვს ძუძუ

ამას წინათ ავტობუსში ერთ დიალოგს მოვკარი ყური. ახალგაზრდა მამაკაცს რომ გაზეთი **«საქართველო და მსოფლიო»** არ სჭეროდა ხელში, იქნებ ყურადღებაც არ მიმექცია, მაგრამ მან რაღაცის წაკითხვის შემდეგ გვერდით მჯდომ დედაბერს ჰკითხა:

– ბებო, სააკაშვილი მართლა სტალინის დაბადების დღეს არის დაბადებული?

დედაბერმა ალმაცერად გახედა და უპასუხა:

– არა, შვილო, ტყუილი იქნება, ეგ უთუოდ ზაფხულში უნდა იყოს დაბადებული.

ახალგაზრდამ გაიკვირვა: – ვითომ რატომ?

დედაბერს ღრმა ნაოჭებში დიმილი შეეპარა:

– აბა, მაგის გულისთვის დეკემბერში ძუძუს ვინ ამოიღებდაო?

ბევრი იცინა ახალგაზრდამ და ბოლოს დაეთანხმა:

– ისე, მართალია, ძუძუ რომ არ უჭმევიათ, კი ეტყობა!

ამ პატარა ქვეყანაში ხომ არაფერი იმალება. ჯერ იყო და სააკაშვილის 2008 წლის გამოსათხოვარ შეხვედრაზე (არა, მიშასთან კი არა, ბუშთან გამოსათხოვარი იყო, თორემ ჩვენი მაღალი კვლავაც აქ არის და ჩვენთან გამოთხოვებას არც 2013 წელს აპირებს!) ჯორჯ ბუშ-უმცროსთან ფორუმებში ასე გამოეხმაურნენ: **«მე ვფიქრობ, კონდოლიზა რაისზე იბაზრეს, – რას გავსო და, საერთოდ, პოლიტიკაში რა ნიანგი ქალები მოდიანო, რამე უნდა ვიღონოთო».**

ჰოდა, მიშამაც იღონა (აბა, ბუში რაღას იღონებდა, როცა ბოლო თვეებს ითვლიდა თეთრ სახლში!) და საქართველოს მთავრობას **«ნიანგები»** – სალომე ზურაბიშვილი და ნინო ბურჯანაძე მოაცილა და სეფე-ქალებით შეავსო. მათგან ყველაზე მდგრადი – ეკონომიკის მინისტრი ვერონიკა ქობალია აღმოჩნდა. მას ვერც ბათუმის **«შერატონის»** აუზში ფიზიკურმა მარცხმა დააკარგვინა ადგილი და ვერც არითმეტიკის არცოდნამ (თბილისიდან ბათუმამდე მანძილს საათობით და ბენზინის ლიტრებით რომ ანგარიშობს).

საერთაშორისო მედიაში სააკაშვილის ქალბატონების სიაში მეორე ადგილს პატიმრების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე იკავებს. წერენ, რომ მას მიშასთან ერთად მიუღია განათლება ამერიკაში. ერთად რა მიიღეს, უცნობია, რადგან ეს ქალბატონი (უკაცრავად, საქალბატონე) უფრო მონაკოს პრინცის დახვედრა-გაცილებაშია შემჩნეული, ვიდრე იურისპრუდენციის მოკლე კურსის მეცადინეობაში.

მესამე ადგილს ნინო კალანდაძე იკავებს, რომელიც სააკაშვილმა აეროპორტში გაიცნო, თანაც ისე ახლოს, რომ მიხვდა: კალანდაძის გარეშე საქართველოს პარლამენტი და საგარეო უწყება წინ ვერ წავიდოდა. მას შემდეგ კალანდაძე ტრადიციულ ორშაბათის ბრიფინგებს მართავს და საქართველოს საგარეო საკითხებზე საგანმანათლებლო ლექციებს კითხულობს.

სია გრძელია და მასში ალანა გაგლოევა, ნინა წკრიალაშვილი და უკვე კარგად მივიწყებული მაია ნადირაძეც კი ფიგურირებენ. თუმცა ამ აღმატებულ ქალბატონთა გარდა, არსებობს კიდევ სხვა სიაც, რომელშიც ცნობილი, ნაკლებად ცნობილი და სულაც უცნობი ქალბატონები იკავებენ ადგილს.

ასე მაგალითად, ბათუმის **«შერატონის»** აუზში, ვერონიკა ქობალიას გარდა, სხვადასხვა სახის ტრავმა ნათია ბანძელაძემაც (პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი) მიიღო, რომ არაფერი ვთქვათ ძირითად დაზარალებულზე. ლეიბორისტები რის ლეიბორისტები იქნებოდნენ, რომ მიშასთვის ნამუსი შეენახათ და მოედო ქვეყანას ამბავი:

«მიხეილ სააკაშვილი თავის მხლებლებთან თუ ხელისბიჭებთან ერთად რომელიღაც რესტორანში ღრეობდა თურმე, რომ იქვე **«შერატონში»** მყოფი საქმოსნები ახალგაზრდა ქალის გამყინავმა კივილმა შეაკრთო და შეაშფოთა. მთელი **«შერატონი»** გარეთ გამოფენილა, მაგრამ სააკაშვილის იმწუთიერ ადგილსამყოფელს, ცხადია, ახლოს არავინ მიაკარეს. როცა მიშა და გულშემოყრილი ქალბატონი იქურობას სასწრაფოდ მოაშორეს და ყველანი ჯიპებით გაქრნენ, ცნობისმოყვარე ხალხს ადგილზე დახვდა სისხლით მორწყული იატაკი, ხოლო მომსახურე პერსონალი დამბლადაცემულივით ჩიფჩიფებდა: ამ მხეცმა და საქონელმა რა უქნა საცოდავ გოგოს... ჯერ იყო და თავი მოჭრა ამდენ ხალხში, მერე ესეც არ აკმარა და ძუძუს კერტი მოადეჭაო!

როგორც წყაროს ბათუმელებმა უთხრეს, თურქეთის კლინიკაში, სადაც ძუძუსთავმოჭრილი თუ მოღეჭილი ქალბატონი გაუქანებიათ სამკურნალოდ, ექიმებმა ვერაფერი გააწყვეს და თურქეთიდან მიხეილ სააკაშვილის მორიგი მსხვერპლი ისრაელის ულტრათანამედროვე კლინიკაში მოათავსეს, სადაც მას ძალიან ძვირადღირებული პლასტიკური ოპერაცია უნდა ჩაუტარდესო.

«ექიმობანას» თამაშში მიშა ადრეც იყო შემჩნეული. როგორც ჩანს, დოქტორ დოტის მიერ კბენა-კბენით ჩატარებული მასაჟი ისე ტკბილად დაამახსოვრდა, რომ თავადაც გადაწყვიტა ამ მეთოდის პრაქტიკაში დანერგვა, მაგრამ ვერ მოზომა, ან ბავშვობისდროინდელმა კომპლექსებმა იმძლავრა და ძუძუს კბილიდან გაშვება ვეღარ მოახერხა.

ესეც იმ გოგოს ბრალი იქნებოდა, – როცა ამხელა მაღალთან ყოფნა გინდა, ძუძუ ისე მაინც უნდა ავარჯიშო, რომ კბილებში არ შეატოვო პირველ კაცს!

ფიზიკურ მარცხს გადაურჩა და ერთობ კმაყოფილიც გახლავთ უკრაინელი პოპდივა ივანა მელაი, რომლის შენახვა საქართველოს ბიუჯეტს წელიწადში ნახევარი მილიონი უჯდება, თუმცა ეს მხოლოდ ოფიციალური ხარჯებია და როდის იყო, **«ჯიგიტი»** ქალს რამეში ფულს ახდევინებდა? მას უფასოდ ემსახურება ბათუმის «შერატონი» და ზარალას **«რადისონი»**, არც აუზი აკლია და არც სპა-ცენტრი.

ზოგადად, მიშას ჰარამხანის იმპორტულ თანავარსკვლავედზე უკვე იმდენი დაიწერა, რომ იქნებ ზედმეტიც იყოს ამ თემისკენ მიბრუნება, მაგრამ მიშა რის მიშაა, თავად რომ არ მოგცეს საბაბი!

ამ დღეებში გამოჩნდა ინფორმაცია, რომ მისი სექსუალური თავგადასავლები გრძელდება. ამჯერად მიხეილ სააკაშვილის რჩეული პოლონელი მომღერალი ნატალია ლეშია (**Natalia Lesz**). სარწმუნო წყაროებით დასტურდება, რომ სააკაშვილს ახლო ურთიერთობა აქვს მომხიბვლელ და ექსტრავაგანტურ ქალბატონთან. **«რადიოაქტიური ბლოგი»** მომღერლის მეგობრებს დაუკავშირდა, რომლებიც პირად საუბრებში არ მალავენ, რომ ნატალია ლეში საქართველოს პრეზიდენტზეა შეყვარებული.

მომღერალმა სულ ცოტა ხნის წინ ბათუმზე სიმღერაც კი ჩაწერა და კლიპიც გადაიღო. პოლონელი ლამაზმანი მალე საქართველოს ეწვევა და მონაწილეობას მიიღებს **Breakfast TV**-ის გადაცემაში, რომელიც ქართულ ტრადიციებს, ღვინოსა და სამთო-სათხილამურო ტურიზმს შეეხება.

პრეზიდენტმა თურმე ოფიციალურად დაავალა ნატალია ლეშს საქართველოს პოპულარიზაციაზე ზრუნვა. სწორედ ნატალია ხელმძღვანელობს კომპლექსურ სარეკლამო კომპანიას პოლონეთის ბაზარზე, რაც მოიცავს რეკლამებს სატელევიზიო, ინტერნეტ და ბეჭდვით მედიაში, ასევე გარე რეკლამებს (ბანერები, ბილბორდები).

ამის თაობაზე ნატალიამ პოლონურ ტელევიზიასთან ინტერვიუში ისაუბრა. ის აღტაცებული ჰყვება მისი და საქართველოს პრეზიდენტის ახლო ურთიერთობის შესახებ და ამბობს, რომ საქართველოში პირველად პირადად სააკაშვილის მიწვევით ჩავიდა.

გადაცემის წამყვანი გაოცებული ეკითხება მომღერალს, რატომ აირჩია სააკაშვილმა მაინცდამაინც ნატალია და არა სხვა რომელიმე?! **«ეს ხომ უცნაურია, როცა რომელიღაც ქვეყნის პრეზიდენტი გირეკავს და გეუბნება, რომ ის საკუთარ ქვეყანაში გეპატიჟება»**, – ამბობს წამყვანი. ნატალია კი პასუხობს, რომ ამ შეკითხვაზე პასუხი არ აქვს და ეს ჟურნალისტმა თავად სააკაშვილს უნდა ჰკითხოს.

მომღერალი ამბობს, რომ მას სააკაშვილთან ბევრი საერთო აქვს, მაგალითად, ორივენი ნიუ იორკში ერთსა და იმავე უნივერსიტეტში სწავლობდნენ. ერთი სიტყვით, სააკაშვილმა, მის მიერ სტაჟირებაგავლილ უნივერსიტეტში ვისაც უსწავლია, ყველას რომ თითო დარგი ჩააბაროს, გვეშველება და ეგ არის! ოღონდ პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: ეს **«უნივერსიტეტის მეგობრები»**, სააკაშვილის კარის გარდა, რატომ ვერსად ხდებიან წარმატებული მინისტრები, ელჩები და სარეკლამო აგენტები?

ქართულ ფორუმებში ენამწარე იუზერებს რა გამოლევს და ამ ახალი ლამაზმანის გამოჩენას იქვე დააწიეს კომენტარი: **«მიშა თვითონაც პოლიტიკურ გვამად გადაქცევის საფრთხის წინაშეა და ეგუება»**. იგულისხმება მომღერლის გვარის ქართული მნიშვნელობა. ლეშის ჭამა კი, მოგეხსენებათ, ლომისა და არწივის ჩვევა არ არის. ლეშს სვავი და ტურა მიირთმევს.

მავანი იტყვის, ამ კაცის თავგადასავლებს მისი ცოლი არ დარდობს და თქვენ რატომ იკლავთ თავსო. იქნებ მართალიც იყოს, სხვის ლოგინში ყურება არც ჩვენ გვეხალისება, მაგრამ ჩვენი გატყავებული ბიუჯეტი რამდენ სოლისტს აიტანს, უცნობია. ისინი კი ბათუმის **«პიაცაზე»** გუნდურად გამოსვლას არ თანხმდებიან, – ყველას სოლო კონცერტი უნდა, თანაც ისეთ ვარსკვლავებთან, რომელთა კონცერტებზე დასწრებასაც კი არ ღირსებიან მანამდე!

ოდესღაც, ხალხი რომ **«ბნელი»** იყო (ანუ რევოლუციამდე), საქართველოში გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი **«მზიური»** არსებობდა, რომლის კონცერტზე დასწრების შემდეგ ვიღაც ბობოლა სტუმარს (ახლა რომ დაახლოებით, **ნატო**-ს დირექტორის დონე იქნებოდა) უთქვამს: **«აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი აღარ იქნებაო!»**. მისი პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ, დღეს, ალბათ, ასე უნდა ითქვას: **«დედებო, ბავშვს ძუძუ ბავშვობაშივე აჭამეთ და დიდობაში მარცხი აღარ მოუვა»**

თამარ დავითულიანი,
გაზ. "საქართველო და მსოფლიო"

მუჭანჭები

(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)

თითო-ოროლა გაფუჭებული კი არა, საქართველოში მაღალანაზღაურებადი ფილოსოფოს-ფსიქოლოგები, ათასი ჯურის არასამთავრობოების ვირთხები, ექსპერტები, მრჩეველები, პოლიტიკოსები დასუნსულობენ. **მათი სახელი ლეგიონია.**

ეს ლეგიონი ქადაგებს **უზნეობას, გაუკუღმართებულ სექსს, რყვნიან ახალგაზრდობას, ებრძვიან ქართულ ცნობიერებას, ქართულ ტრადიციებს და ცხოვრების წესს, ამკვიდრებენ ჩვენთვის უცხო და მიუღებელ ევრო-ამერიკულ შტამპებს, ამახინჯებენ ქართულ ენას ანუ ქართულ მსოფლაღქმას, ებრძვიან მართლადიდებლობას, ნერგავენ ეროვნულ ნიჰილიზმს, წამლავენ ქართული სულიერების მკვებავ წყაროს – მწერლობას! ამკვიდრებენ მასობრივი კულტურის სუროგატებს... გლობალისტების დაკვეთით ცდილობენ ქართველი ერის გადაგვარება-გადაჯიშებას და ამზადებენ დანის ტომიდან ანტიქრისტეს აღსაყდრებისათვის!**

მინდა მკითხველს შევახსენო ცნობილი მასონის ა. დალესის დოქტრინა: **"ლიტერატურამ, თეატრმა, კინომ – ყველამ უნდა ასახოს და განადიდოს ყველაზე ბიწიერი გრძნობები. ჩვენ ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ და ავამაღლებთ იმ ე.წ. მხატვრებს, რომლებიც ადამიანის ცნობიერებას თავს მოახვევენ და შთაუნერგავენ სექსის კულტს, ძალადობას, სადიზმს... ერთი სიტყვით, ყოველგვარ უწესობას... ამგვარად, ჩვენ ახალგაზრდებს გავათახსირებთ, გავხრწნით მათ. ჩვენ ვაქცევთ ჩვენი გავლენის აგენტებად, თავისუფალი მსოფლიოს კოსმოპოლიტებად. აი, ასე ვიქმთ ჩვენ ამას".**

როცა დალესი ამ სტრიქონებს წერდა, ალბათ ტელევიზია არ არსებობდა, თორემ მასაც აუცილებლად მოიხსენიებდა.

საქართველოში ლიტერატურა, თეატრი, კინო და ტელევიზია დალესის დოქტრინის უერთგულეს მიმდევრებად და ცხოვრებაში გამტარებლად გადაიქცა.

ლიტერატურა

რუსთაველის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლადო ასათიანის, ტერენტისა და გიორგი ლეონიძის პოეზია და პროზა შეცვალა ყუბანეიშვილის, ბარბაქაძის, შამუგიას, ლეკიაშვილის, დეისაძის, ბურჭულაძის, ბუდაძის და სხვა მრავალთა პოეზიამ და პროზამ.

მათ კრედოს, მრწამსსა თუ მსოფლმხედველობას გადმოგცემთ ბილწსიტყვაობის დიდოსტატის ზაზა ბურჭულაძის სიტყვებით: **"დღევანდელ დღეს, საბაზრო ეკონომიკი ჯუნგლებში სხვა არაფერს აქვს ისეგვარად დიდი გასავალი, ვით უდვთო ბილწსიტყვაობას, და მეტადრე, მხატვრულ ლიტერატურაში. მეტიც, ერთადერთი, რაც აცოცხლებს დღემდე ამ გადასაშენებელ დარგს მხოლოდ ბილწსიტყვაობაა, ბილწსიტყვაობა და პორნოგრაფიული ეპიზოდების დეტალური აღწერილობა: სასქესო ორგანოთა ხახუნი, თესლის ნთხევა – გარკვეული სპაზმებისა და ოხვრების თანხლებით".**

მართლაც, იგი დეტალურად აღწერს საკუთარ დედასთან სექსს და ღმერთმა მაპატიოს, ჩვენი ერის სულიერ მამას, უწმინდესსა და უნეტარესსაც ამცრობს და შეურაცხყოფს: **"ზაზა და კუკალა ისე გახურდნენ, ბათუმელ ბიჭუნას კი არა, რამე ყოფილიყო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსაც ააღელვებდნენ".**

ეს სულიერად მახინჯი ჩვენი ტელევიზიის ხშირი და საპატიო სტუმარია. ჟურნალ **"ტაბულაში"** სვეტიც აქვს დათმობილი. ერთ-ერთი ნომრის გვერდზე მწერალი აღშფოთებული საუბრობს თბილისში მომრავლებულ მათხოვრებზე. მას გულს ურევს ეს მათხოვრები, არ ეცოდება, უკვირს რატომ მათხოვრობენ. წუხს, **"ამდენ მათხოვარს სად დავემალოთ. დავიჯერო, ვინმეს სიამოვნებს, გასავალს რომ არ აძლევენ, გვერდში ადევნებულები ხელზე რომ ეკიდებიან და სულში უძვრებიან შემაღონებელი წუწუნით: "დამეხმარე! ხატი იყიდე! ხურდა მაჩუქე!.." მოკლედ, თქვენი არ ვიცი, ჩემში კი ისინი არანაირ სიბრალულს არ იწვევენ".**

დიდი ჰუმანისტი მწერალი კი ფიქრობს, რომ მათხოვრობა დანაშაულია და კითხვას სვამს: **"ნუთუ შეუძლებელია მათი რამენაირად შეზღუდვა? გასაგებია, საზოგადოებრივი აზრი უძლურია, ნუთუ კანონშიც არა გვაქვს შესაბამისი მუხლი, რომელიც ამ ამბავს დაარეგულირებდა?"**

დარწმუნებული ვარ **"დარეგულირებაში"** მათხოვრების დაპატიმრებას და ციხეში გამოკეტვას გულისხმობს.

ლიტერატურისმცოდნეობაზე თავს არ ვდებ, მაგრამ არ მეგულება არც ერთი ეპოქისა და ქვეყნის მწერალი, რომელსაც მათხოვრის ხვედრი გულთან არ მიჰქონდეს და საზოგადოებას არ ადანაშაულებდეს მათ გაუბედურებაში.

სრულდება თუ არა დალესის დოქტრინა? ლიტერატურა განადიდებს თუ არა სექსის კულტს, ძალადობას, სადიზმს? რყვნიან თუ არა ახალგაზრდობას? ებრძვიან თუ არა მართლმადიდებლობას?

თეატრი

დღევანდელი ქართული თეატრის დასახასიათებლად საკმარისია გავიხსენოთ დიდი რეჟისორის გაძევება და რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლები. სექსი, პორნოგრაფია, უხამსობა, დედიშობილა მსახიობების სცენაზე სირბილი...

კინო

ერთ დროს სახელგანთქმული **"ქართული ფილმი"** დღეს დალესის დოქტრინის ერთგული მიმდევარია. რეზო ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის ფილმების შემდეგ ჩვენ ვუყურებთ უნიჭო ახალგაზრდების მიერ გადაღებულ ფილმებს, რომლებიც განადიდებენ სექსს, ძალადობას, უხამსობას, ყოველგვარ უწესობას...

ტელევიზია

დალესს თავის დოქტრინაში ტელევიზია ნახსენები არა აქვს, მაგრამ დღევანდელი ქართული ტელევიზია თავისი შესაძლებლობით ბევრად აჭარბებს ერთად აღებულ ლიტერატურას, თეატრს, კინოს...

ტრაბახი, უნიჭოდ დადგმული შოუები, მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონების სასიყვარულო თავგადასავლების რეკლამირება... ქართული ტელემედია წალეკა უაზრო, გამომათაყვანებელმა უცხოურმა ტელესერიალებმა... ყოველივე ეს ემსახურება ერთ ამოცანას: **მოსპოს ეროვნული ტრადიციები, ეროვნული კულტურა, შეცვალოს ქართველი კაცის ცნობიერება და ცხოვრების წესი, გადააგვაროს ქართველი ახალგაზრდობა, გააამერიკელოს! გვინდა თუ არ გვინდა, უნდა ჩავწვდეთ ამერიკის სულს!**

სრულდება თუ არა დალესის დოქტრინა? ქართული ტელევიზია აბატონებს თუ არა მასობრივ კულტურას, კიჩს, ყალბ გრძნობებს? ასუსტებს თუ არა ახალგაზრდებში ეროვნულ სულისკვეთებას?

ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ ლიტერატურა, თეატრი, კინო, ტელევიზია, ანუ ერის სულიერი საზრდო ხელში ჩაიგდეს მუტანტებმა.

შედეგსაც ვიმკით.

რა გვიშველის?

"მაშ, რაისათვის ვცოცხალვართ?!"

ამ კითხვას, იქნებ ვინმემ უპასუხოს.

თენგიზ კუბლაშვილი

P.S. წერილში მოტანილი საკმაო რაოდენობის ამონარიდების და ციტატების წყარო მითითებული არ მაქვს გაზეთში ადგილის ეკონომიის გამო. თუ რომელიმე მკითხველს ეჭვი შეეპარება მათ სისწორეში ან არსებობაში, შემიძლია შევატყობინო სად და როდის დაიბეჭდა, გვერდების მითითებით.

თ.კ.

სიტყვა თქმული აკაკი წერეთლის მიერ 1896 წელს პრინცს ალილ მიურატის წლისთავზე

– ქალბატონებო და ბატონებო! ბევრჯერ დავსწრებივართ გამოჩენილ ადამიანთა სულის მოსახსენიებლად გამართულ აღაპს, მაგრამ დღევანდელისთანა განსაკუთრებული არ მახსოვს. დღეს აქ თავი შეეყარეთ, რათა ჩვენი პატივისცემა დავუდასტუროთ ჩვენგან უდროოდ წასულ აშილ მიურატს. მიურატი წარმოშობით ფრანგი იყო, ნაპოლეონ ბონაპარტის შთამომავალი, იმ ნაპოლეონისა, რომელსაც ჩვენმა დიდებულმა პოეტმა ნიკო ბარათაშვილმა ათქმევინა: **„ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!“**

დიახ, აშილ მიურატი ფრანგთა იმპერატორის შთამომავალი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც თავისი ბედი საქართველოს დაუკავშირა ეკატერინე დედოფლის წინადადებით, აქ, სამეგრელოში დასახლდა, თავის სამშობლოდ საქართველოს თვლიდა! მერედა სამშობლოს მოცილება დიდი უბედურება არ არისო? – იკითხავს ვინმე და ჩვენც რასაკვირველია ამავე აზრისა ვართ: სამუდამოდ თავისი სამშობლოს მოშორება ნახევრად სიკვდილია. ეს საზოგადოდ კანონია, ოღონდ ჩვენისთანა პატარა ერის შვილთათვის ერთიორად ძნელია, მაგრამ აშილი ხომ დიდი ერის შვილი იყო და, რაც უმთავრესია, მისი მეუღლე ქალბატონი სალომე დადიანი ხომ სულით ხორცამდე ქართველია და ამ პატიოსანმა მანდილოსანმა გადააჭარბა სამშობლოს სიყვარულში მიურატებს და აქ ჩამოიყვანა ისინი. ხოლო მიურატებმა აქ რაც გააკეთეს, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ და ამის მოთხრობით არ დაგღლით, მაგრამ აქ მეორე მხარეს მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო: ისტორიულად საქართველოზე უზომოდ შეყვარებული სხვა ერის შვილებიც გვახსოვს ჩვენ, საკმარისია აქ ჰაბო თბილელი მოვიგონოთ, საქართველოსა და სარწმუნეობაზე შეყვარებული ჰაბო! აქვე ისიც მოვიგონოთ, რომ ყველა უცხოელი როდი მოდის აქ ჩვენს სასიკეთოდ, ან როდი უძგერთ მათ ქართულად გული. აქ ჩამოითესება, შენს ნამოსახლზე გამოჭიმავს ციხე-გალავანს და შენ არად გაგდებს, ძმობას შორს დაიჭერს და, თუ მოახერხა, ჩაგყლაპავს კიდეც.

უძველესი დროიდან დაწყებული, მისთანა ხალხი არ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავებოდეს: ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი, სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდნენ და გასაოცარია, როგორ გადავრჩით. და არა მარტო გადავრჩით, არამედ დღემდის მოვიტანეთ ჩვენი მეობა, ჩვენი დიდი სულიერი კულტურა. ვერ ვიტყვი, ამ ურიცხვ მტერთა შემოსევებმა არ შეგვარყიეს-მეთქი. აგერ ჩვენი იონა მეუნარგია დამიდასტურებს, რომ ჩვენი სახელი თვით საფრანგეთშიაც კი არ იციან კარგად. ხშირად უცხოეთში: **„გეორგიას“** ეტყვი **„გრუზიას“**, თუ **„კავკასიას“**, საქართველოს მაინც ვერ გააგებინებ და ვერა. ეს მაშინ, როდესაც ჩვენ მარტო რუსთაველი გვეყოფა, რომ მსოფლიოს ყველა კუთხეში გვიცნობდნენ, მაგრამ ვაი, რომ რუსთაველიც ვერ გაგვიტანია ჩვენი ქვეყნის იქით. ბატონმა მეუნარგიამ დიდი პატივი დაგვდო, ჩვენი უკვდავი რუსთაველი ფრანგულად გვითარგმნა. ამით მეორედ დაიბადა რუსთაველი უცხოელებისათვის და ბევრმა მადლიერმა ადამიანმა ხელი მოჰკიდა იონა მეუნარგიას თარგმანის მიხედვით რუსთაველის თარგმნას სხვადასხვა ენებზე. მერე რა, თვით ეს თარგმანიც ვერ გამოვეცით ფრანგულად.

ახლა უფრო არასასიამოვნო ამბავი უნდა გითხრათ: ამას წინათ, თბილისში, ბაზარში შევიარე, თბილისელი კაცი ქართლელი გლეხისაგან რაღაცას ყიდულობდა. ჩანს, ვერ მორიგდნენ და გაბრაზებულმა ქართველმა გლეხმა მეორეს მიმართა: ვინაა ეს კაცი, ქართველია თუ იმერელიო? ამის გამგონე იქვე გავშეშდი, ვიფიქრე, ჩავერევი-მეთქი საუბარში, მაგრამ უხერხულად ჩავთვალე და უსიტყვოდ გავშორდი იქაურობას, მაგრამ იმ ღამეს არ დამეძინა. აი, ასე, არ გვესმის ხშირად ერთმანეთისა: კახელს ქართლელისა, ქართლელს იმერლისა... ცალ-ცალკე ღობე შემოგვივლია ამ ძველი ტომობრივი სახელებისათვის და ერთი საერთო დედა საქართველო გვავიწყდება ხშირად. მაგრამ მე გული არ გამტეხია, მე ბევრს დავდივარ, მთელი საქართველო შემოვლილი მაქვს და ვხედავ, რომ საქართველო უკვე იღვიძებს. მე მჯერა, არ მომკვდარა, მხოლოდ ძინავს და ისევე გაიღვიძებს ჩვენი ერი. ამის იმედს მაძლევს მე საქართველოს ყველა კუთხე, ეს იმედი თან მახლავს ყოველთვის, როცა თქვენთან ვარ, თქვენთან კი, როგორც მოგეხსენებათ, მე ხშირად ვარ. საქართველოში ახლა დიდი გაერთიანების სული ტრიალებს და მე მჯერა და მწამს ისევ აღდგება დავითისა და თამარის ერთიანი საქართველო. ახალ ნერგზე დაფუძნებული უფრო ძლიერი და შეუვალი. ახლა ერთი ამბავი უნდა გიამბოთ:

– ჩემო წალკოტის მშვენებავ, რატომ ადრინდულად აღარ ჰყვავი? ან ნაყოფს არ იძლევი? და თუ იძლევი, იმასაც უვარგისს? – დაეკითხა მებაღე ხილის ხეს.

– იმიტომ, რომ დავჭიანდი, – უპასუხა დამჭკნარმა ხემ, – მას შემდეგ რაღაი დედამიწამ მიღალატა, ცამ დამსეტყვა, ქარმა შემარხია, რაღა ძალი უნდა შემრჩენოდა?– ეგ კი, მაგრამ განა ცოტა მიწამლია შენთვის?

– გიწამლია? ჰმ! შენ რომ საჭყეპელით გარედან მიშხაპუნო, ის შინაგან სატკივარს რას არგებს? აბა დააკვირდი ჩემს შტოებს, ზოგი გამხმარია, ზოგიც ახლა ჭკნება, თვითონაც უნაყოფოა და სხვებსაც უშლის. შენ კი პირი დაგიღია და შემომყურებ. რატომ არ გამოიტან ცულს და არ გადამსხეპავ იმ უსაშველო ტოტებს, რომ მათ ადგილზე ახალმა ამოიყაროს? მაშინ ნახავ თუ რა ნაყოფს გამოვიღებ.

– განა ეგ კიდევ შესაძლებელია?

– ჯერ კიდევ, სანამ ძირი მაგარი მაქვს, აბა ნახე ერთი როგორა მაქვს ფესვები გაბაჯაჯგინებული, შენ მხოლოდ ხელი შემიწყვე და და სხვა მე ვიციო.

დაიჯერა მებაღემ, აასრულა რჩევა და ხემაც გაიხარა.

დიახ, ხემ გაიხარა, მაგრამ შენ რა გაგახარებს, წალკოტის მსგავსო, ჩემო პატარა ქვეყანავ? უმეცრება შენი შინაგანი წყლულია და უგუნურობა გტორავს. ვინ არიან და სად დღეს შენი მებაღეები, რომ სულზე მოგისწორონ და გამოგაბრუნონ? მართალია, გარს გეხვევიან, სიყვარულსა და ერთგულობასაც ჩემულობენ შენსას, მაგრამ ეს ყოველიფერი მათივე თავმოყვარეობის ნაყოფია, საპირადო ჩარჩოებში ჩასმული. დღევანდელი ჩვენი წარა-მარა ღრიალი **„გაუმარჯოს საქართველოს!“** და **„მრავალჟამიერო!“** რა არის თუ არა საჭყაპელათი შაბიამნის გარეგანი შეშხაპუნება? თავმომწონედ რომ დამჭკნარ შტოებს ვეპოტინებით და ფესვები ლამის ამოვაგდოთ, ნუთუ ეს არის გონივრული ჭირისუფლობა? „**მრავლის მეტყველებით ვერავინ ცხონდებაო**“, ბრძანებს უფალი და ჩვენ კი ცარიელ სიტყვებითა ვართ გადაქცეული. აბა ვის უჭირავს ხელში ის ცული, ის მახვილი, რომლითაც უნდა ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას გამხმარი შტოები მოაცალოს, ვარდსა და ეკალს ძირი უგდოს, ხორცმეტი მოჰკვეთოს, რომ დამჭკნარი გაანედლოს? ეს ცული და მახვილი არის შეგნებული სიყვარული და ერთგულება ქვეყნისა, რომელსაც თავდადება ჰქვია და სიმართლით გალესილი, უსასყიდლოდ, უშიშრად, პირდაპირ სჭრის და ჰკვეთავს. ბრალი ვის უნდა დავსდვათ? ვინ უნდა გავამტყუნოთ? ხალხი თუ მისი მეთაურები? რასაკვირველია მეთაურები!

მე მინდა ვილაპარაკო **„მეგრელობაზე“**, რომელიც ამ ბოლო დროს ზოგიერთებს საპარადო იარაღად გაუხდიათ და ლამის მტრობა და შური ჩამოაგდონ ძმათა შორის.

თუ არ მზაკვრობა და უგუნურება, გონიერება და სიმართლე იმას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყონ და მეგრულიც ძირითადი ქართული! ძველათ კოლხეთი ანუ ბერძნების კოლხიდა, ეს დღევანდელი სამეგრელო, უმტკიცესი და უკეთესი ნაწილი იყო მთლიანი საქართველოსი. მაშინ, როდესაც ამერ-იმერთა მეფეები, აფხაზთა მეფეებად იწოდებოდნენ. როდესაც მონღოლობამ საქართველო დასცარა და ერთიანი საქართველო ორ სამეფოდ, ამიერ-იმიერად გაჰყო, მაშინ პატარ-პატარა საერისთავოებმაც დამოუკიდებელი მთავრობა მოინდომეს და მათ უგუნურს და ქვეყნისათვის მავნებელ პირადობას გარეშე პოლიტიკამ ხელი შეუწყო. ამან გამოიწვია შინაური კინკლაობა, ძმები ერთმანეთს ჩამოაშორა, მაგრამ მაშინ კიდევ არც ერთ სამთავროს, არც გურიას, არც აფხაზეთს და არც სვანეთს და არც სამეგრელოს, არ დავიწყებიათ, რომ ქართველები იყვნენ. წირვა-ლოცვა, მწიგნობრობა და სადარბაისლო საუბარი მათი ყველასი იყო ქართული და ქართული. თავისი თავის სხვა ვინმედ წარმოდგენა არ შეეძლო, და სხვებს რომ ეთქვათ შეურაცხყოფათა და გაკიცხვად მიიღებდნენ. მართალია, ერთმანეთში შინაურობაში, ხშირად ჰქონდათ კინკლაობა, მაგრამ გარეშეებთან არ დავიწყებოდათ თავისი ერთტომობა, სისხლხორცობა და კავშირს გაუწყვეტელობა. ამ ოცდაათის წლის წინეთ, რომ სამეგრელო იმერეთს შეუერთეს, სიხარულითა და ლიტანიით მიეგება შეგნებული ნაწილი ორივე მხრისა! განსვენებულმა ალექსანდრე მიქელაძემ, მაშინდელმა თავად-აზნაურობის წინამძღოლმა, ლხინი გადაიხადა და უნდა გენახათ რა ლხინი იყო ეს ლხინი?! ძილის პირულები, საერო და სასულიერო სხვადასხვაგვარი **„მრავალჟამიერი“**, გურული კრიმანჭულები, მეგრული ტკბილი ღიღინი და მრავალგვარი სუფრული, ყველა ერთად სხვადასხვაგვარად, მაგრამ საერთოდ კი ნამდვილი ქართული გძნობა-გონების გამომეტყველ-გამომხატველი, ამშვენებდა სუფრას და ადიდებდა ლხინს. უნდა გაგეგონათ იქ მეგრელების მჭერმეტყველება და მათი გამტკიცული, გაწმენდილი ქართული და მაშინ იტყოდით, აი სად ყოფილან ნამდვილი ქართველებიო!

მას შემდეგ დიდმა ხანმა გაიარა და აბა თუ ვინმე იმას იტყვის, რომ მეგრელებს ან სიტყვით ან საქმით მოეცესო რამ საბუთი, რომ ჩვენ ვსთქვათ: ისინი აღარ ქართველობენო, პირიქით... ქართველობა დღეს იმათ უფრო ეტყობათ, ჩვენს საზოგადო საქმეში მეტი მონაწილეობას ისინი იღებენ, ქართულ ჟურნალ-გაზეთს ისინი მეტს იწერენ, წიგნებს სამეგრელოში მეტი გასავალი აქვს, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში, გარდა გურიისა, საერო საქმის თანამგრძნობი არიან და მაშ რაღაში მდგომარეობს მათი ჩვენგან განცალკევების სურვილი?.. თუ იმას ვიტყვით, რომ მათ შინაურობაში, განსაკუთრებით დაბალ წოდების ხალხს მეგრულ კილოზე ლაპარაკი უფრო ეხერხებათო, ამით რა დაშავდება? სამწერლო და სადარბაისლო ქართული იმათ ჩვენზე ნაკლები არ იციან. **მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვების.** აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოუღია, რომელიც ქართულის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს... **და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები... ჩვენ ურჩევთ ჩვენ მწერალ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეავსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი.** ეს რომ ასეა, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ერთმა უბრალო ახირებულობამ, იძულებული გვყო დღეს, რომ **„მეგრელობაზე“** ვისაუბროთ. ტყვილა კი არ არის ნათქვამი: **„თავდაპირველად მუნი ქვეყნად ერთმა თაგვმა გააჩინაო“**. ამ რამოდენიმე წლის წინეთ ერთმა ვიღაც წინდაუხედავმა კაცმა აიხირა, რომ ჩვენ მეგრელები ქართველები არა ვართ და ჩვენი ენა სულ სხვა ენა არისო. ეს არ მოეწონათ მეგრელებს! იტკიცეს! ვინ ამბობს, რომ ჩვენ ქართველები არა ვართო? მეგრელები რომ ვართ, ეს მართალია და ნურც მოგვიშალოს ღმერთმა ჩვენი მეგრელობა, ისე როგორც გურულს გურულობა, ქართლელს ქართლელობა, კახელს კახელობა, რაჭველს რაჭველობა და სხვანიო... მაგრამ იმავე დროს მაგრამ იმავე დროს ნუთუ საერთოდ ქართველები არა ვართო? და როდის აგვიღია ხელი იმ დედა ენაზედ, რომლითაც ღმერთს ვადიდებდით მრავალ საუკუნეობის განმავლობაში და სამშობლოს ვემსახურებოდით!.. დაუცაცხანეს იმ ახირებულ ფილოსოფოსს და მოსვენებას აღარ აძლევდნენ.

მეგრელების შორსმჭვრეტელობამ და წინდახედულობამ კუდი აღარ მოაქნევია უჯერობასა და უსამართლობას... კუჭის მიმდევარი ინტელიგენტები დღეს ასპარეზზე შფოთს აგდებენ მოძმეთა შორის, ეს სულ არჩევნების ბრალია! კაცს რომ სიმდერის ნება მისცე, მაგრამ იმ პირობით კი, რომ პირზე ხელი დააფარო, რაღას იმღერებს? უხეიროდ შემოღებულმა არჩევნებმა, როგორც ბანკისამ, ისე ქალაქისამ დიდი ვნება მოუტანეს ჩვენს ცხოვრებას, გაუღვიძეს საუკუნო სურვილები, გაუხსნეს მადა ზოგიერთ ინტელიგენტებს და ის ჩაადენინეს, რაც საკადრისი არ არის და რაც წინედ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ. ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, ოღონდ კი თავისი გაიტანონ და გაიმარჯვონ! მარტო გამარჯვებითაც რომ აღარ თავდება უსიამოვნება?! ბრძოლის დროს ერთმანეთის პირდაპირობასა და შეხლა-შემოხლის დროს გამოწვეული უსიამოვნება რჩებათ გულში და კერძო ცხოვრებაში შეაქვთ იერიში. ეს კიდევ არაფერი, რომ ამ კერძო უსიამოვნების დროს ვნებათა ღელვა არ აბრმავებდეს მეტოქეებს! თავის პაწაწინა თავმოყვარეობას, წვრილმან კერძოობას უფრო მაღლა აყენებენ საქვეყნოზე და თითქმის ღალატს ჩადიან. მაგალითად: მეთაურობის ხელში ჩასაგდებად გამოდიან მეტოქეები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან: ერთი მეგრელია, მეორე გურული, მესამე რაჭველი, მეოთხე ზემოური, მეხუთე ქვემოური და ამრიგად სხვა რომ არა მიუძღვისთ რა, ხრიკებს მიმართავენ ხოლმე და ბრბოს აბრიყვებენ: მეგრელებო! მე მეგრელი ვარ და ჩემი დამარცხება თქვენი შეურაცხყოფა იქნებაო!.. გურულებო! მეგრელებმა არ გვაჯობონ და მე გურული გავშავდე, თქვენი შერცხვენა იქნებაო!.. იმერლებო! გაიძახის იმერელი მეტოქე – მოგვადგნენ მეგრელ-გურულები და აღარ გვზოგავენ, ბუზადაც აღარ გვაგდებენ და ჰკა მაგათ!.. დავანახოთ, რომ ჩვენ კაცები ვართ, ქუდი გვახურავსო... შავი მაგათო და სხვანი. ამგვარის ტყუილებით და უკადრისობით ლამის სხვადასხვა კუთხის ქართველობა ერთმანეთს გადაჰკიდონ და საშვილიშვილო მტრობა ჩამოაგდონ!.. საჭიროა ყურადღების მიქცევა... იმას ნურვინ იტყვის, რომ წვრილმანი რამეა და აღარ ღირს გამოკიდებაო, ეს ის ეკალია, რომელიც ეშმაკის ხელით ითესება და შემდეგში გვიჩხვლეტს და დაგვაწყლულებს! ძველათ ბურთაობისა და სხვა სავარჯიშო შექცევების გარეშე ორად რომ გაიყოფოდნენ ხოლმე მოთამაშეები, **„არჩევანი“** და **„არადანი“** იცოდნენ, არეული იყვნენ ერთმანეთში და არა დას-დასად დაყოფილი. გურული ცალკე, მეგრელი ცალკე, სვანი კიდევ ცალკე და სხვანი. ამას მიტომ შვრებოდნენ, რომ გაცალ-ცალკევებას ცუდი შედეგი არ მოჰყოლოდა რა... და ჩვენ კი დღეს განზრახ ვცდილობთ, რომ ერთმანეთს დავაშოროთ და მტრობა ჩამოვაგდოთ როგორმე! ოჰ, ეს დიდი სენია! და ამ თავითვე უნდა წამლობა! ამ საერთო ფილოქსერას, ჯერ კიდევ სანამ გარედან აზის დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას და ფესვებში არ გაჯდომია, შესაფერი საჭყაპელა ეჭირვება. დრო არის, რომ თავი დავანებოთ უაზროთა და უადგილოდ წარა-მარა **„მრავალჟამიერის“** ბდავილს და საჭიროა სწორ გზას დავადგეთ... შინაურობაში მივიხედ-მოვიხედოთ. **„ჩემიან-შენიანობაზე“** ხელი ავიღოთ და საიდანაც უნდა იყოს, ვინც უნდა იყოს, მოყვარეს მოყვარულ მივეგებოთ და მტერს მტრულად დავუხვდეთ!

მე ახლა, როცა თქვენს წინაშე ვდგევარ, თქვენებური, მეგრული ღიღინი მახსენდება:

ყელსაბმელო მარგალიტო,
ნეტავ მარად ჩემთან იყო!
ნამეტანი სიყვარულით
მეშინია არ ჩაგკვნიტო.

P.S. *დღეს დიდი მგოსანი ცოცხალი რომ იყოს, იგივეს იტყოდა...*

მასალა მოგვაწოდა ქალბატონმა

ციალა არდაშელიამ

უნდა ითქვას სიმართლე

მე არ მჭირდება არავითარი მეცნიერული ტიტული, ერთ დროს შევცდი, რადგან მიმანიშნებდნენ ჩემს სპეციალურ სკოლა-გაუვლელობაზე და თითის ქნევით მაფრთხილებდნენ: შენ არა გაქვს უფლება დაანგრიო ივანე ჯავახიშვილის მიერ ჭეშმარიტებად მიღებული აზრიო. ამიტომ ვითხოვე ჩავერიცხეთ მაძიებლად, მაგრამ დაფინანსება არა გვაქვსო და უარი მივიღე. ჩვენი მეცნიერები მეცნიერად თვლიან იმას, ვინც გაიარა ოფიციალური სკოლა, დამაკმაყოფილებელ ნიშნებზე ჩაბარა სპეციალური პროგრამა, სადისერტაციო შრომა მოამზადა მაღალკვალიფიცირებულ, ტიტულოვან მეცნიერთა ხელმძღვანელობით, ჩააბულბულა სამეცნიერო სხდომაზე და ასე გახდა „დიდი მეცნიერი“. მე ეს გზა არ გამივლია და არც მაქვს პრეტენზია ვიწოდებოდე მეცნიერად; არც უშეცდომობის პრეტენზია მაქვს; მირჩევნია, არ მერქვას მეცნიერი და ისე დავუშვა შეცდომები, ვიდრე მერქვას და შეცდომებს ვუშვებდე. მე დამოუკიდებელი, მაგრამ ამ სფეროთი ძალზე დაინტერესებული მკვლევარი ვარ, რაც განაპირობა ივანე ჯავახიშვილის „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“-ზე გაცნობამ, რომლის შემდეგ ჩემი ცხოვრების აზრი ე.წ. მეგრული ენის კვლევაში ვპოვე. პარალელურად ვეცნობოდი საენათმეცნიერო ლიტერატურას, ვაწარმოებდი დაკვირვებებს, ერთმანეთს ვადარებდი გაბატონებულ აზრებს და ჩემს მიგნებებს. ხანგრძლივი შრომის შემდეგ დავრწმუნდი, რომ არსებული დოგმები გადასახედია და შესასწავლია სიღრმისეულად. ამ მიზნით გამოვაქვეყნე ნაშრომი **ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი**. როგორც აღვნიშნე უშეცდომობის პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ ღრმად მჯერა ჩემი მიგნებების ჭესმარიტებისა და თუ გამოჩნდება ვინმე, რომელიც დაამტკიცებს (უარყოფის ნიშნად უხმოდ თავის კანტური არ მაკმაყოფილებს), რომ ჩემი მიგნებები არასწორია, ან სწორია, მაგრამ მისი აღიარება საზიანოა ქართველი ერისათვის და ოფიციალურად დადებს მაგიდაზე არგუმენტირებულ მასალას, მე ორივე ხელს ავწევ და ვეტყვი ჩემს მეგრელებს: ძმებო, ჩვენი უძველესობის მტკიცება სიკეთეს ვერ მოგვიტანს, მეგრულ ენაზე არავის გავაგონოთ ჩვენი ხმა და რაც შეიძლება, მალე დავივიწყოთ მეგრული ენა-მეთქი. მაგრამ სანამ არ არსებობს ასეთი მტკიცება, ხოლო ჩვენი მეზობელი არმენები ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ცდილობენ დაამტკიცონ თავიანთი ცხოვრება კავკასიაში 25 საუკუნეზე მეტ ხანს, კავკასიის ნახევარი ტერიტორია, უმჯობესი მიწები სომეხთა კუთვნილება იყო, ხოლო ქართველთა წინაპარი სომეხი, ცოცხალს ვერავინ გამაჩერებს. ასეთი არგუმენტები უდასტურებს არმენებს, რომ ქართველები ტიგრან II-ის მიერ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილი მტვირთავებია (грузчики — грузины), ამიტომ ისინი, ვინც იცნობს ჩემს ნაშრომებს და დუმილს არჩევს, პირწავარდნილი სომეხი და ქართველი ერის აშკარა მტერია. ასე თუ არ არის, რა უნდა იმის გარკვევას, რომელია ძირისეული ენა, რომელიც ვერ ხსნის აღნიშნულ ლექსიკონში წარმოდგენილი ძირების მნიშვნელობას და ჩასახვის საფუძვლებს, თუ ის, რომელიც ხსნის მას?

ყველაფერი ზემოხსენებული კარგად იციან პატივცემულმა მეცნიერებმა, მაგრამ არა მეცნიერულად, არამედ ვერაგული მეთოდებით ცდილობენ ცნობიერებიდან ამოვიგდოთ მეგრული ენა და მისი სიძველე. ამაზეა აქცენტირება, თორემ დღეისათვის ე.წ. მეგრული ენა პრაქტიკულად თანაბარი რომ არ არის ქართულთან – ეს ბრწყინვალედ იციან. ყველაფერი ეს განა ღია კარების მტვრევა არ არის, როცა ე.წ. მეგრულ ენაზე რამდენი საუკუნეა მწერლობა არ წარმოებს და დღეისათვის ის ვრცელდება სულ რაღაც ექვს რაიონში? მაგრამ აქ სხვა ვერაგული მიზანია ჩადებული:

თუ მიღწეული იქნება, რომ ნამდვილი ძირისეული ფუძე ენა ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში ჩაიბეჭდება, როგორც დიალექტი, ხოლო ნამდვილი ძირისეული ფუძე ენის დიალექტი ფუძე ენად, რომლის არსებობაზე 523 წლამდე არაფერი სმენია მსოფლიო საზოგადოებას, ამით საკუთარი ხელით მოკვეთილი იქნება უძველეს, დასაბამიერ წარსულში გადგმული ფესვები და ჩვენი ერი აღმოჩნდება, მართლაც გაურკვეველი წარმომავლობის ერად. ამით ფართო ასპარეზი ეხსნებათ არმენებს, რომ ამტკიცონ: კავკასიაში და საქართველოს ტერიტორიაზე ისინი არიან აბორიგენები და უფრო თამამად განაცხადონ ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწებზე პრეტენზია, რომ პრაქტიკულად განახორციელონ იცნებაში არსებული „დიდი არმენიისათვის“ ქართული მიწების მიკუთვნება. ამას 10 საუკუნის შემდეგ მაინც არ უნდა მივხვდეთ ქართველები?

ამ მიზანს ხომ XI საუკუნეში ჩაუყარა საფუძველი არმენმა ჯაშუშმა ლეონტი მროველიმ თავის „ქართლის ცხოვრებაში“, რომელშიც ნათქვამია:

„აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსაც ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაც დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგანი შეიქმნა ენა ქართული. იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთა, რამეთუ ცოლქმრობისათუის არ უნდა ნათესავობა და ყოველთა ნათესავთა, სულიერსა სჭამდეს; საფლავი არა იყო, მკუდარს შესჭამდეს“ („ქართლის ცხოვრება“ ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ. 1942, გვ.10).

ამ ციტატაში მითითებულია, რომ ქართების იბერებზე გამარჯვების შემდეგ ქართლური ენის გაბატონების შედეგად შეიქმნა დიდი უთანხმოება და გაუგონარი სისხლისღვრა, შემდეგაც ისე გრძელდებოდა იბერიულ ენაზე ზეწოლა, რომ XI საუკუნის არმენოფილ მემატიანეს მიეცა საფუძველი ეწინასწარმეტყველა იბერიული ენისა და სხვა კულტურული ღირებულებების პირწმინდად აღგვა, ამით ქართების მიერ საკუთარი მომავლის თანდათანობით გაწირვაც და ჩვენი ერის ისტორიის ეს პერიოდი იმ ხანაში გადაიტანა, რომლის წინარე პერიოდი ბურუსითაა მოცული [კოლხეთში კიმერიელთა ლაშქრობიდან (ძვ.წ.აღ. VIII საუკუნე) იავარქმნილი იბერიის ტერიტორიაზე იბერთა სახელმწიფოს ისევ ჩამოყალიბებამდე (ძვ. წ.აღ. VI საუკუნე) პერიოდი] და თამამად განაცხადა: „აქმომდის (ძვ.წ.აღ. VI საუკუნემდე, კ.ფ.) ქართლოსიანთა ენა სომხური, ანუ ჰაიაკური, არმენული იყოო და მშვენივრად გრძნობდნენ თავსო; იმ ხანად, შემდგომ საქართველოდ წოდებული ტერიტორია, არმენებს ეკუთვნოდაო, ხოლო ქართველები ამ ტერიტორიაზე გვიან ჩამოსული ხალხიაო, მაგრამ ამის თქმას, სომხური წარმოშობის სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე ვერ ბედავდნენ. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ჩვენმა არაკეთილმსურველებმა გამოაშკარავეს ადრე მომზადებული გეგმა და ევროსასამართლოში განაცხადეს: „ქართველები გაურკვეველი წარმომავლობის ერიაო“. მოკლედ, სარგებლობენ რა ქართველთა უნიჭო ქმედებებით, მიზანმიმართულად ახორციელებენ 1961 წლის პოლიტბიუროს საიდუმლო სხდომაზე მიხეილ სუსლოვის მიერ წარმოდგენილ ვერაგულ გეგმას. (იხ. სტატია „რატომ ებრძვიან კოლხურ-იბერიულ ფესვებს“).

როგორც კი გამოქვეყნდა ეს გეგმა, ე.წ. სომხეთის, ანუ არმენიის საპრეზიდენტო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა სურენ აივაზიანმა გააკეთა ასეთი ცინიკური და უტიფარი განცხადება: „ქართველები ტიგრან II ჩამოიყვანა მტვირთავებად პირინეის იბერიიდან და დღეს ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე, რომელიც არმენებს ეკუთვნოდა და იმ დროს რუსები ცხოვრობდნენ, გრუზიკები შეარქვეს, საიდანაც წარმოსდგა ეთნიკური სახელწოდება გრუზინი“-ო.

იმის ნაცვლად, რომ მათთვის საკადრისი პასუხი გაეცათ ჩვენს მეცნიერებს, უფრო აქტიურდებიან და იერიში მიიტანეს ე.წ. მეგრული (იბერიული) ენის წინააღმდეგ. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დაგმო ტ. ფუტკარაძისა, თ. გვანცელაძის და მათი თანამოაზრეთა ქმედებები და, როცა გვეგონა გამოიდანრა, ბ-ნმა გიზო ჭელიძემ შეგვაპარა შხამი. იგი წერს: „ მეგრული ლექსიკონები სავსეა ფუძე-ქართულისეული სიტყვებით“. თუ ჩვენი სალიტერატურო ენის ფუძე და ძირი ქართლურია, წარმოადგინოს ბ-ნმა გიზომ, ან სხვა ვინმემ მის მიერ ჩამოთვლილი სიტყვების და საკუთარი გვარის ეტიმოლოგია, ოღონდ ე.წ. მეგრულის გამოუყენებლად.

ცხადია, რომ ჩვენს საერთო სალიტერატურო ენაში ეროვნულად მიჩნეული სიტყვების ძირი ე.წ. მეგრული, ანუ იბერიულია და თუ ამ ძირს გამოვაცლით საერთო ე.წ. ქართულ ენას, დაგვრჩება სპარსულის, არმენულის, გრეკულის, ლათინურის, არაბულის, თურქულის და ა.შ. ნაზავი – მათი კონგლომერატი, ამიტომ არ უნდა გამოვაცალოთ საერთო ქართულს ე.წ. მეგრული ძირი, თორემ გაურკვეველი წარმომავლობის უწარსულო ეროვნებად წარმოვჩინდებით.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში **მეგრული** კომპონენტი **ქართლურზე** მეტი თუ არა, ნაკლები არ არის. ამდენად, მეგრული არაფრით არაა დაჩაგრული, უფრო მეტი, ჩვენს საერთო სალიტერატურო ენას **ქართული** ჰქვია, თორემ ის უფრო ე.წ. მეგრულია, იბერიულია. ალბათ, ამიტომ ცდილობს ზოგიერთი მეგრულის როლის გაუფერულებას, თორემ მეგრელთაგან მისი ე.წ. საერთო ქართულიდან გამოყოფა, ნორმალურს, არავის მოუვა აზრად. და თუ ადრე, დავუშვათ და, ასეთმა ბრიყვულმა აზრმა გაუელვა ვინმეს, დღეს ასეთის საშიშროება გამორიცხულია და შეუძლია მშვიდად იყოს ყველა, თუ ასეთი შიში არსებობს, რადგან საქართველოს 55 რაიონიდან წმინდა იბერიული ენა ექვსიოდე რაიონს შემორჩა ოჯახში სალაპარაკო ენად და გარდაუვალია მისი საბოლოო გაქრობა. მაგრამ თუ ეს მოხდა საერთო სალიტერატურო ენის შექმნაში მეგრული ენის როლის აღიარებამდე, რამოდენიმე წელიწადში მოხდება საერთო ქართული ფენომენის გაქრობაც. სწორედ, ამას უცდის ჩვენი გარეშე თუ შინაური მტერი. ამიტომ, თუ ჩვენი მეცნიერები მათი მსახურნი არ არიან, დროზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რომ კოლოსალური ენერგია განთავისუფლდეს უსარგებლო და უსაფუძვლო მიზეზებზე ფიქრისაგან და მთელი ეროვნული ძალები მოხმარდეს სამშობლოს კეთილდღეობას.

მაინც რა უნდა ყოფილიყო ქართთა და იბერთა დაპირისპირების მიზეზი?

ჩვენი აზრით, მიზეზი იყო იბერიული ენის არეალში **ქართლური** დიალექტის ჩასახვა და იბერთა მიერ თავისი მოდგმის ხალხისათვის **ქართების** შერქმევა (იხ. ჩვენი „ეთნიკური სახელწოდებების **ქართი**-ს **მეგრელი**-ს, **იბერი**-ს „ეტიმოლოგია და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის პრობლემა“ და „პირველყოფილი ცოდო ქართული ერის ისტორიისა, თუ მადლი უკვდავებისა?“ გ-თი **„ილორი,“** №104-114-123).

აკად. რისმაგ გორდეზიანის მტკიცებით პროტოქართული ენის დიფერენცირება დაიწყო ძვ.წ. აღ-ის ორი ათასწლეულის წინათ და დამთავრდა ძვ.წ. აღ-ის მე-15 საუკუნის მიჯნაზე: „კვლევის თანამედროვე დონეზე სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ქართველური კომპონენტი ერთ-ერთი არსებითი უნდა ყოფილიყო ძვ.წ.აღ. II ათასწლეულის ეგეოსური დასავლეთმედიტერანული ცალკეული კულტურისა და ენის ჩამოყალიბების პროცესში, რომ კავკასიურ-მედიტერანული მიმართებების საკმაოდ დიდი ნაწილი სავარაუდო ოდინდელი ნათესაობის დონეზე კი არ დაიყვანება, არამედ ძვ.წ.აღ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე დაწყებული კავკასიური მიგრაციებით უნდა აიხსნას“ (რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური, თბ. 1980, გვ. 64).„... ბერძნულ წყაროთა მონაცემები სხვადასხვა ეგეოსურ გადმოსახლებათა შესახებ კავკასიაში გვიან ბრინჯაოს ხანის განმავლობაში სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს. როგორც ჩანს, სხვა ფაქტორებთან ერთად სწორედ მათი შედეგი იყო ქართველურ ენათა საბოლოო დიფერენციაცია“ (რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ. 1985, გვ. 167).

მეგრულ-ქართლული ენის ანალიზმა, კერძოდ, შესატყვის სიტყვათა ძირების ერთ თავდაპირველ ენაზე ჩასახვისა და შემდგომ განსხვავებული მიმართულებებით განვითარების დანახვამ, მოგვცა საფუძველი, გვეფიქრა: პროტოქართული ენის დიფერენცირება დაიწყო, ჯერ კიდევ, თანხმოვნური მეტყველების ხანაში. შემდგომ ეგეოსური გადმოსახლებების გამო ინდოევროპული მოდგმის ხალხთან იბერთა იმ ნაწილის შერწყმამ, რომლებშიც უკვე ჩასახული იყო განსხვავებული დიალექტი, უფრო გააღრმავა განსხვავება, რაც უნდა იყოს ძირითადი მიზეზი იბერთა და ქართთა დაპირისპირებისა, რასაც ხელს უწყობდა ჩვენი ისტორიული მტრები – სპარსელები. ამ დაპირისპირებამ ჩვ.წ.აღ-ის მე-6 საუკუნის დასაწყისისათვის პიკს მიაღწია და 523 წლის სპარსეთთან ომის შემდეგ ქართების მიერ ჰეგემონობის ხელში ჩაგდებით დამთავრდა. ამის შემდეგ განადგურებული იქნა იბერიული ცივილიზაციის დამადასტურებელი ძეგლები, მაგრამ იბერიული ენის სრული განადგურება ვერ შეძლეს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მე-10 საუკუნის ბოლო მეოთხედისათვის სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილთა სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობით მოხერხდა იბერიული მოდგმის მოძმე ხალხთა ისევ კონსოლიდაცია, რამაც ჩვენი ერის ნახტომისებური განვითარება გამოიწვია და რუსთაველის ეპოქაში ოქროს ხანა დაგვიდგა. მაგრამ, ეტყობა, შინაურმა და გარეშე მტრებმა დროებით დაიხიეს უკან, თორემ იბერთა წინააღმდეგ ბრძოლა არ შეწყვეტილა მისი სრული განადგურებისათვის, რაზეც ჩემს შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული ეპიზოდები მეტყველებს.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს გადავეცი ჩემი გამოკვლევა – **ბან,‖ ბონ** = - ძირისეული ფორმის, **ფიქრი** –სა და **წიგნი** –ს ეტიმოლოგიაზე და მათ მიერ ჩასახვის მომენტში მიღებული მნიშვნელობების შესახებ. ამასთან, გადავეცი არაოფიციალური, უბრალო ადამიანური წერილი, სადაც ვწერდი, რომ წარმოდგენილი გამოკვლევის (იხ. „რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?“, ჟ-ლი **აია** №2(14) 2010 წ.) მსგავსად შესწავლილი მაქვს 150-ზე მეტი ძირისეული ფორმა და სალიტერატურო ქართულ ენაში არსებული ეროვნული წარმოშობის სიტყვები, მაგრამ შეიძლება მას აკლდეს თანამედროვე მეცნიერულ დონეზე საჭირო კვალიფიციური ხელწერაა და ვთხოვდი: დამახმარეთ კვალიფიციური ენათმეცნიერები, რომლებიც უკანსკნელი მიღწევების დონეზე გაითვალისწინებენ საენათმეცნიერო მოთხოვნებს და იქნებიან ნაშრომის ავტორები, ხოლო თუ მეც თანაავტორად ჩამთვლიან, დიდად მადლობელი ვიქნები – მეთქი.

გულახდილად ვიტყვი: ასეთი ნაბიჯი იმიტომ გადავდგი, რომ, მიუხედავად იმისა, თითქმის ყველა უდიდესი აღმოჩენები ეკუთვნით არადიპლომირებულ, მაგრამ მეცნიერული ძიებებისკენ მოწოდებულ მკვლევართ, ოფიციალური მეცნიერება ეჭვის თვალით, თუ შურით უყურებს უტიტულო მკვლევარებს და ცდილობენ ჩაკეტონ და ჩაკლან მათში ღვთით მომადლებული ნიჭი, ხოლო თუ შევძლებდი ე.წ. მეგრული ენის სიღრმისეული კვლევით სპეცსკოლა გავლილი მეცნიერების დაინტერესებას, ამით გადაილახებოდა ის ბარიერი, რომელიც შეიქმნა 1866 წლის პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების ოფიციალური განცხადების საფუძველზე და კრძალავდა ენის და მეტყველების წარმოშობის სფეროში კვლევითი სამუშაოების წარმოებას.

როგორც კი ინსტიტუტის დირექტორს – ქალბატონ ლალი ეზუგბაიას გადავეცი ჩემი არაოფიციალური წერილი, შევედი პროფესორ კონსტანტინე კაკიტაძის სამუშაო კაბინეტში და სიტყვა ჩამოვაგდე ძირისეული ფორმების წარმოშობისა და მათ მიერ მნიშვნელობების მიღების კვლევის პრობლემებზე.

ბატონმა კოტემ ბრძანა, რომ ძირისეული ფორმების მნიშვნელობებისა და ეტიმოლოგიის საიდუმლო ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია და ამის გარკვევას ვერავინ შესძლებსო. მე მოკრძალებით მოვახსენე, რომ რაღაცეები მოკვლეული მაქვს ამ სფეროში, ოღონდ დახვეწა სჭირდება – მეთქი...

ამასობაში ქ-ნმა ლალიმ შემოაღო კარი და ბატონი კოტე იხმო. მე მივხვდი მიზეზს და გადავწყვიტე დამეცადა მისთვის.

ერთი საათის შემდეგ ბატონი კოტე დაბრუნდა თავის კაბინეტში ყურთამდე გაბადრული და მითხრა: ძალზე საინტერესო მიგნებები გქონია, კი ბატონო ვითანამშრომლოთო. მაგრამ ჩვენი თანამშრომლობა ვერ შედგა, რადგან მე ვერ აღმომაჩნდა საჭირო მოქნილობა, ბატონი კოტეც ცრუ დოგმების ბრმა და ყრუ ტყვე აღმოჩნდა და თავისი ცრუ რწმენის ძალზე ხისტი დამცველი.

კუკური ფიფია,
“ფაზისის” აკადემიის აკადემიკოსი

როგორ შეიძლება საქართველოს ისტორიაზე სომხების მიერ დაწერილი ქართლის ცხოვრებით ვმსჯელობდეთ?

საქართველოს ისტორია თავიდან ბოლომდე გაყალბებულია

გთავაზობთ ინტერვიუს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწე, ჩვენს დიდი მეგობარსა და მხარდამჭერთან, სამაგალითო მოქალაქესა და მამულიშვილთან ბატონ კლიმენტი შელიასთან.

– ბატონო კლიმენტი, თქვენმა ნაშრომებმა კოლხეთის შესახებ, რომ კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება, რომ კოლხეთი ჩვენი სამყაროს კარიბჭეა და კოლხეთი კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანია, დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა, არ მახსენდება, რომ რომელიმე ისტორიკოსს ოპონირება გაეწიოს თქვენთვის. რას უნდა ნიშნავდეს ეს?

– მოდით, ასე შევთანხმდეთ, როდესაც კოლხეთზე ვსაუბრობთ, იგულისხმეთ საქართველო, წერისას კი აუცილებლად მიუთითეთ გვერდზე, რადგან კოლხეთი და საქართველო ერთი ეთნოსია, მერე გაითიშნენ, ისტორიის ბედუკულმართობით. 11 ათასი წლის წინანდელი, ნეოლითის ხანის წარწერებია აღმოჩენილი. ნამდვილად დიდი მეცნიერია თამაზ გამყრელიძე, მაგრამ რომ წერს, ბერძნულიდან მომდინარეობს ქართული დამწერლობაო, – უდიდესი სისულელეა. თუ თქვენ ამას მიმიხედავთ, ჩემს საქმეს კი არა, უდიდეს ეროვნულ საქმეს გააკეთებთ. მე დღეს ვარ და ხვალ აღარ ვიქნები, მაგრამ იმ წიგნს, რომელიც დღეს გამოცემული არ არის, ვიღაც ხომ გამოსცემს ოდესმე...

გია კვაშილავას მაგალითს გეტყვით. მსოფლიო აღიარება ჰპოვა, მაგრამ საქართველოში ხმას არ იღებენ... მიდის მიმართვა ყველასთან, მაგრამ ქართველი ისტორიკოსები და მეცნიერები დუმან. ეს ნიშნავს იმას, რომ წყალში ეყრებათ ყველაფერი... თამაზ გამყრელიძეს დიდ პატივს ვცემ, ხომ ეტყვიან, ქართული დამწერლობა, ჯერ კიდევ 4 ათასი წლის წინადროინდელია (**“ფესტოსის დისკო”**) და რას ამბობ შენო?

– მითია თუ სინამდვილე, არ ვიცით, მაგრამ ხომ არის ჩვენამდე მოღწეული, რომ მედეას ორი შვილი, რომლებიც თითქოსდა მან დახოცა, სინამდვილეში ქართული ანბანის ორი ასო იყო, “იოტა” და “ეი”, რათა “სიბრძნის წიგნის” საიდუმლო არ გაეგოთ, “ოქროს საწმისის”...

– და ოქროს დამუშავება... პირველად ბელგიიდან დამირეკეს, ხახაშვილი იყო გვარად, ძალიან გახარებული იყო, ბატონო კლიმენტი, ეს რა წავიკითხეო. **აშშ**-ში გამოდის ე.წ. ქართველი ებრაელების გაზეთი **“დავითის ფარი”**. მათ უნდოდათ ჩემი ნაშრომის გამოქვეყნება, მაგრამ როგორც ჩანს, აღარ მოინდომეს გარკვეული მიზეზების გამო...

– თქვენ ამბობთ, რომ ჯერ კიდევ 14.000 წლის წინ იყო კოლხური ცივილიზაცია. სად გაქრა, როგორ, რამ გააქრო?..

– საქართველომ დაკარგა ყველა ტერიტორია – ერაყი, ტიგროსი, ევფრატი, – საქართველო იყო... კოლხუა ერქვა ერაყის დედაქალაქს, ანმარე (**“ღვთის კაცი”**) ერქვა მეფეს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 3.185 წლიდან 3.120 წლებში მეფობდა. მე ამას ხომ არ ვთხზავ, ყველა წყაროს ვუთითებ წიგნში. ახლახანს კაზრეთში აღმოაჩინეს არქეოლოგებმა, რომ 6.000 წლის წინათ ოქროს ადნობდნენ აქ, დანადგარების მთელი სისტემაა...

– თბილისში ახლადაღმოჩენილ აბანოებზე რას იტყვით, თბილისის დაარსების თარიღი და ლეგენდა რომ გვიცამტყვერდება? გამოდის, რაღაცეები გაყალბებულია...

– ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის **“საქართველოს ისტორიის”** სახელმძღვანელოში, რომელიც სამჯერ გამოიცა ქართულ ენაზე (1943, 1946 და 1948 წლებში), ორჯერ – რუსულად (1946 და 1948 წლებში) და სტალინური პრემიაც კი მიიღო, ნათქვამია: **“უძველეს ხანაში, ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ, ხეთურ-იბერიულ გვარ-ტომებს, ერთმანეთის მონათესავე ხალხებს, ვრცელი მიწა-წყალი ეჭირა აზიაში, აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში”**. წიგნის რუსულ ენაზე გამოცემამ სსრკ-ის მეცნიერები არაფრთოვანა, ახმაურდა მსოფლიო, მაგრამ როგორც კი სტალინი გარდაიცვალა, მოსკოვმა წიგნი აკრძალა, მოძველდაო და მოითხოვა ახალი სახელმძღვანელოს დაწერა. 1958 წელს, ნებსით თუ უნებლიედ, აღარ აქვს მნიშვნელობა, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოიცა სრულიად გაყალბებული საქართველოს ისტორია.

ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ზ. რატიანი წერდა, გადამთიელმა შოვინისტებმა ისე დაგეშეს ქართველი, მათ წინააღმდეგ თვით აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილს არაფერი გაუვიდაო. სახელმძღვანელოს, რომელშიც, სულ მცირე, ქართველი ერის ისტორიის 2.500 წელი აქვს მოპარული, არ შეიძლება რაიმე მეცნიერული ღირებულება ჰქონდეს; მთლიანად გაყალბებული და შეთითხნილია ქართველი ერის და უძველეს ქართველურ სახელმწიფოთა წარმოშობის ისტორიაო.

– “ქართლის ცხოვრება”?

– ეს საშინელება სომხურია, მაგრამ, რა გინდა გააკეთო – ყველა ისტორიკოსი **“ქართლის ცხოვრებიდან”** ამოდის, – აღარ შეიძლება ამდენი სიყალბე!

მოკლედ რომ ვთქვათ, მტრებმა წაართვეს ტერიტორიები, მაგრამ უბედურება კიდევ სხვა რამეშია, – კოლხეთს, დღეს რომ მხოლოდ სამეგრელოდ მოიაზრება, უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს.

– სხვათა შორის, დროდადრო “სამეგრელოს თემა” რომ წამოიწევს ხოლმე, რას იტყვით, რას უნდა ნიშნავდეს, ხან ავტონომიის მოთხოვნის საშიშროებას დაგვძახიან და ხან რას...

– სამეგრელოს ავტონომია კი არა, ყველა, ვინც საქართველოს გაერთიანებას მეთაურობდა, აფხაზ-მეგრელი იყო ამის წამომწყები. ქუჯი, კაცო, ქუჯი, – მეფობაზე უარი თქვა და მამასახლისს მისცა მეფობა... ძალიან დიდ წარსულზე და ძალიან დიდ კულტურაზეა საუბარი და ამის ატანა უჭირთ, მითუმეტეს, რომ საქართველოს გაერთიანების იდეის მატარებლები არავის უნდა, – სამეგრელოს ებრძვიან ვითომ, მაგრამ ამით მთელ საქართველოს ებრძვიან...

ანანია ჯაფარიძე მეცნიერი კაცია, მაგრამ ისეთ რამეებს წერს სამეგრელოზე, გადაირევით...

– მეუფე ანანიაზე ამბობთ, მანგლისის მიტროპოლიტზე?

– დიახ, მასზე მოგახსენებთ. მან ხმა მისცა კონფესიების თავისუფლებას, – ფაზისი არმენიისა იყოო. ფაზისი რიონს ერქვა, ფოთთან უერთდება ზღვას, ფაზისიც ფოთს ერქვა და ეს იძახის, სომხეთში იყოო, კაცო! – ე.ი. სომხეთის ყოფილა ფოთი?

– მეუფე ანანია თუ ამას ამბობს, აბა, რაც ვერჩით სომხების სურვილს აღადგინონ “დიდი სომხეთის” საზღვრები...

– მე რომ გამოვეცი წიგნი **“კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი”**, წიგნის რედაქტორმა მემანქანე გოგონაზე მითხრა, ეროვნებით სომეხიაო. იყოს, რას ვერჩი-თქო, გამიკვირდა. არ გასულა ერთი თვე და სომხებმა გამოსცეს წიგნი **“სომხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი”**, სამი ავტორი აწერს ხელს. ამ გოგონამ იმდენად ვერ შეიკავა თავი, რომ ერთი წიგნი მე მისახსოვრა. წავიკითხე და ძირითადი დებულებები ჩემგან იყო გადაწერილი. კარგად იცოდნენ ეტყობა, ქართული...

მეგრული ენა კილო-კავია, მეგრული ენის აღიარება ენად გამოიწვევს საქართველოს დაშლასო და ა.შ. – საუკუნეებია არსებობს მეგრული და რისი დამშლელია. სინოდმა კი, იცით, რა გადაწყვეტილება მიიღო, – აი, რა დაშლის საქართველოს!.. შევარდნაძემ 6-ჯერ შეუტია სამეგრელოს...

– ბატონო კლიმენტი, თქვენ მითხარით, რომ თქვენი ნაშრომები მხოლოდ მონახაზია იმისა, რაც იმ რვაასგვერდიან, გამოცემას მომლოდინე წიგნშია ვრცლად გაშუქებული. მოდით, საგაზეთო ფორმა მივცეთ თქვენს ნაღვაწს და შეძლებისდაგვარად მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ის, რაც მკითხველის ინტერესს იწვევს. დავიწყოთ თქვენი განაცხადით, რომ კოლხეთი (საქართველო) სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა.

– კი ბატონო! აუცილებლად აღვნიშნოთ, რომ რასაც ვამბობ, ყველაფერს წყაროებზე დაყრდნობით ვიმეორებ, მაგრამ ვინაიდან, ზოგადად, გაზეთის ფორმატი ყველაფრის საშუალებას არ იძლევა, ამის ნახვა წიგნში იქნება შესაძლებელი, სქოლიოებში.

კოლხეთს (საქართველო) უძველეს ეპოქაში ჩვენი სამყაროს უზარმაზარი სივრცე ეკავა, დაწყებული სინყარის ქვეყნით (ერაყი), დამთავრებული მიმდებარე ტერიტორიებით: ქიმეთი, სუდანი (კოლხ-ქალდების **“იმპერია”**), პირენეი, აპენინი, ხმელთაშუა ზღვის აუზი ძველ ლაზიკამდე.

1921 წლამდე კრასნოდარის მხარეში ინახებოდა რუკა, რომელზეც, მთელ ამ სივრცეს **“Мегрелиа”** ეწერა. ტუაფსემდე, მდინარე **რა**-მდე (ვილგა), ყაზანი, რიაზანი – მეგრული სახელებია. აზოვის ზღვა, ზღვა-ლაზოვსკოე (ლაზების ზღვა), მთელი ყირიმი ჩრდილოეთ ინდოეთამდე, როგორც ძველი ბერძნები ამბობენ, მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე კოლხეთი იყო.

საქართველო უძველესი დროიდან ერთი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო და შესაბამისად, მთელ მის ტერიტორიაზე ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა. ჰეროდოტე (ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნე) და სხვა ძველი ბერძენი სწავლულები ზემოაღნიშნულ სივრცეში, კოლხების გარდა სხვა ხალხებსა და ქვეყნებს ვერ ხედავდნენ. ჰეროდოტე არ ახსენებს სომხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სომხები ან ამ სახელწოდებით არ არსებობდნენ. ან თვით ასეთი სახელმწიფოებრივი გაერთიანება არ არსებობდა.

ძველი წელთაღრიცხვის 3.200-3.100 წელს არსებობდა უძველესი და უპირველესი ქალაქი **“კოლხა”** (**“კულხა”**). მდინარე ბურანუნის (ევფრატის) ქვემო წელში, ე.ი. 5.200-5.100 წლის წინ. ამერიკელი უფოლოგები ადასტურებენ, რომ კაცობრიობამ **“ცხოვრება ისწავლა”** ძველი შუმერებისაგან (**“ანაუკის ანანუკისაგან”**), რომლებიც 5.500 წლის წინ ცხოვრობდნენ და ყველაფრის შესახებ ფლობდნენ ამომწურავ ინფორმაციას. **“ანანუა” (“ანანუკი”)** ხომ არ არის კოლხთა სიბრძნის წიგნი **“ეფუთი” (“ანანუს ეფუთი”)**, რომელიც დაკარგულად ითვლება? ქართველი მმართველები (მეფეები) მზის შვილებად თვლიდნენ თავს, ზეცის სრული, განუყოფელი ძალაუფლებით იყვნენ აღჭურვილნი. კოლხებისათვის მზე დედა, ხოლო მამა მთვარე იყო. **“ბჟა დიდა რე ჩქიმი, თუთა – მუმა ჩქიმი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი და დო ჯიმა ჩქიმი” (“მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი, მოკაშკაშე ვარსკვლავები – და და ძმაა ჩემი”**. აკაკი შანიძის თარგმანი).

კაცობრიობის ისტორიაში პირველი ექიმი, მედეა, რაიმე მტკიცებულების დროს ამბობდა: **“ვფიცავ მზე და მთვარეს, მზეს და მიწას”**... ზევსი, პრომეთე, ჰერა, არგონავტები, აიეტი თუ მედეა, ყველანი კოლხურ-პელაზგური წარმოშობისანი იყვნენ და კოლხურ-პელაზგურად მეტყველებდნენ... ვისაც ბერძნებამდე ელადაში უცხოვრია, პელაზგად იხსენიება. ჰომეროსი მას **“ღვთისადარ პელასგოსს”** უწოდებს, ჰესიოდე (ძვ. წ.აღ. VIII საუკ) და აპოლონიოს როდოსელი დედამიწაზე შობილ პირველ ადამიანად პელაზგს თვლიან. პელასგისი მიჩნეულია ჰერას წინაპრად. ამგვარად, კეთდება დასკვნა, რომ კოლხთა შთამომავალი პელაზგები, ბერძნებამდელი ელადის უადრინდელესი მოსახლეობა, ძველი საბერძნეთის წინაბერძნული, კერძოდ, კოლხურ-პელაზგური კულტურის წიაღ-საფუძველს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ მედიტერანულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება პელაზგთა განაყოფების, იტალიელ ეტრუსკთა და ესპანელ ბასკთა მეტყველება.

არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა მიერ კოლხ პელაზგთა შესახებ, მაგრამ საგაზეთოდ მხოლოდ ერთს ვიტყვი, როდესაც მდინარე განსაკუთრებით ადიდებულია, სამეგრელოში იტყვიან **“პელაგონი მოსოფუნცია”**, დაუოკებელი, უძლეველი, აბობოქრებული ძალა მოდისო...

ადამიადროინდელი პელაზგისი პირველი პელაზგია, რომლებსაც მთელი მსოფლიო მეკავათ (პლუტარქე) – ჩვენი სამყაროს პირველი ხალხია, კოლხეთ-პელაზგოსი მსოფლიოს პირველი ქვეყანაა, კოლხ-პელაზგების ენა მსოფლიოს პირველი ენაა...

– კოლხ-პელაზგური კი არა, რა ქართულითაც ვმეტყველებთ, იმასაც გვართმევენ...

– აღნიშნულის აღიარება აუცილებლად მოხდება, რადგან ისინი მსოფლი ისტორიული მნიშვნელობისაა და მათი მუდმივად მიჩუმათება შეუძლებელია. რუსი მეცნიერი ა. ნოგოვიცინი აღნიშნავს: **“პელაზგები იყვნენ რა, ბერძნების მასწავლებლები, ტრადიციულად, ღვთაებრივ ხალხად ითვლებოდნენ. თავიანთი “ბერძნული” დამწერლობა, ძველმა ელინებმა პელაზგებისგან მიიღეს. აქვე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ უძველეს ფინიკიურ ალფავიტს ასევე პელაზგურს უწოდებდნენ”.**

– თუ ეს მართლაც ასეა, სხვამ თუ არა, ჩვენმა ქართველმა მეცნიერებმა მაინც ამოიღონ ხმა, იყვირონ, თქვენი თქმისა არ იყოს, სიმართლე ხომ მაინც გაცხადდება...

– ქართველ ცნობილ მეცნიერ-მკვლევართა გარდა, არაერთი გერმანელი, ამერიკელი, ინგლისელი თუ ფრანგი მეცნიერის შრომებშია ნათლად მოცემული, რომ ეს ასეა, მაგრამ მსოფლიოში არსებული შეხედულება-თვალსაზრისის წინააღმდეგ წასვლა ძალიან ძნელია, მაგრამ ვიმეორებ, სანამდის?

– ჰოდა, სანამდის?

– მე, პირადად, ვფიქრობ, რომ გაჭიანურება აღარ ეგების სიმართლის თქმისათვის მომწიფებულია დრო, – საბჭოთა იდეოლოგია კავშირთან ერთად გაქრა, მაშ რაღა გვიშლის ხელს? სიმართლე უძლეველია, ის დღეს იქნება თუ ხვალ, გზას აუცილებლად გაიკვლევს...

– გადავიდეთ იაპონიაში...

იაპონელი აინები – უძველესი კოლხური ტომები

– ჩრდილოეთ იაპონიაში, კუნძულ ჰონსიუსა და ჰოკაიდოზე ცხოვრობენ უძველესი მეგრული ტომები, აინები, რომლებიც, ცხადია, ენითა და ფიზიკური მონაცემებით სრულიად განსხვავებულები არიან შორეული აღმოსავლეთის მონღოლოიდური რასისაგან. აინები, ათასწლეულების შემდეგაც მხარბეჭიანები და ახოვანნი არიან, არ აქვთ მიღებული მონღოლოიდური რასისათვის დამახასიათებელი თვალის ჭრილი და პირსახე.

მეცნიერები დიდი ხანია სწავლობენ აინების წარსულს, მათ ისტორიას, მათი ენის თავისებურებებს, აინტერესებთ, საიდან და როგორ მოხვდნენ იქ, სადაც არიან, მაგრამ მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ აინები იაპონიის კუნძულების იმ რეგიონში ცხოვრობენ, სადაც ივერთა გადაადგილების გზა გადის (მიგრაციისათვის განკუთვნილი გზა 42-ე განედზე გადის). მეცნიერებმა ზუსტად არ იციან, საიდან მოვიდნენ აინები, მაგრამ დადასტურებულად ითვლება, რომ როდესაც იაპონელები გადავიდნენ კუნძულებზე და იქ დასახლდნენ, აინები დიდი ხნის დასახლებულები იყვნენ.

– ბატონო კლიმენტი, რას ნიშნავს “ივერთა გადაადგილების გზა”, რა იგულისხმება?

– ხოტუ მატუაზე რომ მოისმენთ, უფრო გასაგები იქნება. მეხუთე საუკუნეში სამხრეთ ამერიკის კონტინენტიდან რომ წამოვიდნენ, 60 დღე მოდიოდნენ 7 პატარა იალქნიანი გემით, ჩავიდნენ აღდგომის კუნძულებზე და იქ დაბინავდნენ. გადაადგილების ადგილი ჩრდილოეთ განედის 42-ე გრადუსია, საქართველო არის ამ განედზე და გადაადგილებაც ამ განედზე ხდებოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საქართველო "ბოსების" და "ნაჩალნიკების" გარეშე ვერ ძლებს

(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)

სააკაშვილის ამერიკაში ვიზიტი, თეთრი სახლის ოვალური კაბინეტის, სხვა კაბინეტების ვიდეო და ფოტოკადრები ჭრის საქართველოს ტელემაყურებლის თვალს, თან არწმუნებს, რომ საქართველო და ამერიკა განუყოფელია. ვიზუალურ მასალას ერთვის პოლიტიკოსთა, პოლიტოლოგთა, ჟურნალისტთა აღფრთოვანებული კომენტარები, რაც კიდევ უფრო არწმუნებს მოსახლეობას მეგობრობის სიმტკიცეში,– პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილის ამ შეფასება "geo-rasia-org"-ი ავრცელებს.

– ხელისუფლება და ოპოზიცია ერთსულოვნად აღნიშნავს ვიზიტის წარმატებულობას, თუმცა განსხვავებული ინტერპრეტაციით. ხელისუფლება წინა პლანზე წევს საკუთარი ლიდერის როლს, მის ღვაწლს ამ საქმეში, ოპოზიცია კი – განსაკუთრებით ჯერჯერობით კულისებში მყოფი, პრეზიდენტის დამსახურებას აფუჩეჩებს და წინა პლანზე ქვეყანას სწევს, – ამბობს ჭიპაშვილი. მისი აზრით, რომ არა სააკაშვილი, საქართველოს უფრო მეტი პატივით მოეპყრობოდნენ. საინტერესოა, სხვა რადა მეტ ხელგაშლილ მასპინძლობას გაუწევდნენ სააკაშვილის გარეშე საქართველოს? განსხვავებული სასმისით ამერიკელები ღვინოს არ მიირთმევენ, არც პირველი ლედის ან ამ შემთხვევაში ქალი სახელმწიფო მდივნის ფეხსაცმლით, სხვა მეტი რაღა უნდა გაეკეთებინათ?!

სააკაშვილისთვის გამართული შეხვედრა-საუბრები სცდება დიპლომატიურ პროტოკოლს და უფრო აღმატებულ სახეს იღებს. პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო მდივანი, სენატორები, კონგრესმენები, ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი, საზოგადოების წარმომადგენლები, სტუდენტები, ნიშნავს **"რაღაცას"**, რისი დანახვაც არაფრით არ სურს **"დამალულ"** ოპოზიციას.

სწორია ხელისუფლება, როდესაც ამბობს, რომ შეხვედრები იყო სააკაშვილთან, **"ვარდების რევოლუციის"** გმირთან, პოსტსაბჭოთა სივრცეში ამერიკული ფერადი რევოლუციების ყველაზე წარმატებულ პოლიტიკოსთან და არა საქართველოსთან. საქართველო ამ შემთხვევაში **"გარნირია"**, მთავარი – სააკაშვილია.

შეხვედრის დროს ცხადია იყო საქართველოს ხსენება იმდენად, რამდენადაც უნდა ეხსენებინათ. ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტი ხომ რომელიმე ქვეყნიდან უნდა იყოს? სხვა მხრივ, არც სტუმარს და, მით უმეტეს, არც მასპინძელს საქართველო და ქართველი ხალხი ისე არ აინტერესებს, როგორც გუშინდელი თოვლი. მასპინძელი რომ საფუძვლიანად იცნობდეს სტუმარი პრეზიდენტის ქვეყნის ნეგატიურ ამბებს მისი გამოისობით გამოწვეულს, სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო. მაგრამ იცის მასპინძელმა ის, რაც სააკაშვილის ქვეყანაში ხდება? ოპოზიცია დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ იცის და ამ ინფორმაციას არა მარტო თვით აწვდის ამერიკულ **"კრემლს"**, არამედ თბილისში არსებული აშშ-ს საელჩოც.

– ოპოზიციისა რა მოგახსენოთ, ვიცით მისი ტყეილების ამბავი, ამბობს ჭიპაშვილი. ნაცვლად არსებული მძიმე ვითარებისა, თავის სამრეკლოდან უხატავს ოკეანისგადმელ საკუთარ **"ბოსებს"** საქართველოს პრობლემებს. საელჩოც **"დიპლომატიური"** ენით ატყობინებს ცენტრს ქართული ცხოვრების სიმძაფრეს და ეს შერბილებული შეტყობინება, როგორც ჩანს, სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის თანაშემწის უჯრაში ილექება, ისიც საუკეთესო შემთხვევაში.

ასეა თუ ისე, მსგავსი მასპინძლობა, განსაკუთრებით მასპინძლობის დროს ჩანჩქერივით გადმოღვრილი საქებარი სიტყვები, სწორი ინფორმაციის სიმწირეზე მიგვანიშნებს და თუ არა, მაშინ ერთ მარტივ ჭეშმარიტებაზე, რასაც ქართული უწმაწური გამოთქმის მსგავსი შინაარსი აქვს – ეს ხის ტოტი კიტრია და უნდა ჭამოთო.

ამერიკულად, თან ანტისააკაშვილისტურად ბანწყობილი მავანი, ასეთები ჭარბად არიან, შემედავება – ობამამ კი აქო სააკაშვილი დემოკრატიისათვის, წარმატებული რეფორმების გატარებისათვის, კორუფციის დამარცხებისათვის, ავდანეთში ჯარის გაგზავნისატვის, მაგრამ ისიც უთხრა, რომ ყოველივე ამის გვირგვინი ხელისუფლების ოფიციალური გადაცემა უნდა იყოსო.

თითქოს ამაში არის სინამდვილის რაღაც მარცვალი და ის წააგავს ვითარებას, დამსახურებულ ადამიანს პენსიაზე გაშვების წინ ორდენით რომ აჯილდოვებენ, მაგრამ რა ასეთი **"დამსახურება"** მიუძღვის სააკაშვილს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რომ დიდი ამერიკის დიდმა პრეზიდენტმა, უფრო სწორად, მაღალმა, ესოდენ მაღალფარდოვანი სიტყვები დახარჯოს, თანაც ესოდენ შეუფერებელი ადრესატისთვის?

ობამას მიერ სააკაშვილის მისამართით ნათქვამი სიტყვები, განსაკუთრებით დემოკრატიასთან დაკავშირებით, არც არასდროს გაკარებია საქართველოს დამოუკიდებლობის, მით უმეტეს, სააკაშვილის მმართველობის რვაწლიან პერიოდს. თუ რამე დამსახურება მიუძღვის სააკაშვილს, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს წინაშე.

სწორედ სააკაშვილის პრეზიდენტობისას მოხდა საქართველოს სიგრძე-სიგანისეული ამერიკანიზაცია, ისეთი – ტერიტორიულ-გეოგრაფიულად ახლოს რომ ვყოფილიყავით ამერიკასთან, კარგა ხანია მის შტატად გამოვაცხადებდით თავს. თუმცა, გაგანია გლობალიზაციის პერიოდში, მანძილს სულაც არა აქვს მნიშვნელობა, მთავარი ისაა, რომ სულით და ხორცით შორეულისა ვართ.

დამოუკიდებლობის დღიდან დაწყებული, განსაკუთრებით ბოლო რვა წლით დამთავრებული, უდიდეს ლტოლვას აქვა ადგილი ოკეანისგაღმელი ქვეყნისაკენ. ეს ლტოლვა მოჭარბებულად აქვს ხელისუფლებას, ოპოზიციას, მათ ნათესავებს და გულშემატკივრებს, ნაკლებად – ხალხს.

ეს უკანასკნელი სხვაგვარად ფიქრობს, განიცდის, აღიქვამს პოლიტიკოსთა ბედოვლათობას და გამყიდველობას. მისი აზრით, რაც საქართველოში ხდება, არა მხოლოდ სააკაშვილის ბრალია, არამედ ვაშინგტონისაც და უფრო მეტად ამ უკანასკნელია. ხალხის რწმენა კიდევ უფრო განმტკიცდა სააკაშვილის ამერიკული ვოიაჟით, აშშ-ს პრეზიდენტის დაუფიქრებლად ნათქვამი საქებარი სიტყვებით. მაგრამ ხალხის აზრი არც არასდროს გაუზიარებიათ და არც მომავალში გაიზიარებენ, ვიდრე თვით ხალხი არ აიძულებს ამას ისე, როგორც ეგვიპტეში და სხვაგან.

დიახ! ოფიციალურმა ვაშინგტონმა ტრიუმფალური შეხვედრა მოუწყო სააკაშვილს, როგორც საკუთარ პროექტს, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცესა და რეგიონში ამერიკული ინტერესის გამტარებელს, სხვა ქვეყნებისთვის მისაღებ მაგალითს, როგორც ამერიკელზე მეტ ამერიკელს, ესოდენ ხშირად რომ იყენებს უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის, ყირგიზეთის, სხვა ქვეყნების შიდა ცხოვრების **"მოსაწესრიგებლად"**.

ეს რომ ასე არ იყოს, რომელი დემოკრატიული ქვეყანა გაიკარებდა სხვა ქვეყანაში არჩევნების **"დასაბალანსებლად"** ათასობით ზონდერის გაგზავნას? გაიხსენეთ თუნდაც უკრაინის მაგალითი.

სააკაშვილი ვაშინგტონის ღვიძლ შვილადაა მიჩნეული და ასე იქნება, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება თეთრ სახლში. მასთან ამერიკელობაში პაექრობა წყლის ნაყვაა, ვინაიდან ამერიკის გულის კუნჭული სააკაშვილითა და სააკაშვილებითაა დაკავებული.

ამერიკას, ცხადია, უხარია ახალი თაყვანისმცემლის გამოჩენა, მაგრამ მხოლოდ და მეტი არაფერი. დიდი-დიდი სათადარიგო სკამზე მიუჩინოს ადგილი, იმ გრძელ სათადარიგო სკამზე, რომელზეც რახანია სხედან გიორგი თარგამაძრ, დავით გამყრელიძე, საპარლამენტო **"ოპოზიციური"** პარტიები, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ...

დამოუკიდებლობის წლებმა გვაჩვენა, რომ ქართულ პოლიტიკას არც უნარი და არც ნიჭი არ აქვს, დამოუკიდებლად მართოს საკუთარი ქვეყანა. და არც ეს არის გასაკვირი, ვინაიდან პირდაპირი შედეგია 70-წლიანი საბჭოური მმართველობის.

მაგრამ თუ შეხედავთ ყოფილ საბჭოელებს, უმალ გაგვიბათილდება ეს მოსაზრება. ყოფილმა საბჭოელებმა დედის რძესავით შეირგეს დამოუკიდებლობა, რაღა ჩვენ გამოვდექით საბჭოური მენტალიტეტის ყველაზე მტკიცე დამცველები?

20 წელია ყელგამოწვდილი ვეხვეწებით ამერიკა-ევროპას – ჩაგვიხუტეთ, მიგვიღეთ ნატო-სა და ევროკავშირში და ნახეთ, როგორი დამჯერეები ვიქნებითო. და ამ ოცწლიანი ხვეწნის გარდა არაფერი გაგვიკეთებია. სხვებმა გააკეთეს, თანაც დიდთა უკანალში შეძრომის გარეშე, დაუმწვარი მწვადისა და შამფურის პრინციპით.

დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში რაც გავაკეთეთ – **"ბოსის"** შეცვლაა, ანუ მეზობელი **"ნაჩალნიკის"** ნაცვლად ცხრა მთას იქით მყოფის **"გაბოსება"**. და ვართ ერთ ამბავში – ამერიკული ცხოვრების წესის კოპირებით, თანაც მახინჯურად.

ისიც გვაქებს და გვადიდებს. მისგან რა მიდის. მას ხელს აძლევს საკუთარ სახედაკარგული, გაამერიკელებული, გადაგვარებული ქართველი. ისეთი, როგორიც სააკაშვილებია. მოსწონს სააკაშვილის ამერიკულ-ინგლისური ენის ქნევა, სააკაშვილის მსგავსი მენტალიტეტი...

ცოტა რამ კიდევ სამხედრო ფიცის შესახებ

2011 წლის 26 მაისს, აღლუმის ჩატარების დროს, სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულებმა დადეს ფიცი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ არ იყო დამტკიცებული.

სამხედრო ფიცის დადების წესი განსაზღვრულია საქართველოს შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდებით, რომელიც ადგენს, რომ:

"ახალგაზრდა ჯარისკაცები და მატროსები, აგრეთვე სამხედროსასწავლო დაწესებულებათა კურსანტები და აკადემიის მსმენელები, რომელთაც წინათ ფიცი არ მიუღიათ, დებენ ფიცს სამხედრო ნაწილში (სამხედრო დაწესებულებაში) მოსვლის დღიდან არა უგვიანეს თვენახევრისა",

და კიდევ: **"ყოველი სამხედრო მოსამსახურე საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ინდივიდუალურად იღებს სამხედრო ფიცს და ადასტურებს ამას საკუთარი ხელის მოწერით",**

აგრეთვე:

"სამხედრო ფიცის მიღება შეიძლება მოხდეს საბრძოლო დიდების ადგილებში, აგრეთვე, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაცემულ მეომართა საფლავებთან".

ამ მოთხოვნებიდან რომელი მათგანი შესრულდა?

არცერთი, რაც აუფასურებს სამხედრო ფიცს!

სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულებს ადრე ხომ უკვე ჰქონდათ ფიცი დადებული და სიტყვა **"ვფიცავ"** ხუთჯერ წარმოთქმული. და რატომ გახდა საჭირო ფიცის მეორედ დადება და სიტყვა **"ვფიცავ"** კიდევ ორჯერ გამეორება?

რატომ იქნა ამოღებული მეორე ფიციდან სამხედრო მოსამსახურეებისადმი წაყენებული ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნები:

"ვფიცავ", მტკიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო მტერზე გამარჯვებისათვის;

თუ გავტეხ ამ ფიცს, პასუხისმგებელი ვიქნები ღვთისა და ქვეყნის წინაშე".

სავსებით სამართლიანია, დაისვას კითხვები:

რომელი ფიცია შესასრულებლად სავალდებულო: ადრე მიღებული თუ 26 მაისს დადებული?

ხომ არ გაანთავისუფლა მაისში ფიცის დამდები აკადემიის კურსდამთავრებულები ადრე მიღებული ფიცისაგან?

სამხედრო ფიცის დადების ამგვარი დამახინჯება პირველი შემთხვევა არ არის თავდაცვის უწყებაში.

საუკუნის დასაწყისიდან ფიცის მიღების წესმა მიიღო მლიქვნელური ხასიათი.

წინა პრეზიდენტის დროს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით მომზადებული სამხედროები ფიცს დებენ არა **"საქართველოს წინაშე"**, არამედ **"უმაღლესი მთავარსარდლის"** წინაშე, ხოლო 2008 წლის 8 აპრილს, ქალაქ საჩხერეში, ოფიცერთა კურსების კურსდამთავრებულებმა ფიცი დადეს **"ახლად არჩეული პრეზიდენტის წინაშე".**

სამივე შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეებს ფიცი დაადებინეს არა ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად – ერთი კითხულობდა, ხოლო დანარჩენები იმეორებდნენ, როგორც წერა-კითხვის უცოდინარები გასული საუკუნის 20-30-იან წლებში.

თუ ზოგიერთი სამხედროები ფიცს დებენ ორჯერ და წარმოთქვამენ სიტყვა **"ვფიცავ"** ცხრაჯერ და ათჯერ, მაშინ რატომ უჭირთ ჩვენს უმაღლეს მთავარსარდლებს (პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდა) ერთხელ მაინც წარმოთქვან სიტყვა **"ვფიცავ"** და ამით მაინც აიღონ პასუხისმგებლობა ქვეყნის მართვაზე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სხვა საკანონმდებლო აქტები პრეზიდენტს არავითარ ვალდებულებას არ აკისრებენ, უფლებებს კი მრავლად ანიჭებენ: **"ამტკიცებს", "ანიჭებს", "აცხადებს", "ნიშნავს", "გადააყენებს", "იღებს გადაწყვეტილებებს", "გასცემს ბრძანებებს"** და ა.შ.

რატომ დაავიწყდათ პარლამენტარებს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების დამტკიცებისას პრემიერ-მინისტრისათვის მაინც (როგორც ეს გერმანიაში და იტალიაშია) დაეკისრებინათ პასუხისმგებლობა ფიცის დადების სახით. მის ხელში ხომ 2013 წლის ოქტომბრიდან აღმოჩნდება უზარმაზარი ძალაუფლება და უპასუხისმგებლო პრეზიდენტის თანამდებობას დაემატება უპასუხისმგებლო პრემიერ-მინისტრის თანამდებობაც.

ფიცის დადება ერთგულების აღთქმას, წესისა და კანონის მიხედვით ქცევის პირობას, პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს და საქართველოში, ხალხური ტრადიციების მიხედვით, უმაღლეს კატეგორიათა რიგს განეკუთვნებოდა და მისი გატეხვა უდიდეს ცოდვად იყო მიჩნეული.

სამხედრო ფიცი ქვეყნის წინაშე მხოლოდ ერთხელ მიიღება და, არა მგონია, რომ ამის შესახებ არ იცოდეს პრეზიდენტმა – სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა. მანაც ხომ იმსახურა ჯარში, შემორჩა კარგი სამხედრო დგომი და ლამაზი მისალმება. ადრე მიღებული ფიცისაგან ის განთავისუფლდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, და ამიტომ, მას უკვე შეუძლია საქართველოს წინაშე დაიფიცოს და წარმოთქვას სიტყვა **"ვფიცავ".**

მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ კონსტიტუციი 71-ე მუხლის 1-ლ პუნქტში შევიდეს შესწორება: სიტყვა **"ვაცხადებ"**-ს მაგივრად ჩაიწეროს სიტყვა **"ვფიცავ"**.

სამხედრო ფიცის გაუფასურება და მლიქვნელობა უარყოფითად მოქმედებს ჯარის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებაზე.

ალექსანდრე ტოლსტოი

ცნობისათვის – *სამხედრო ფიცის ტექსტი შედგენილია აწ განსვენებულ გენერალ-მაიორ დულა აბაშიძის მიერ.*

„სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“-ს ლასკარის მიმართვა

(იბეჭდება შემოკლებით)

„სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“-ს პოლიტიკური პრიორიტეტების განხორციელებისათვის აქტიური ქმედების დაწყებამდე კურთხევის აღების მიზნით, 2011 წლის 23 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე **სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს,** ჩვენი სამოქმედო გეგმის მოკლედ გაცნობის შემდეგ, იმ საკითხზე ვესაუბრეთ, რასაც – საქართველოში მართლმადიდებელი სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ჰქვია.

აღნიშნული შეხვედრის სულისკვეთებიდან გამომდინარე, **„სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: „უფალია ჩვენი სიმართლე“**-ს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს – **„ლასკარი“**-ს 2011 წლის 31 დეკემბერს გამართულ სხდომაზე დამტკიცებული – **„პოლიტიკური პრიორიტეტების რამოდენიმე საკითხი“**-ის პირველ პუნქტად – **„საქართველოში მართლმადიდებელი სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება“** განისაზღვრა (იხ, გაზ. „**უფალია ჩვენი სიმართლე**“, № 3(796), 7/01, 2012 წ.).

შობის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი 2012 წლის 7 იანვარს გამართულ **„უფალია ჩვენი სიმართლე“**-ს ლასკარის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დამტკიცდა, საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციაში წარმოდგენილი გადაწყვეტილების ასახვის მიზნით შემუშავებული – **„საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები“**-ს პროექტი (გაზ. „უფალია ჩვენი სიმართლე“ № 4(797), 14/01, 2012 წ.).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე **„„უფალია ჩვენი სიმართლე“** განსახილველად წარმოგიდგენთ: **საქართველოში მართლმადიდებელი სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მიზნით მომზადებულ საკითხთა სრულ პაკეტს.**

დანართი: 1. „მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხისათვის“, თბ. 2012 წ. 7 იანვარი, 20 გვერდი. 2. **„საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებული – საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები“,** თბ. 2012 წ. 16 გვერდი.

სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: **უფალია ჩვენი სიმართლეს**

ლასკარის თავმჯდომარე მიხეილ (გელა) სალუაშვილი

ლასკარის საზოგადოებრივი მდივანი ჯემალ ჯიძია

მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხისათვის

ქართულმა გენმა, არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, თავისი სულიერების საბოლოო ნავსაყუდელს – **ქრისტიანული რელიგიის** წიაღში მიაგნო.

ქრისტეს კვართისა და ღვთისმშობლის წილხვედრილობის უდიდეს მადლს ზიარებულ ქართულ მიწაზე, **წმ. ადრია პირველწოდებულისა** და სხვა მოციქულთა მიერ გაკვალულმა გზამ, საბოლოოდ, **წმ. ნინოს** სუსტ მხრებზე მოკიდებული ჯვრისმტვირთველობის შედეგად, ჩვენი ქვეყანა – ჭეშმარიტი რელიგიის სრულად შეცნობამდე მიიყვანა.

ნიკეაში 325წ. შემდგარი პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების შემდგომად, ღმერთის ნებით, ქართლის სამეფო – პირველი ქვეყანა გახდა, სადაც – ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქნა გამოცხადებული.

IV საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, საერო და სასულიერო იერარქთა შეთანწყობილი მოქმედება, დიდწილად განსაზღვრავდა, მათ მიერ ქართული სახელმწიფოებრივი უღლის ტარების შედეგად დამჩნეული ხნულის ავკარგიანობას. რომელიმე მათგანის **„წაფორხილება“,** მყისიერად აისახებოდა, როგორც მეწყვილის, ასევე მთელი ქვეყნის ფიზიკურ მდგომარეობაზე.

საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისას გასათვალისწინებელ საკითხთა სავარაუდო ჩამონათვალი

– ქართული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაეფაროს არა მარტო ხელისუფლების სოციალ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ-ზნეობრივ საწყისებს.

– სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას.

– საქართველოს კონსტიტუციით: მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადდეს. მხოლოდ იგი უნდა სარგებლობდეს სახელმწიფოს მხარდაჭერითა და მფარველობით.

– საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია საზოგადოებრივი სამართლის სუბიექტს უნდა წარმოადგენდეს.

– საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას განაგებს სინოდი.

– საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებას საპარლამენტო კანონის ძალა გააჩნია. თუ სინოდი ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც პარლამენტის პროგრამატიკაა, პარლამენტი კონტროლის უფლებას იტოვებს.

– **სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა ეკლესიამ მიიღოს საჭირო მატერიალური დახმარება (ქვეყნის ბიუჯეტის 10%) – საგანმანათლებლო საქმიანობის, სოციალურად დაუცველ პირთა შემწეობის, ტაძრების მშენებლობისა და აღდგენისათვის.**

– მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმსარებელთა, აგრეთვე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს.

– სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემა თავისუფლება, იყოს აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს.

– მოქალაქეთა უფლებები არ შეიზღუდება რელიგიის ნიშნით.

– საქართველოს სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა...

– საქართველოში მოქმედი სხვა რელიგიური გაერთიანებები დამოუკიდებელ კერძო ინსტიტუტებს უნდა წარმოადგენდნენ. მათი შექმნისათვის სახელმწიფო ნებართვა არ იქნება საჭირო და რაიმე სახის ფინანსურ დახმარებას სახელმწიფოსაგან არ მიიღებენ.

– ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას.

– სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში. მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა.

– საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სტატუსის წყალობით ეკლესიის კანონიკური სამართალი აღიარებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ, რაც დარეგულირდება – საქართველოს ეკლესიის კონსტიტუციით (**„საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება“**), რომლის კანონად მიღებასაც პარლამენტმა მხარი უნდა დაუჭიროს.

– ქართულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება, იყოს საერო ცხოვრების აქტიური მონაწილე.

– უნდა გამოცხადდეს საეკლესიო საკუთრება მიწაზე.

– სახელმწიფომ უნდა დაიცვას საეკლესიო ქონება, ხელი შეუწყოს ეკლესიას ტრადიციულ სამონასტრო მოღვაწეობაში.

– უნდა აღდგეს სახელმწიფოსა და ეკლესიის, ეკლესიისა და სკოლის ბუნებრივი კავშირი, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც დაემყარება.

– არ უნდა არსებობდეს საეკლესიო გადასახადი.

– ფინანსირება იწარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (**ქვეყნის ბიუჯეტის 10%**). სამღვდელო იერარქიის ღვთისმსახურები და საეკლესიო პირები ხელფასს მიიღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაახლოებით იმ ოდენობის, როგორც – მასწავლებლები.

– ეკლესია თავისუფლდება ზოგიერთი ისეთი გადასახადისაგან, როგორიცაა მიწისა და საშემოსავლო გადასახადები.

– საეკლესიო ქორწინება და ნათლობა აღიარებული უნდა იყოს ოფიციალურ დოკუმენტებად.

– საქართველოს მარლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ღვთისმსახურები უნდა სარგებლობდნენ სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლების უფლებით.

– გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა საკითხებიც.

უფალია ჩვენი სიმართლეს

ლასკარის თავმჯდომარე

მიხეილ (გელა) სალუაშვილი

მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს;
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ბაქრაძეს;
საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ნიკოლოზ გილაურს;
საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ გია თორთლაძეს
საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ მურთაზ ზოდელავას;
საქართველოს შს მინისტრს, ბატონ ივანე მერაბიშვილს;
საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, ბატონ ლევან ბეჟაშვილს აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ გია ბარამიას.
ა ს ლ ი: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსსა და ბიჭვინთისა და აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II;
ა ს ლ ი: საქართველოს მედიასაშუალებებს;
ა ს ლ ი: აფხაზეთიდან დევნილ მრავალტანჯულ მოსახლეობას.

ქრისტესმიერნო,

უკვე რამოდენიმე წელიწადია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს (დევნილობაში) ხელმძღვანელობას და რიგ ე. წ. დეპუტატს სავსებით ღიად პრესის ფურცლებიდან და ტელევიზიების ეკრანებიდან ბრალს ვდებ მათ მიერ წლების მანძილზე წარმოებულ, როგორც პოლიტიკურ ორპირობაში, ასევე ორგანიზებულ-კრიმინალურ დანაშაულებში, თანმიმდევრულად დაქსელილ კოლექტიურ ბოროტმოქმედებებსა და ელიტარულ კორუფციაში.

კერძოდ: 1. იმპერიათა მიზნების შესაბამისად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საომარი ავანტიურის პროვოცირებაში მონაწილეობის მიღება, რის შედეგადაც აფხაზეთის მოსახლეობისთვის, საერთოდ სრულიად საქართველოსათვის ადგილობრივ კოლაბორაციონისტებზე დაყრდნობით (შევარდნაძე-არძინბა) თავს მოხვეული საომარი ავანტიურა გაფორმდა ე. წ. ქართულ-აფხაზურ ომად. აქედან გამომდინარე დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული შედეგებით;

2. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) იმპერიათა მიერ ე. წ. ქართულ-აფხაზურ ომად გასაჯარისებულ საოკუპაციო აგრესიის დროს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დღევანდელი ხელისუფლებისა და ზოგიერთი ე. წ. დეპუტატის მიერ უმწეო მოსახლეობის (მათ შორის საკუთარი ამომრჩევლების) ბედისანაბარა მიტოვება უბედურების ზონაში, რის შედეგადაც მათი უდიდესი ნაწილი გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მსხვერპლი გახდა;

3. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დღევანდელი ხელმძღვანელობა (გ. გვაზავა, ა. წოწონავა) და პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრი (დ. გვაძაბია, თ მჟავია და სხვები) ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის გაქმედუნარიანების ნაცვლად მიზანმიმართულად ჩაერთო კოლექტიურ და ოჯახურ კორუფციაში ანუ სახეზეა ე. წ. ელიტართა ნათესაური ჯგუფების ბოროტმოქმედებები, რაც გამოიხატება ფულის გათეთრებაში, მიწერებში, სხვადასხვა ფინანსურ მაქინაციებში, სიყალბეებსა და სხვა სახის დატაცებასა თუ კანონდარღვევებში.

ყოველივე ამით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დღევანდელი ხელმძღვანელობა და რიგ ე. წ. დეპუტატთა ჯგუფი, როგორც მორალურად ამორტიზებული და კრიმინალში მონაწილე, არ გამოხატავს აფხაზეთის მოსახლეობის, მათ შორის საკუთარი ამომრჩევლის სულისკვეთებას.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩემს მიერ ძალზე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ბრალდებები აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დღევანდელი ხელმძღვანელობისა და ე. წ. დეპუტატთა ჯგუფის ბოროტმოქმედებების შესახებ არაერთგზის გასაჯარისდა სხვადასხვა მედიასაშუალებით, რაც, სამწუხაროდ, მიუხედავად საზოგადოების აღშფოთებისა, დღემდე ვერ გახდა სამართალდამცავი სამსახურების დაინტერესებისა და მსჯელობის საგნად.

ყოველი ამის გამო, მე ჩემი მოკრძალებული დანაზოგისა და ასევე დევნილ პედაგოგთა ერთი ნაწილის შემოწირულობით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელებში მძვინვარე კორუფციული საქმიანობის შესახებ მასალები გამოვაქვეყნე ცალკე წიგნად, რომელიც ელექტრონულ ვერსიასთან ერთად გადავაგზავნე საქართველოს ყველა ბიბლიოთეკაში, დასავლეთ ევროპის, რუსეთის, ამერიკისა და თურქეთის ქართულ სათვისტომოებში, მივაწოდე საქართველოში მოღვაწე საელჩოებს, აგრეთვე შესაბამის სამსახურებსა და დაინტერესებულ სუბიექტებს.

ღრმად პატივცემულნო,

მოგმართავთ რა თქვენ, იმედს ვიტოვებ, რომ ამჯერად მაინც გახდება სამართალდამცავი სამსახურების მსჯელობის საგანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში გამოჭენებული ბოროტმოქმედებები, რომლის დღემდე დაუსჯელი პარპაში გახლავთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მრავალტანჯული მოსახლეობის უბოდიშოდ დაკიდება ფეხებზე.

მე ვერ ვიქნები გულგრილი მეთვალყურე იმის თუ როგორ იქნება დევნილი მოსახლეობის ღირსება და უფლებები აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დღევანდელი ხელმძღვანელობისა და რიგი ე. წ. დეპუტატის მიერ, ამიტომ ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის თავზე, მიუხედავად იმისა, რომ ვარ ასაკოვანი და ონკოლოგიური ავადმყოფი, მივმართავ ზნეობით დაშვებულ საპროტესტო აქციას, რათა ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოში მედროვეობით აღზევებულთა ჯოგურ ბოროტმოქმედებებს.

ზემოთხსენებული წიგნი თავისი ელექტრონული ვერსიით მოგეწოდებათ განცხადებაში მითითებულ დიდად პატივმისაგებ ადრესატებს.

პატივისცემით,

სერგი საჯაია.

რონი ფუქსის მადლობის წერილი კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს

ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა – ისრაელელი ბიზნესმენების, ზეევ ფრენკელისა და რონი ფუქსის, ადვოკატმა, საქინფორმს ამ უკანასკნელის მადლობის წერილი გადმოსცა, რომლის ადრესატია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთისა და თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

მკითხველს უდავოდ ახსოვს, რომ საქინფორმი დაწვრილებით აშუქებდა ისრაელელი ბიზნესმენების მთელ ისტორიას – 2010 წლის 14 ოქტომბერს ბათუმში **„მადალი თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემის“** შეთითხნილი ბრალდებით უკანონოდ დაპატიმრებიდან დაწყებული, 2012 წლის 2 დეკემბერს ციხიდან გათავისუფლებამდე, როდესაც მათ იმავე დღეს დატოვეს საქართველო.

2011 წლის 18 აპრილს კი საქინფორმი იუწყებოდა, რომ ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი ისრაელელი ბიზნესმენები, რომლებსაც თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა ხანგრძლივი ვადით (რონი ფუქსს – 7 წლით, ზეევ ფრენკელს კი – 6,5 წლით) პატიმრობა მიუსაჯა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოინახულა, რომელსაც თან ახლდა დეკანოზი გიორგი ხარაზიშვილი.

როგორც ბიზნესმენთა ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა აუწყა მაშინ საქინფორმს, **„შეხვედრა პატრიარქის ინიციატივით შედგა. ილია II გამოთქვა რწმენა, რომ ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გაგრძელდება. მან ფუქსსა და ფრენკელს მალე გათავისუფლება უსურვა და საჩუქრები გადასცა – თაფლი, სანთლები, სამაჯურები, დისკები ანსამბლ „რუსთავის“ სიმღერებით და გარკვეული ფულადი თანხა, რომელიც პატიმრებს სპეციალურ პლასტიკურ ბარათებზე დაერიცხათ“**,– განაცხადა კბილაშვილმა. მისივე თქმით, ბიზნესმენები პატრიარქთან შეხვედრით გამოწვეულ აღტაცებასა და ემოციებს ვერ ფარავდნენ.

და აი, 2012 წლის 4 იანვარს რონი ფუქსმა ისრაელიდან კათოლიკოს-პატრიარქს მადლობის წერილი გამოუგზავნა, რომელიც მეორე დღეს (5 იანვარს) ისრაელელ ბიზნესმენთა ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა დეკანოზ გიორგი ხარაზიშვილის თანდასწრებით პირადად წაუკითხა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარს:

მის უწმიდესობასილია II,
სრულიად საქართველოს პატრიარქს
თქვენო უწმიდესობავ,

მსურს, ჩემი ღრმა მადლიერება გამოვხატო იმ ყურადღებისთვის, რომელიც თქვენ ჩემ მიმართ გამოიჩინეთ, როცა 2011 წლის 15 აპრილს საპყრობილეში ყოფნის დროს მომინახულეთ.

მაშინ, როდესაც თქვენ ეს არ გევალებოდათ, თქვენმა მობრძანებამ და დალოცვამ ყოველდღიურ სიძნელეთა გასამკლავებლად მხნეობა, უზარმაზარი მხარდაჭერა და სულიერი ძალა შემმატა.

თქვენმა ყურადღებამ დამარწმუნა, რომ ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემის ურღვევი კავშირი სუფევს. ძვირფასი საჩუქრები, რომლებიც თქვენ მე გადმომეცით, მუდამ მახსენებს ჩვენი ხალხების ამ განსაკუთრებულ კავშირს.

ვესწრაფვი იმ დროს, როდესაც შესაძლებლობა მომეცემა, გიხილოთ ჩემს სამშობლოში, რათა მადლიერების სიტყვები პირადად გითხრათ.

მადლობა საპატრიარქოში თქვენს თანამოღვაწეებს, ვინც თქვენთან ერთად სათნოების, კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის ზემოაღნიშნული მისია აღასრულა.

თქვენო უწმიდესობავ, გთხოვთ, ნება მიბოძოთ, ვისარგებლო ამ შემთხვევით და მოგილოცოთ თქვენ დაბადების დღე. გისურვებთ შეურყეველ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თქვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ღრმა პატივისცემით,

რონი ფუქსი

4 იანვარი, 2012 წელი, ისრაელი

ამბავი 112-ისა, ანუ კანონიერი ქურდების მეორედ მოსვლა?!

(ჩვენთან, მთელი მსოფლიოსგან განსხვავებით, გადაუდებელი დახმარება ფული ღირს!!!)

მერის დიდი ტყუილი და „გაპრავებული“ ყაჩაღობა

რამდენიმე დღის წინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ ტელეკამერების წინ განსაცვიფრებელი რამ განაცხადა. მან ახლახან დაფუძნებული, მაგრამ ჯერ აუმოქმედებელი სამაშველო სამსახურის – 112-ისთვის ყოველთვიური სავალდებულო გადასახადის შემოღების მიზეზი **„დამაჯერებლად“** განმარტა: 112 ევროპიდან გადმოვიღეთ და ფასიც იმიტომ დავადეთ, რომ სამაშველო მომსახურება უფასო ყოფილიყო (?!). მერი დაბნეულად და გაუმართავად ლაპარაკობდა, თითქოს ნერვიულობდა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ცრუობდა – სახელდახელოდ, იმ წუთებში თხზავდა ტყუილს.

გიგი უგულავა: – (სტილი დაცულია: ***„112”-ის ერთიანი ქოლცენტრი არ გულისხმობს მხოლოდ სახანძრო, სამაშველო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურებას, მისი ფუნქცია ბევრად უფრო ფართოა (!); მისი მოდელი გადმოღებულია ყველა ევროპულ ქვეყანაში (!), ისევე, როგორც ამერიკის ფედერალური და შტატების მიხედვით. შესაძლოა, გავიდეს თვე ისე, რომ რომელიმე თქვენგანმა არც დარეკოს ამ ნომერზე, მეორე ადამიანმა კი შესაძლოა ხუთჯერ დარეკოს, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სახანძრო და პოლიცია და ა.შ. ეს ამაზე არ არის დამოკიდებული. იმიტომ, რომ ყველასთვის საბოლოო ჯამში იყოს უფასო, ყველა თანაბრად, პროპორციის(!) მიხედვით იხდის. ამით ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ ინდივიდუალური ზარი იყოს უფასო. სხვა შემთხვევაში, ეს რომ იყოს დამოკიდებული იმაზე, რომ თქვენ გამოიძახეთ და მეორე ადამიანს არ გამოუძახია, მაშინ გამოვა, რომ იმ ინდივიდუალური ადამიანის გამოძახების გაფასიანება მოგიწევთ“.***

ამ რებუსიდან მხოლოდ ერთი რამ გავიგე – ხელისუფლებამ, როგორც ყოველთვის, ისევ რაღაცაში მიჰბაძა ევროპას. თუმცა მიბაძვა ამ შემთხვევაშიც პირობითია. რა ხდება ევროპაში, რატომ შეიქმნა იქაური 112 და ვინ იხდის ფულს მისი ფუნქციონირებისათვის? ამ სამსახურის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას ნახავთ უამრავ ოფიციალურ, ავტორიზებულ ინტერნეტგვერდზე – ევროკავშირის ვებგვერდით დაწყებული, ფეისბუკით დამთავრებული, სადაც ევროპულ, უფასო 112-ს თავისი გვერდი აქვს და ნებისმიერი მოქალაქის კითხვებს დაუყოვნებლივ პასუხობს. ამ ინფორმაციის ნახვა შეგიძლიათ სპეციალურ ვებგვერდზე:

http://ec.europa.eu/information-society/activities/112/rules/index-en.htm

ევროპაში საერთო სამაშველო სამსახური 1991 წლის ივლისში შეიქმნა. ტურისტების რაოდენობისა და შესაბამისად, უბედურ შემთხვევათა მატების გამო, ევროპის სახელმწიფოებმა 112-ის შექმნა მოითხოვეს. ფრანგს, გერმანელს, ესპანელს და ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ყველა მოქალაქეს საშუალება მიეცა, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში ისევე ეფექტიანად ისარგებლოს სამაშველო სამსახურით, როგორც თავის სამშობლოში. რომელ ევროპულ ენაზეც უნდა ლაპარაკობდეთ, დარეკავთ 112-ის საინფორმაციო ცენტრში და ოპერატორი წამსვე დაგაკავშირებთ სამაშველო ჯგუფთან, რომელიც ზუსტად დაადგენს თქვენს ადგილსამყოფელს და დაგეხმარებათ.

რაც მთავარია, ამ სამსახურის შექმნისთანავე დადგინდა, რომ ეს მომსახურება უფასო იქნებოდა და მომხმარებელს ამისთვის გადასახადს არავინ დააკისრებდა.

ჩემს მიერ გაგზავნილ კითხვაზე იტალიიდან მომწერეს, მათ ქვეყანაში, ისევე, როგორც ევროპის სხვა სახელმწიფოებში, 112-ის გარდა არის სხვა სამაშველო სამსახურიც, მაგალითად 118, რომლის მომსახურებაც ასევე უფასოა...

112-ის ოპერატორის პოპულარობის გამო მისი მომსახურების სისტემა დანერგეს სხვა სახელმწიფოებმაც, მაგალითად, თურქეთმა, სადაც სამაშველო სამსახურების გამოძახება ასევე უფასოა. საქართველოში კი, მიმდინარე წელს უკვე მეორედ, თებერვლის ბოლოს, მობილურ ტელეფონებზე მოგვივა შეტყობინება 112-ის გადასახადის ჩამოჭრის შესახებ. თუ რამდენიმე ნომერი გაქვთ და თითოეულ მათგანზე თვეში 5 ლარზე მეტს იხდით, 20 თეთრი ყველა ნომრიდან ჩამოგეჭრებათა. კორპორაციული ნომრის გადასახდი 50 თეთრია. გაუგებარია, როგორც ამ გადასახადის დაწესება, ისე ტარიფის განსაზღვრის და მობილური ტელეფონებიდან გადასახადის ამოღების წესი. თითქოს ხელისუფლება სადამსჯელო ოპერაციას ატარებს იმის გამო, რომ მობილურით სარგებლობისთვის თვეში 5 ლარზე მეტს ვიხდით. როგორც აღშფოთებული საზოგადოება ამბობს, მოსახლეობისთვის ფულის გამოძალვის კიდევ ერთი ახალი ბერკეტი შეიქმნა. **„ბოროტი ხმები“** იმასაც ამბობენ, ხაზინაში ფული გამოილია, არჩევნების წინ კი ასეთი გარღვევა მმართველი გუნდისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია და მას ფულის შოვნის ნოუ ჰაუსკენ უბიძგებს.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მობილური ქსელის აბონენტთა რაოდენობა დაახლოებით 4 მილიონია. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მომხმარებელი თვეში 5 ლარზე ნაკლებს არ ხარჯავს.

მარტივი არითმეტიკული გათვლებით მოსახლეობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფულის შოვნის მზაკვრული მეთოდების მოძიებაში საქართველოს ხელისუფლებას ბადალი არ ჰყავს. მეტიც, მან გაუსწრო მის მიერვე მიწასთან გასწორებულ ე.წ. კანონიერ ქურდებს და მათგან განსხვავებით, არა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, არამედ ყველა მოქალაქეს უბოდიშოდ ძარცვავს, თანაც კანონის სახელით ყაჩაღობს, **„გაპრავებულ“** წილში გვიზის და თუ არ გადაიხდი, დაისჯები. რა მნიშვნელობა აქვს, ყაჩაღი შემოგივარდება და ცხელი უთოთი გაიძულებს ფულის გადახდას, თუ თანხის დაქვითვის მაუწყებელი მოკლე ტექსტური შეტყობინება მოგივა. № 489 განკარგულების შესაბამისი პუნქტის თანახმად, გადასახადისთვის თავიდან არიდების შემთხვევაში საჯარიმო სანქციები არ აგცდებათ. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის, რომ საქართველოს ხელისუფლება ფულს გვახდევინებს იმ სამსახურისთვის, რომელიც ჯერ არ შექმნილა – სამაშველო სამსახური 112, სავარაუდოდ, მაისიდან დაიწყებს ფუნქციონირებას. კიდევ უფრო აღმაშფოთებელია ის, რომ ასეთი ძალადობრივი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ დედაქალაქის მერი თვალის დაუხამხამებლად ტყუის. ყველგან ფასიანია (მაშინ, როცა ყველგან უფასოა. – ავტ.) და ჩვენ რა ვქნათო (?!).

P.S. **ბატონო გიგი, 2011 წლის 24 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საქართველოს შს სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, „112 „-ის შექმნის შესახებ, რომლითაც დაფუძნდა საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა. ეს სამსახური შსს-ს დაქვემდებარებაში შედის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი აქვს. შსს-ს და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების თანამშრომელთა შრომის ასანაზღაურებლად ხელფასიდან გადასახადს ისედაც ვიხდით. ესე იგი, ერთსა და იმავე გადასახადს ორჯერ გვახდევინებთ, ისევე, როგორც ელექტროენერგიის და დასუფთავების გადასახადებს. თქვენ ნაგვის გადასახადის გაზრდით გაზარდეთ ელექტროენერგიის გადასახადი; ამჯერად სატელეფონო გადასახადების „წილში გვიჯდებით“. აი, ეს არის სიმართლე და აღიარეთ, თუ შეგიძლიათ! რა საჭიროა ტყუილები და ევროპა? ნუთუ ასეთი ბრიყვები გგონივართ?! შეიძლება...**

ე. ლომიძე

ავღანეთში კიდევ სამი ქართველი სამხედრო დაიღუპა!

როგორც საქინფორმი იტყობინებოდა, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიმდინარე წლის 20 თებერვალს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში **„შუკვანის“** ბაზაზე იმყოფებოდა, სადაც ქართველ სამხედროებს შეხვდა. სიტყვით მიმართვისას პრეზიდენტმა განაცხადა: **„გვინდა, გვყავდეს სერიოზული, ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალები? – ჩვენ უნდა ვიყოთ ავღანეთში! გვინდა, გვქონდეს ჩვენი მოკავშირეების მხარდაჭერა, მათ შორის, ჩვენი შეიარაღებული ძალების შემდგომი მომზადების მხარდაჭერასა და აღჭურვაში? – ჩვენ უნდა ვიყოთ ავღანეთში! გვინდა, საქართველოს რეპუტაცია მყარად გავიტანოთ და ადგილი დავიმკვიდროთ დემოკრატიულ სამყაროში? – ამაყი ვარ, რომ დავდივარ სხვადასხვა ფორუმებზე და ვხვდები, მაგალითად, ავსტრალიისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებს, სხვა დიდი დემოკრატიული ქვეყნების ლიდერებს და ისინი მადლობას მიხდიან იმისათვის, რასაც თქვენ აქ აკეთებთ. განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობიან საქართველოს დელეგაციებს იმის გამო, რასაც თქვენ აქ აკეთებთ“...**

ავღანეთიდან საქართველოს პრეზიდენტის გამოფრენის შემდეგ კი საქართველომ **„ISAF“**-ის სამშვიდობო მისიაში კიდევ სამი სამხედრო დაკარგა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ასრულებდნენ საბრძოლო ამოცანას, თალიბებთან შეტაკებისას საბრძოლო მანქანის აფეთქების შედეგად დაიღუპნენ.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულების დროს ქართველი სამხედროების, კაპრალების – ვალიკო ბერაიას, რუსლან მელაძისა და პაატა კაჭარავას გარდაცვალების გამო.

გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეები მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის შემადგენლობაში „ISAF“-ის სამშვიდობო მისიის ფარგლებში ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდნენ“,– ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

აღნიშნულ შემთხვევამდე **„ISAF“**-ის სამშვიდობო მისიის ფარგლებში ავღანეთში მსახურობის დროს სულ 13 ქართველი სამხედრო დაიღუპა და 87 დაიჭრა. შესაბამისად, ბერაიას, მელაძისა და კაჭარავას ჩათვლით, ავღანეთში სულ 16 ქართველი სამხედრო დაღუპული.

საქინფორმი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ლეგიონის უქმეები: კახა კალაძე ევროპის ლიგაზე გასვლის შანსს ინარჩუნებს

ქართული ლეგიონის უქმეებიდან, ყველაზე ღირსშესანიშნავი, რაღა თქმა უნდა, ნიკა გელაშვილის შთამბეჭდავი გერმანული დებიუტი იყო, სხვა საინტერესო ამბებზე კი ქვემოთ წაიკითხავთ.

სერია **A**-ში კახა კალაძის **„ჯენოამ“** რომის **„ლაციოს“** უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დაამარცხა. გენუელები მე-9 ადგილზე არიან და ევროპის ლიგაზე გასვლის შანსს ინარჩუნებენ, კალაძემ კი მატჩი შეუცვლელად ჩაატარა.

სერია **B**-ში **„ემპოლი“** შინ **„კროტონეს“** დაუზავდა – 1:1 და კვლავ სახიფათო ზონის სიახლოვეს ტრიალებს. **„ემპოლის“** რიგებში ლევან მჭედლიძე 58-ე წუთიდან გამოჩნდა და მისმა გუნდმა ანგარიში ამის შემდეგ გაათანაბრა, ირაკლი შეყილაძე კი მასპინძელთა განაცხადში არ ყოფილა.

პირველ ბუნდესლიგაში კვლავ წააგო ბერლინის **„ჰერტამ“**, რომელიც საკუთარ მოედანზე **„ჰანოვერთან“** 0:1 დამარცხდა და კიდევ უფრო მიუახლოვდა გასავარდნ ზონას.

ერთადერთი, რაც პოზიტიურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, ის არის, რომ ლევან კობიაშვილი ამ შეხვედრაში **„ჰერტას“** კაპიტანი იყო. ვეტერანმა ქართველმა ამჯერადაც მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშა და **„შპორტალმა“** მისი გარჯა, 3,5-ით შეაფასა, რაც დედაქალაქელთა შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

მეორე ბუნდესლიგაში მოიგო ალექსანდრე იაშვილის **„კარლსრუემ“** –შინ **„აუეს“** 2:1 აჯობა და ბოლოდან ბოლოსწინა პოზიციამდე **„აღზევდა“. „კარლსრუეს“** კაპიტანი იაშვილი, რომელსაც **„შპორტალმა“** 4-იანი დაუწერა, ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს. საგოლე კომბინაციებში მას მონაწილეობა არ მიუღია.

გადავინაცვლოთ ჰოლანდიაში, სადაც **„ვიტესმა“** გურამ კაშიას გარეშე მოუგო **„ბრედას“**. არნემელებმა შინ 1:0 გაიმარჯვეს, მათმა ქართველმა კაპიტანმა კი ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშა. ჩვენებურთაგან ამ შეხვედრაში მონაწილეობა მხოლოდ გიორგი ჭანტურიამ მიიღო, რომელიც თამაშში 66-ე წუთზე ჩაერთო. ვაკო ყაზაიშვილი განაცხადში არ ყოფილა. **„ვიტესი“** ერედივიზიეში მე-7-ეა და ევროპის ლიგაზე გასასვლელად იბრძვის.

თურქეთში „ქაისერისფორმა“ **„გენჩლერბირლიგისთან“** საკუთარ მოედანზე 2:3 წააგო. შოთა არველაძის გუნდმა მესამე გოლი ბოლო წუთზე გაუშვა. ზურაბ ხიზანიშვილმა **„ქაისერის“** შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა და პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. **„ქაისერი“** მე-9 საფეხურზეა, აკაკი ხუბუტიას **„სამსუნსფორი“** კი დღეს **„ქარაბუქსფორს“** სტუმრობს.

საბერძნეთში **„ერგოტელისმა“** შინ ოფის-თან 0:1 წააგო, ამ შეხვედრაში **„ერგოტელისის“** მცველ გიორგი შაშიაშვილს მონაწილეობა არ მიუღია, იგი განაცხადშიც არ იყო.

კვიპროსზე **„ანორთოსისი“** სტუმრად **„არისთან“** 0:1 დამარცხდა და თუკი ორი კვირის წინ თანალიდერი იყო, დღეს ერთპიროვნულ ლიდერ **„ომონიას“** 5 ქულით ჩამორჩება. დავით კვირკველიამ მატჩს **„ანორთოსისის“** სათადარიგოთა სკამიდან უყურა.

დაბოლოს, კიდევ ერთი გოლის შესახებ, რომელიც ქართველმა ამხანაგურ მატჩში გაიტანა – **„კრასნოდარმა“** მოლდოვის ჩემპიონ **„დაჩიას“** 1:0 სძლია. კრასნოდარელთა კაპიტანმა ალექსანდრე ამისულაშვილმა კიშინიოველთა კარი თავური დარტყმით დალაშქრა. მის გარდა, ამ მატჩში **„კრასნოდარის“** შემადგენლობაში ნუკრი რევიშვილმა და ოთარ მარცვალაძემაც ითამაშეს.

ლუკას ბარიოსის ბედი ქართველის ხელშია

ბოლო დროს უკრაინული მედია ხშირად წერდა, რომ კიევის "დინამო" დორტმუნდის "ბორუსიისა" და პარაგვაის საფეხბურთო ნაკრების ცნობილი თავდამსხმელის, ლუკას ბარიოსის გადაბირებით დაინტერესდა. თურმე, ტრანსფერზე ქართველი მენეჯერი მიხაილ გულორდავა მუშაობდა.

ეს უკრაინაში პოპულარულ გადაცემა "ფუტბოლნიუსში" თავად გულორდავამ განაცხადა:

"დღესდღეობით მე წარმოვადგენ სამხრეთამერიკულ სამენეჯერო კომპანიას, რომელმაც ბარიოსის ტრანსფერზე მოლაპარაკების უფლებამოსილება გადმომცა. კიეველებთან ლამის ყველაფერი შეთანხმებული იყო. სამწუხაროდ, ზოგი ტექნიკური დეტალის გამო, ამ ეტაპზე, სატრანსფერო მოლაპარაკება შეჩერებულია, მაგრამ მთლიანად და სრულებულა".

აქვე იმასაც გეტყვით, რომ დიდი ხანია, გულორდავა უკრაინის ქალაქ ხარკოვში ცხოვრობს, არის ფიფას აგენტი და ამავე სტატუსის მქონე უკრაინელ სპეციალისტთან მაქსიმ სტეფანსკისთან ერთად საკმაოდ გავლენიანი სამენეჯერო სააგენტო ჩამოაყალიბა.

ის არის დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" სელექციონერის, საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშის, მიხეილ ფოცხვერიას მეგობარი და ბოლო დროს უკრაინულ კლუბებში ბევრ ქართველ მოთამაშეს გაუწია რეკომენდაცია. მასთან ინტენსიურად თანამშრომლობს ცნობილი ჩეხი მენეჯერის, დალიბორ ლაცინას სამენეჯერო სააგენტოს ქართველი წარმომადგენელი ბატონი სერგო ქუთათელაძე.

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში მოგითხრობთ ცნობილ ქართველ ძიუდოისტ ირაკლი ცირეკიძეზე, რომელმაც ვერ გაიარა დოპინგკონტროლი.

მსოფლიოს ძიუდოს ფედერაციამ ირაკლი ცირეკიძეს სამთვიანი დისკვალიფიკაცია მისცა. 2008 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული სერიოზულ სასჯელს ერთი გარემოების გამო გადაურჩა, – პრეპარატი, რომელიც შემოწმების შედეგად მის ორგანიზმში აღმოაჩინეს, სტიმულატორი არ არის და მისი მიღების შემდეგ სპორტული შედეგები არ უმჯობესდება, პირიქით, მოდუნებას იწვევს. ასე რომ, ცხადია, ცირეკიძე აკრძალულ პრეპარატს განზრახ, მედლის მოგების მიზნით ვერ მიიღებდა.

იუმორი

***

მეგრელ ტაქსის მძღოლს დასცხა, ფანჯრის შუშა ჩასწია და მგზავრს ეკითხება:

– ხომ არ გიბერავთ, ქალბატონო?

– არა, რას ამბობთ, პირიქით...

– როგორ, თქვენ უბერავთ?

***

ინჟინრების ოჯახი. ქმარი ცოლს ეუბნება:

– დედამიწის გარშემო რამდენიმე ფენად სპილენძის მავთულს თუ შემოვახვევთ, ცვლადი დენის გენერატორი გამოვა.

– დღესაც დათვერი, არა? ცვლადი კი არა, მუდმივი დენის!

***

კახეთში ქელეხია. მიტომ ხაშლამის ჯერ ერთი ნაჭერი გადმოიღო, მერე – მეორე, მერე – მესამე. შაქრომ ვეღარ მოითმინა:

– გეყოფა, ჯო! თეფშზე ძვლების დასაყრელი ადგილი მაინც დატოვე!

***

ავადმყოფი საოპერაციოდ გაამზადეს, ქირურგმა სკალპელი მოიმარჯვა.

– არ გაჭრა, ექიმო, არ დაიწყო ოპერაცია! – შემორბის ასისტენტი. – ავადმყოფს ოპერაციისათვის სერიოზული უკუჩვენება აღმოაჩნდა.

– რა უკუჩვენება?

– მთელი ღამე აბოდებდა, კაპიკი ფული არა მაქვსო.

***

ექიმმა პაციენტი ქალი გასინჯა:

– ჩემო კარგო, თქვენ გული, თირკმელები, კუჭი და ნაღვლის ბუშტი გაწუხებთ. რამდენი წლის ბრძანდებით?

– ოცდაექვსის.

– ოო, ხედავთ, მეხსიერებასთან დაკავშირებითაც პრობლემები გქონიათ.

როგორ გაჩნდა კოსმონავტი მე-12 საუკუნის ტაძარზე?

ესპანეთის ქალაქ სალამანკაში მე-12 საუკუნის ტაძარზე კოსმონავტია გამოსახული. სხვადასხვა მითიური ცხოველებისა და წმინდანების გვერდით ჩაფხუტსა და სპეც-კომბინიზონში გამოწყობილი კაცუნა ტაძრის გარეთა სვეტზეა ამოკვეთილი.

1102 წელს აგებული ტაძარი რომის კათოლიკური ეკლესიის დაქვემდებარებაშია და სალამანკის ეპარქიაში შედის. ეკლესია წმინდა მარიამის სახელზეა აგებული და ეპარქიის საკათედრო ტაძრის სტატუსს ატარებს.

კოსმონავტის ფიგურით დამშვენებული სვეტის ფოტო სოციალური ქსელებით სწრაფად გავრცელდა. დიდი აჟიოტაჟის შემდეგ დაკვირვებულმა ბლოგერებმა ტაძრის ორნამენტები ყურადღებით დაათვალიერეს და კიდევ 2 მსგავსი **„ანომალია“** აღმოაჩინეს. ჩუქურთმებში იკვეთება მაიმუნი, რომელიც შარდავს და ლომი, რომელიც ნაყინს მიირთმევს.

საბოლოოდ, ყველა ეს სასწაული ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოებზე დასაქმებული, ერთ-ერთი გონებამახვილი რესტავრატორის ნამოქმედარი აღმოჩნდა. ამ საქციელისთვის არავინ დასჯილა.

ეს არ არის პირველი ფაქტი, როცა რესტავრატორები თავს მსგავსი ფანტაზიის უფლებას აძლევენ. ბარსელონაში მდებარე მე-19 საუკუნის ტაძარზე **„ვარსკვლავური ომების“** პერსონაჟები არიან გამოსახულნი.

„თბილისის ვაგზალი – USA არმიის სავერბოვკო პუნქტია?!“

1812 წლის ბრიტანეთ-ამერიკის ომის დროს ყასაბი სემუელ უილსონი, რომელიც ხორცს აწვდიდა ნიუ იორკის სამხედრო ბაზა ტროის, ხორცით სავსე კასრებს მარკირებას უკეთებდა ასოებით **U.S.**, რითაც მხედველობაში ჰქონდა შეერთებული შტატები (**United States**), ხოლო ამერიკელი ჯარისკაცები **U. S.** აბრევიატურას სხვაგვარად განმარტავდნენ – ხუმრობდნენ, ხორცი ძია სემის (**Uncle Sam**) გამოგზავნილიაო!

1877 წელს მხატვარ ტომას ნასტის კარიკატურის წყალობით, ძია სემი (ძველმოდურწვერიანი ხანდაზმული კაცი საშიში მზერით, ამერიკის დროშის ფერებში ცილინდრ-ფრაკ–პანტალონებში გამოწყობილი) ამერიკის შეერთებული შტატების პერსონიფიცირებულ სახედ იქცა.

1917 წელს კი აშშ-ის არმიაში მომსახურე მხატვარმა ჯ. ფლაგმა ძია სემი გამოსახა პირველ მსოფლიო ომში ჯარისკაცების დასავერბოვკებლად: **«I WANT YON FOR U.S.ARMY • NEAREST RECRUITING STATION»** (შენ მჭირდები შეერთებული შტატების არმიისთვის, უახლოესი გამწვევი პუნქტი) – წერია საყოველთაოდ ცნობილ პლაკატზე.

ვინ იფიქრებდა, რომ 2012 წელს (95 წლის შემდეგ!) ეს პლაკატი, უზარმაზარი ბანერის სახით, საქართველოს დედაქალაქ თბილისის ცენტრალური სარკინიგზო ვაგზლის დარბაზს დაამშვენებდა?! ოღონდ მასზე, ძია სემის გამოსახულების ქვეშ, ქართულად ერთი ფრაზა წერია, რომელიც შინაარსობრივად ძალიან ახლოა ორიგინალთან: **„შენ სწორი გზით მიდიხარ!“**

ნებისმიერი ვაგზალი – რკინიგზის, საჰაერო, საზღვაო, საავტომობილო – ქვეყნის კარიბჭე, მის შესახებ პირველი შთაბეჭდილებაა... ყოველდღიურად ტელეკომპანია **„იმედი“ „გვაიმედებს“** და გვაჩვენებენ კლიპს – თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დარბაზს და ავღანეთის ომიდან დაბრუნებული ქართველი სამხედროების ღიმილით გაცისკროვნებულ სახეებს...

აეროპორტიდან ქალაქის ცენტრში კი ამ ომის გამჩაღებელი ბუში-უმცროსის სახელობის ქუჩით ვხვდებით (მოდიმარი ჯორჯის სახით დიდ ბანერს თბილისელები უკვე მიეჩვივნენ...).

ახლა ამ მილიტარისტულ პროპაგანდაში ჩართეს თბილისის ცენტრალური სარკინიგზო სადგურიც ძია სემის ბანერითურთ: ნუ თუ იქ **USA** არმიის სავერბოვკო პუნქტი განთავსდება ახალწვეულთა ირანში გასაგზავნად?! სახმელეთო ოპერაციის გარეშე ხომ, სამხედრო ექსპერტების აღიარებით, ირანზე ავიაიერიშები სასურველ შედეგს ვერ მოიტანს, ხოლო სახმელეთო ოპერაციებში ქართველები უკვე გამოსცადეს ერაყსა და ავღანეთში... მთავარი კი ისაა, რომ თვინიერი ქართველი ჯარისკაცები ღატაკი საქართველოდან ამერიკას თავის ამერიკელ ჯარისკაცზე კვლავ ასობით ათასი დოლარით იაფი დაუჯდება!

მერე კი ყველაფერი დასახული სცენარით წარიმართება: თბილისი-ახალქალაქი-ყარსის ახალი რკინიგზით **„NATO“**-ს სატრანზიტო ტვირთებს გადაზიდავენ და ყასაბი ძია სემი (იხ. დასაწყისში) კვლავ მიაწვდის ხორცს, თუმცა უკვე – 2012 წლის მესამე მსოფლიო ომის დროს **U.S.** თბილისის სამხედრო ბაზაზე.

მაგრამ ხორცი ამ ჯერზე მარტოოდენ საზარბაზნე იქნება...

არნო ხიდირბეგიშვილი

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge